დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2023 წლის 11-17 სექტემბერი
N 40 1504
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



## ბორელის ბორიალი
12 პუნქტი 12 პუნქტის წილ!

2-3

4

## მონასტერი აირია!



## ამხანაგი გაბუნია მიშას ნაცში გაბმულია!

5



## მოინდომეს ამათაც ერის დედობა!

„გამსახურდიას მკვლელობის საქმის გახსნას ძალიან ავნო პრემიერის პოსტზე გიორგი კვირიკაშვილის დანიშვნამ!“

11



## სამში ერთი გამოაკლდათ!

6











„თუ ქიული შარტავას ხაფანგი დაუგეს და გიორგი ბარამიძემ ეს ყველაფერი იცის,

## პროკურატურას სძინავს?“

„ლევან სანიკიძე დარწმუნებული იყო, რომ 1993 წლის 31 დეკემბერს ავთანდილ მარგიანმა შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ახარა!“

7 22 23



დათო ჩიხლაძე

## ქართული ფინტები

„მეგრელების საქმის“ ნამდვილი სურათი

ინგლისელი ისტორიკოსის ბილ ბლენდის და საარქივო მასალებზე დაყრდნობით



13

შეთქმულების პრაქტიკა



ერეკლე დეისაძე

## აბურის ამხანაგები

9

# ბორელის ბორიალი



ჟოზეპ ბორელი თბილისში. 2023 წლის 7-8 სექტემბერი

***უთავბოლო და უაზრო სიარულის სინონიმად ქართულ ენაში სიტყვა „ბორიალი“ გამოიყენება. „ქუჩაში დაბორიალობს“, „ტყეში დაბორიალობს“, „უშნოდ დაბორიალობს“, „ტყუილად დაბორიალობს“... — იტყვიან ადამიანზე, რომელიც უმიზნოდ, უმისამართოდ და უგზო-უკვლოდ დაიარება.***

მაგალითად, საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრები, რომელმაც 2023 წლის 8 სექტემბერს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ ესპანეთთან 1:7 წააგო, მოედანზე საწყლად და სამარცხვინოდ **დაბორიალობდა,** თუმცა, იმავე დღეს ქართველი საზოგადოება სხვა და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი **ბორიალის** შემსწრე გახდა.

ეს იყო **ბორელის ბორიალი!**

ჰო, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი **ჟოზეპ ბორელი** საქართველოში კი არ ჩამოვიდა, **ჩამობორიალდა!**

ჰო, ევროკომისარ **ბორელს** არამხოლოდ რიტორიკაზე, არამედ გამომეტყველებაზეც ემჩნეოდა, რომ კი არ ჩამოვიდა, არამედ **ჩამობორიალდა** და თანაც, **ჩამობორიალდა** ქვეყანაში, რომელსაც ცივილიზებულ სახელმწიფოდ კი არა, ჯუნგლებად განიხილავს ისევე, როგორც მსოფლიოს უდიდეს ნაწილს.

აბა, გავიხსენოთ ევროკომისარ **ბორელის** მიერ შარშან გაკეთებული განცხადება:

*„ევროპა ბაღია, ჩვენ ავაშენეთ ბაღი, დანარჩენი მსოფლიო, დანარჩენი მსოფლიოს უდიდესი ნაწილი კი ჯუნგლებია და შეიძლება, ჯუნგლები ამ ბაღში შემოიჭრან“.*

ასეთი კაცი და ასეთი ევროკომისარია **ჟოზეპ ბორელი** — ევროპის მიღმა არსებული დანარჩენი მსოფლიო და კაცობრიობა, უდიდესი და უდიადესი აღმოსავლური ცივილიზაციისა და კულტურის ჩათვლით, ჯუნგლებად მიაჩნია, ანუ ჩინელსა და ინდოელს, თურქსა და ირანელს, მექსიკელსა და არგენტინელს, აფრიკელსა და ავსტრალიელს უყურებს, როგორც ტყიურს, ველურს, ბარბაროსსა და ვანდალს, რომელსაც ევროპული ბაღნარის აოხრება უნდა!

ჰოდა, **ბორელს** საქართველოშიც ეტყობოდა, რომ **ჯუნგლებში ჩამობორიალებულად გრძნობდა თავს!**

**თბილისში მობორიალე ბორელი** ისე იხედებოდა, ისე ლაპარაკობდა და ისე იმოძრავებოდა, თითქოს სტუმრად კი არ ჩამოვიდა მთაწმინდელების, ოპიზრების, პეტრე იბერისა და რუსთველის ქვეყანაში, რომელსაც ევროპულ ცივილიზაციაში წარუშლელი კვალი აქვს დატოვებული, არამედ ჯუნგლების რომელიღაც ტომს მოსათვინიერებლად, მოსარჯულებლად და გასაადამიანურებლად დაადგა თავზე, ვითარცა თეთრი კოლონიზატორი!

## ევროკომისარ ბორელს ეტყობოდა, რომ ჩამობორიალებული იყო ქვეყანაში, რომელსაც ცივილიზებულ სახელმწიფოდ კი არა, ჯუნგლებად განიხილავს!

**ქართველებს თუ გინდათ, რომ ჯუნგლებიდან ევროპულ ბაღნარში მოხვედრის შანსი მოგცეთ, მაშინ ისე უნდა მოიქცეთ, როგორც მე გეტყვით!** — გვიბრძანა **თბილისში ჩამობორიალებულმა ბორელმა** და თითიც დაგვიქნია — **შარშან 12 დავალება რომ მოგეცით, იქიდან უმეტესი ნაწილი არ შეგისრულებიათო!**

რა უნდა ექნა ასეთ დროს ჯუნგლების ტომის ბელადს — **ირაკლი ღარიბაშვილს,** რომელსაც თეთრმა ბატონმა წყალობა ჰყო და მასთან ერთად ბრიფინგის გამართვის ნება დართო? უცივილიზაციო, უკულტურო და ველური აბორიგენების — ქართველების უფროსი როგორ უნდა მოქცეულიყო დედამიწაზე არსებული ერთადერთი ცივილიზაციისა და კულტურის განსახიერების — **ევროკომისარ ბორელის წინაშე?** რასაკვირველია, უნდა მოქცეულიყო ისე, როგორც ყოფილი სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას ყოფილმა მოადგილემ გიორგი ბურჯანაძემ ცოტა ხნის წინათ განაცხადა — ევროპელებმა ცალ ფეხზე დადგომა რომ მოგვთხოვონ, უნდა დავდგეთო!

**ამან კი, ამ ჯუნგლების პრემიერ-მინისტრმა, ამ საქართველოდ წოდებული ერთი ბეწო მიწის ნაგლეჯის გამგებელმა და ქართველებად წოდებული ჯოგის უფროსმა რა ქნა?** თეთრ კოლონიზატორს სიტყვის შებრუნება გაუბედა და საყვედურიც კი აკადრა — **შარშან უკრაინასა და მოლდოვას თქვენს ბაღში ფეხის შედგმის კანდიდატის სტატუსი რომ მიეცით და ჩვენ უარი გვითხარით, ეს შეცდომა იყოო! თუ თქვენი ბაღნარის წევრობის კანდიდატის სტატუსს დამსახურების მიხედვით იძლევით, მაშინ საქართველო უკრაინასა და მოლდოვაზე მეტად იმსახურებდა მაგ სტატუსს, რადგან ყველა ვალდებულება თუ რეკომენდაცია იმათზე ბევრად უკეთესად გვაქვს შესრულებულიო! ჩვენ კარგად ვიცით, რომ კანდიდატის სტატუსს რეკომენდაციების შესრულების მიხედვით კი არა, პოლიტიკური გადაწყვეტილებით იძლევით, ამიტომ ახლაც პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ და საქართველოს სტატუსი მიანიჭოთო!**

არა, **მაინც როგორი თავხედი ყოფილა სამხრეთ კავკასიური ჯუნგლების ერთი პატარა ტომის წინამძღოლი ღარიბაშვილი?** იმის მაგივრად, დაბანილი, დავარცხნილი, სუნამოიანი, კულტურული და ცივილიზებული ბატონის — ევროკომისარ **ბორელის** წინაშე ცალ ფეხზე დამდგარიყო, ასკინკილა გაემართა, თავზე ნაცარი დაეყარა და შევედრებოდა — **ოღონდ თქვენს ბაღთან შორიახლო ჩავლის შანსი მოგვეცით და რასაც გვიბრძანებთ, ყველაფერს უსიტყვოდ შეგისრულებთო, მისდგა და საყვედურიანი ტონით შეეპასუხა, საქართველოს სახელმწი-**



ჟოზეპ ბორელი და ირაკლი ღარიბაშვილი თბილისში, ფუნიკულიორზე. 2023 წლის 7 სექტემბერი

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



თუ ევროპელ მეგობრებს სურთ, რომ **საქართველოში პოლარიზაცია დასრულდეს,** მაშინ ქვეყანას **კანდიდატის სტატუსი** უნდა მიეცეს — ეს გადაწყვეტილება, როგორც მინიმუმ, **გაანახევრებს პოლარიზაციის ხარისხს.**

„ინტერპრესნიუსი“

**ჟოზეპ ბორელი**
*საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი*



ევროკავშირს საქართველო **არც მიუტოვებია, არც მიატოვებს!** — საქმეა გასაკეთებელი და დროც არის ამისთვის, გააკეთეთ! **ნუ იფიქრებთ მიტოვების თემაზე** საერთოდ!

ჩვენ უკვე განვაცხადეთ, რომ **12 პრიორიტეტიდან 9 შესასრულებელია** — ევროპის გზაზე შემდგომი ნაბიჯები **დამსახურებაზე იქნება დამოკიდებული.**

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი კობახიძე**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



თქვენ წარმოიდგინეთ, უახლოესი 7-8 თვის განმავლობაში **სალომე ზურაბიშვილმა საკაშვილი თუ შეიწყალა,** ეს ნიშნავს, რომ მან საკუთარ სკამზე გაცვალა სახელმწიფო ინტერესები. **სალომე ზურაბიშვილი თუ ამას გააკეთებს, საერთოდ საოცრება იქნება!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



რადიკალურ ოპოზიციას შეუძლია, **პრეზიდენტს ჯერ უკანონოდ არჩეული დაარქვას,** რამდენიმე თვეში კი **შეწყალებას სთხოვდეს და ევროპული კურსის საუკეთესო დამცველად აცხადებდეს.**

**მილიონობით დოლარია გადახდილი,** რათა დასავლეთში ეგონოთ, რომ საქართველო **ევროპულ ორბიტას** დაშორდა.

„რეზონანსი“




ჟოზეპ ბორელისა და ირაკლი ღარიბაშვილის ერთობლივი პრეს-კონფერენცია

# 12 პუნქტი 12 პუნქტის წილ!

## არამხოლოდ საქართველომ უნდა შეასრულოს ევროკავშირის 12 რეკომენდაცია, ევროკავშირმაც უნდა მიიღოს მხედველობაში საქართველოს 12 პირობა!

**ფო ინტერესებზე, სუვერენიტეტსა და ისეთ რაღაცებზე დაუწყო ლაპარაკი, რაზეც ჯუნგლების წარმომადგენელი ცივილიზაციის წარმომადგენელს ვერ უნდა ელაპარაკებოდეს!**

ამიტომაც აყვირდნენ ქართველი ოპოზიციონერები — **ნაცები, ლელოელები, გირჩელები, უფრო მეტად გირჩელები და სხვები** — ნახეთ, როგორ ელაპარაკება ღარიბაშვილი ბორელს, აშკარად რუსეთის დავალებას ასრულებს და ცდილობს, საქართველოს კანდიდატის სტატუსის მიღების უკანასკნელი შანსიც დააკარგვინოს!

### ესენიც – ეს ვაშაძეები, ხაბეიშვილები, ბოკუჩავები, დეკანოიძეები და გოცირიძეები, ბორელის საზომით, რა თქმა უნდა, ჯუნგლების ბინადრები არიან, ოღონდ – ცოტა უფრო გაშალაშინებულნი და განვითარებულნი, რომლებმაც კარგად იციან, რომ ბატონის წინაშე ცალ ფეხზე უნდა დადგნენ

და ცივილიზაციის ემისრებს — ევროკომისრები იქნებიან, ევროპარლამენტარები თუ სხვანი, არ უნდა შეეპასუხონ, თავიანთ ინტერესებსა თუ სურვილებზე ლაპარაკი არ უნდა გაუბედონ!

აბა, ჯუნგლებიდან ევროპულ ბაღნარში შესვლაც გინდოდეს და მებაღის წინაშე ხმის ამოღებასაც ბედავდე, ეგრე სად არის?!

ჰოდა, როგორც **ჩამობორიალდა,** ისე **წაბორიალდა** ქართული ჯუნგლებიდან დიადი მებაღე — **ევროკომისარი ბორელი!**

**წაბორიალდა,** ალბათ, გაოცებული და გაბრაზებული, რადგან ქართული ჯუნგლების წინამძღოლი ისე დაუხვდა და ესაუბრა, როგორც შავი აბორიგენები არ ხვდებიან და არ ესაუბრებიან თეთრ კოლონიზატორს!

ძნელი სათქმელია, **ბორელის თბილისური ბორიალის შემდეგ** გაიზარდა თუ შემცირდა შანსი, ქართული ჯუნგლები ევროპულ ბაღნარში შესვლის კანდიდატად აღიარონ, მაგრამ ერთი რამ ცალსახაა — **ადრე იქნება თუ გვიან, საქართველო ევროკავშირში ცალ ფეხზე მდგარი და ბატონის წინაშე ასკინკილით მოკუნტრუშე მონასავით კი არ უნდა შებორიალდეს, არამედ საკუთარი ღირსებით, საკუთარი ისტორიით, საკუთარი კულტურითა და ცივილიზაციით ამაყი, თავაწეული და მხრებგაშლილი შებრძანდეს!**

წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, სად იქნები მონა — ბაღნარში თუ ჯუნგლებში?

**ჯაბა ხუბუა**

*როგორც მოგეხსენებათ, გასული წლის მიწურულს ევროკომისიამ საქართველოს 12 პუნქტისაგან შემდგარი პირობა წაუყენა, რომლის შესრულების შემთხვევაშიც, ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიიღებს.*

ჰოდა, თითქმის ერთი წელია, გაუთავებლად გვესმის — **„12 რეკომენდაცია“, „12 პირობა“, „12 პუნქტი“...**

ოპოზიცია ხელისუფლებას ადანაშაულებს — ევროკავშირის **12 მოთხოვნის** შესასრულებლად არაფერს აკეთებო, ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ ევროკავშირის **12 რეკომენდაციას** ზედმიწევნით ასრულებს და ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველომ კანდიდატის სტატუსი მიიღოს!

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები, ექსპერტები და ჟურნალისტები დღენიადაგ ამ **12 პუნქტის, 12 პირობისა თუ 12 მოთხოვნის** ხსენებაში არიან, საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს მაინც არა აქვს სრულყოფილი ინფორმაცია, კონკრეტულად რას გულისხმობს ევროკომისიის მიერ საქართველოსათვის მიცემული **12 რეკომენდაცია** და რა უნდა ქნას ქვეყანამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად.

რაც ყველაზე მთავარია, ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს აწუხებს კითხვები — **რამდენად შედის საქართველოს ეროვნულ ინტერესებში ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულება? ნუთუ 12-ვე მოთხოვნა უპირობოდ უნდა შევასრულოთ? ეგებ ყველაფრის ფასად არ გვილირდეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი? იქნებ საქართველოსაც უნდა ჰქონდეს საკუთარი პირობები, რომლებიც ევროკავშირმა უნდა გაითვალისწინოს?**

ჩვენც მიგვაჩნია, რომ არამხოლოდ საქართველომ უნდა შეასრულოს ევროკავშირის **12 რეკომენდაცია,** ევროკავშირმაც უნდა მიიღოს მხედველობაში საქართველოს **12 პირობა,** რომელიც ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობს!

მით უფრო დღეს, როცა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, მსოფლიოში სრულიად ახალი და განსხვავებული გეოპოლიტიკური რეალობა დადგა, **ევროკავშირს იმაზე არანაკლებად სჭირდება საქართველო, ვიდრე საქართველოს — ევროკავშირი!**

ამდენად, ევროკომისიის **12-პუნქტიანი რეკომენდაციის** საპირწონედ, საქართველო უფლებამოსილია, ევროკავშირს საკუთარი **12-პუნქტიანი პირობა** წაუყენოს!

**12 პუნქტი 12 პუნქტის წილ!**

მივყვეთ თანმიმდევრობით:

### საქართველოსადმი ევროკავშირის რეკომენდაციის პირველი პუნქტი:

**პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხის მოგვარება პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფის გზით, 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთების შესაბამისად;**




### ევროკავშირისადმი საქართველოს რეკომენდაციის პირველი პუნქტი:

პოლიტიკური პოლარიზაციის აღმოფხვრა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებასა და ქართველ საზოგადოებაზე როდია დამოკიდებული. ჯერ ერთი, ნაციონალური მოძრაობა და მასთან დაკავშირებული რადიკალური ჯგუფები, თავიანთი რიტორიკითა და ქმედებებით, რაც საპროტესტო აქციებზე „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლას, ავტომობილების დაწვასა და პოლიციელთა ცოცხლად დაწვის მცდელობასაც მოიცავს, ყველანაირად უწყობენ ხელს პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავებას.

გარდა ამისა, **საქართველოში პოლიტიკურ პოლარიზაციას მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ის ევროპელი პოლიტიკოსები, რომლებიც ღიად უჭერენ მხარს ნაციონალურ მოძრაობას, უტიფრად ცდილობენ ცხვირის ჩაყოფას ქვეყნის შინაურ საქმეებში და აღარც კი მალავენ თავიანთ სურვილსა თუ განზრახვას ე.წ. ქართული მაიდნის მოწყობისა და ქართველი ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლების დამხობის შესახებ.**

შესაბამისად, საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაციის აღმოფხვრისათვის, **ევროკავ-**

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



პრეზიდენტი პირდაპირ საუბრობდა, რომ **საქართველო არ იმსახურებდა სტატუსს.** ასეთი ადამიანი როცა უცხოეთში მიდის, ჩნდება ეჭვი, რომ **ქვეყნის წინააღმდეგ იმოქმედებს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



მე არსად არ მივდივარ, **ჩემს გადადგომაზე ოცნება, მგონი, ყველამ უნდა დაივიწყოს** — მე აქ ვარ, სადაც ვარ, მაგრამ **ყველგან ვივლი, სადაც წასასვლელი ვარ,** რადგან ეს ჩემი უმაღლესი კონსტიტუციური ვალდებულებაა.

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**სალომე ზურაბიშვილს** ევალება, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებაში რაც არის, **რაც უწერია კონსტიტუციაში,** ყველაფერი გააკეთოს ევროინტეგრაციის გზაზე, მაგრამ, **რაც არ უწერია,** იქ მიდის. სადაც ამ ქვეყნის ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობისათვის უნდა გააკეთოს საქმე, **იქ აფუჭებს და სადაც მისი საქმე არ არის, იქ ვაკეთებო,** იბრალებს.

„ინტერპრესნიუსი“

**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის“ ლიდერი*



**ცოლ-ქმრის ჩხუბი** რეგვენს მართალი ეგონაო — ასეა ყველა, ვისაც **სალომესა და „ოცნების“ ჩხუბი** მართალი ჰგონია!

„ფეისბუქი“

# 12 პუნქტი 12 პუნქტის წილ!

## არამხოლოდ საქართველომ უნდა შეასრულოს ევროკავშირის 12 რეკომენდაცია, ევროკავშირმაც უნდა მიიღოს მხედველობაში საქართველოს 12 პირობა!

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

**შირმა უნდა უზრუნველყოს, რომ ევროპელმა პოლიტიკოსებმა, უპირველეს ყოვლისა, ევროპარლამენტის დეპუტატებმა — კუბილიუსმა, ფოტიგამ, ფონ კრამონმა, იუკნევიჩიენემ და სხვებმა შეწყვიტონ საქართველოს შიდა პოლიტიკაში ჩარევა, რადიკალური ნაციონალური ოპოზიციის მხარდაჭერა და ქართველი ხალხისათვის შეურაცხმყოფელი რიტორიკა,** რომლითაც აშკარა უპატივცემულობას გამოხატავენ ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის მიმართ.

### საქართველოსადმი ევროკავშირის რეკომენდაციის მე-2 პუნქტი:

**ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულად ფუნქციონირების, მათი დამოუკიდებლობის გაძლიერების და ეფექტური ანგარიშვალდებულების გარანტირება. საარჩევნო ჩარჩოს გაუმჯობესება ეუთო/ოდირის, ევროპის საბჭოსა და ვენეციის კომისიის მიერ ამ პროცესებში გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრით.**

### ევროკავშირისადმი საქართველოს რეკომენდაციის მე-2 პუნქტი:

ევროკავშირმა და მისმა სტრუქტურებმა სათანადო რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვონ **რადიკალური ოპოზიციის ქმედებები, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და სამართლიანი საარჩევნო კამპანიის წარმოებას.** ასეთია, მაგალითად, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მონაწილეობა საარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდაში, რასაც, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის უხეში დარღვევით, უკრაინის მოქალაქე, მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი სჩადის.

### საქართველოსადმი ევროკავშირის რეკომენდაციის მე-3 პუნქტი:

**ფართო, ინკლუზიური და მრავალპარტიული კონსულტაციების შედეგად, გამჭვირვალე და ეფექტური სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება და განხორციელება;** სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა, ასევე, ხელისუფლების დანაწილების დაცვა. მოსამართლეთა და გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიანი რეფორმის განხორციელება და უმაღლესი საბჭოს წევრების დანიშვნა. ყველა ეს ღონისძიება სრულად უნდა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს.**

### ევროკავშირისადმი საქართველოს რეკომენდაციის მე-3 პუნქტი:

ევროკავშირმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი წევრი ქვეყნების ელჩები თუ საელჩოთა ცალკეული ჩინოსნები **ქართული სასამართლო სისტემის მუშაობაში არ ჩაერიონ,** ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ქართული სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფას ევროკავშირის არაწევრი რომელიმე ქვეყნის საელჩოს მხრიდან, ევროკავშირმა და მისმა სტრუქტურებმა თავი არ შეიკავონ ამ ფაქტის პოლიტიკური შეფასებისაგან.

მაგალითად, ევროკავშირის სტრუქტურებსა თუ ცალკეულ წარმომადგენელს რეაქცია უნდა ჰქონოდათ საქართველოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხელყოფის აშკარა ფაქტზე, როცა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ მოსამართლე **ლაშა ჩხიკვაძეს** დახურულ კარს მიღმა ახსნა-განმარტება მოსთხოვა **ნიკა გვარამიასათვის** პატიმრობის შეფარდების გამო, შემდეგ კი იმავე მიზეზით არაოფიციალური სანქცია დაუწესა და აშშ-ში ტრენინგზე წამსვლელ მოსამართლეთა სიიდან ამოშალა.

### საქართველოსადმი ევროკავშირის რეკომენდაციის მე-4 პუნქტი:

**ანტიკორუფციული სამსახურის დამოუკიდებლობის გაძლიერება ყველა ძირითადი ანტიკორუფციული ფუნქციის გაერთიანებით, მაღალი დონის კორუფციის საქმეების მკაცრი განხილვის მიზნით. ახალი სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის აღჭურვა მათი მანდატის შესაბამისი რესურსებით და მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.**

### ევროკავშირისადმი საქართველოს რეკომენდაციის მე-4 პუნქტი:

დამოუკიდებელ ანტიკორუფციულ სამსახურს საშუალება უნდა ჰქონდეს, გამოიძიოს ევროპარლამენტარებისა თუ სხვა ევროპელი პოლიტიკოსების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი სავარაუდო კორუფციული დანაშაულები. მაგალითად, **თუ იარსებებს გონივრული ეჭვი, რომ კუბილიუს-ფოტიგების მსგავსი ევროპელი პოლიტიკოსები ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ და ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგო პოლიტიკურ აქტივობებს ქრთამის სანაცვლოდ ახორციელებენ, ამის გამოძიება საქართველოს ანტიკორუფციული სამსახურს ევროკავშირისა და მისი სტრუქტურების მხრიდან ღია თუ ფარული ზეწოლის გარეშე უნდა შეეძლოს.**

### საქართველოსადმი ევროკავშირის რეკომენდაციის მე-5 პუნქტი:

**დეოლიგარქიზაციის ვალდებულების შესრულება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირადი ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრით.**

### ევროკავშირისადმი საქართველოს რეკომენდაციის მე-5 პუნქტი:

დეოლიგარქიზაციის კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები და პასუხისმგებლობები ავტომატურად შეეხებათ **არამხოლოდ სახელისუფლო ორბიტაზე, არამედ ოპოზიციურ ფლანგზე მყოფ ოლიგარქებს,** როგორებიც **კეზერაშვილი, ხაზარაძე, ოქრიაშვილი** და სხვები არიან, რაც ევროკავშირის მხრიდან არ უნდა იქნას შეფასებული „პოლიტიკური ოპონენტების დევნად“.

### საქართველოსადმი ევროკავშირის რეკომენდაციის მე-6 პუნქტი:

**ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა.**

### ევროკავშირისადმი საქართველოს რეკომენდაციის მე-6 პუნქტი:

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, სამართალდამცავ ორგანოებს გააჩნდეთ მოსახლეობის მაღალი ნდობა, რასაც ყველანაირად უშლის ხელს რადიკალური ოპოზიცია. შესაბამისად, **ევროკავშირმა და მისმა ინსტიტუტებმა ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ ნაციონალური მოძრაობისა და დასავლეთიდან დაფინანსებული ე.წ. ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციების მოსათოკად,** რომლებიც პერმანენტულ კამპანიას აწარმოებენ საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების დისკრედიტაციისა და დემორალიზაციის მიზნით.

### საქართველოსადმი ევროკავშირის რეკომენდაციის მე-7 პუნქტი:

**უფრო ძლიერი ძალისხმევის გაწევა თავისუფალი, პროფესიონალური, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმის უზრუნველსაყოფად, რომ მედიის მფლობელების წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცედურები შეესაბამებოდეს უმაღლეს სამართლებრივ სტანდარტებს. დაიწყოს მიუკერძოებელი, ეფექტური და დროული გამოძიება ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის ფაქტებზე.**

### ევროკავშირისადმი საქართველოს რეკომენდაციის მე-7 პუნქტი:

ევროკავშირმა მხედველობაში უნდა მიიღოს და ობიექტურ მოცემულობად აღიაროს ის ფაქტი, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, რომელთა დანაშაულებრივ საქმიანობაზეც ლეგიტიმური კითხვები ან სულაც დადასტურებული ფაქტები არსებობს, ცდილობენ, მედიაზე ამოფარებით შეიქმნან ხელშეუხებლობისა და მართლმსაჯულებისაგან თავის დაძვრენის პოლიტიკური გარანტიები. ასეთია, მაგალითად, თავდაცვის ყოფილი მინისტრი **კეზერაშვილი,** რომელიც ახლა ტელეკომპანია „ფორმულას“ დამფუძნებლის სტატუსით სარგებლობს და გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე **გვარამია,** რომელიც „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის სტატუსს იყო ამოფარებული.

### საქართველოსადმი ევროკავშირის რეკომენდაციის მე-8 პუნქტი:

**სწრაფი ნაბიჯები გადადგას მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის გასაძლიერებლად, მათ შორის, ძალადობაში დამნაშავეების და წამქეზებლების პასუხისგებაში უფრო ეფექტურად მიცემის გზით.**

### ევროკავშირისადმი საქართველოს რეკომენდაციის მე-8 პუნქტი:

„მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის გაძლიერებაში“ არ უნდა იგულისხმებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. ლგბტ პრაიდების გამართვის ვალდებულება, რადგან ეს სისხლხორცეულად ეწინააღმდეგება ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და რელიგიურ მრწამსს. **ქართული სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, დაიცვას ე.წ. ლგბტ თემის წარმომადგენელთა ყველა უფლება, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლების ჩათვლით, ევროკავშირმა კი, თავის მხრივ, უნდა გაითვალისწინოს და პატივი სცეს ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის ნებას, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავს ე.წ. გეი-აღლუმებსა და სოდომ-გომორული ცოდვის დემონსტრირებას.**

### საქართველოსადმი ევროკავშირის რეკომენდაციის მე-9 პუნქტი:

**განსაკუთრებით გაზარდოს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.**

### ევროკავშირისადმი საქართველოს რეკომენდაციის მე-8 პუნქტი:

ისევ და ისევ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ადათ-წესებისა და რელიგიური მრწამსის გათვალისწინებით, **ევროკავშირმა მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ საქართველოში „გენდერული თანასწორობის“ გამოხატულებად ვერასოდეს ჩაითვლება ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება, დედ-მამის ცნების გაუქმება**



და „მშობელი №1“-ისა და „მშობელი №2“-ის შემოღება.

### საქართველოსადმი ევროკავშირის რეკომენდაციის მე-10 პუნქტი:

**სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე.**

### ევროკავშირისადმი საქართველოს რეკომენდაციის მე-10 პუნქტი:

ევროკავშირმა ანგარიში უნდა გაუწიოს იმ მოცემულობას, რომ საქართველოში „სამოქალაქო საზოგადოებას“ მხოლოდ უცხოეთიდან დაფინანსებული მდიდარი არასამთავრობო ორგანიზაციები არ წარმოადგენენ; შესაბამისად, **„სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა“ არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ კოლექტიურ ლომჯარია-გიგაურთა მონაწილეობას ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.**

### საქართველოსადმი ევროკავშირის რეკომენდაციის მე-11 პუნქტი:

**კანონმდებლობის მიღება, რათა საქართველოს სასამართლოებმა პრაქტიკულად გაითვალისწინონ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები მათ მსჯელობებში.**

### ევროკავშირისადმი საქართველოს რეკომენდაციის მე-11 პუნქტი:

ევროკავშირმა ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების სრული უპატივცემულობა და უგულებელყოფა ქართული რადიკალური ოპოზიციის, განსაკუთრებით კი, ნაციონალური მოძრაობის მხრიდან. სულ ბოლო მაგალითი რომ მოვიტანოთ, ნაცოპოზიციის წარმომადგენლები არაფრად აგდებენ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც მსჯავრდებულ სააკაშვილს საქართველოში მკურნალობის ყველანაირი პირობა აქვს შექმნილი და გამოსაჯანმრთელებლად უცხოეთში გაგზავნას არ საჭიროებს.

**ევროკავშირს ადეკვატური რეაქცია და შეფასება უნდა ჰქონდეს „პროევროპულ ძალად“ თავწარმოდგენილი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ევროპული ინსტიტუტების უპატივცემულობაზე.**

### საქართველოსადმი ევროკავშირის რეკომენდაციის მე-12 პუნქტი:

**ახალი სახალხო დამცველის** (ომბუდსმენის) **წარდგენის პროცესში უპირატესობა მიენიჭოს დამოუკიდებელ პირს და ეს პროცესი გამჭვირვალედ წარიმართოს; უზრუნველყოფილი იყოს ოფისის ეფექტური ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.**

### ევროკავშირისადმი საქართველოს რეკომენდაციის მე-12 პუნქტი:

ევროკავშირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სახალხო დამცველის დამოუკიდებლობა გულისხმობს მის დამოუკიდებლობას არამხოლოდ სახელისუფლო, არამედ ოპოზიციის პოლიტიკური გავლენებისაგან. **არ შეიძლება, „დამოუკიდებელ ომბუდსმენად“ ჩაითვალოს ნინო ლომჯარიას მსგავსი პოლიტიკურად ანგაჟირებული პერსონა,** რომელიც უფლებადაცვით საქმიანობას შერჩევით, კონკრეტული შიდა და გარე ძალების პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად განახორციელებს.

## P.S.

**აი, ასეთია** ევროკავშირის მიერ საქართველოსათვის მიცემული **12 რეკომენდაცია!** **აი, ასეთი** უნდა იყოს საქართველოს საპასუხო **12 რეკომენდაცია** ევროკავშირისადმი! ისე კი,

**საქართველოში უფლის 10 მცნებას იმდენ ყურადღებას რომ უთმობდნენ, რამდენსაც – ევროკავშირის 12 რეკომენდაციას, ჩვენი საქმე გაცილებით უკეთესად იქნებოდა!**

*ჯაბა ხუბუა*



# ამხანაგი გაბუნია მიშას ნაცში გაბმულია!

***სანაცეთის ყველა სექტორში, პარტიით დაწყებული და პროპაგანდისტული განყოფილებით დამთავრებული, დიდი აშლილობაა, ანუ ჩვენივე ძველი კალამბური რომ მოვიშველიოთ, მონასტერი არეულია!***




მართალია, ნაცპარტიის მოქმედ და ყოფილ თავმჯდომარეებს — **ხაბეიშვილსა და მელიას** შორის ძიძგილაობა კარგა ხნის დაწყებულია, მაგრამ, როგორც ჩანს, მოაწია ჟამმა, როცა **მელიამ,** თავის ამქართან ერთად, პარტია ოფიციალურად, კარის გაჯახუნებით უნდა დატოვოს და **კეზერაშვილ-მერაბიშვილის** არაფორმალური მმართველობის ქვეშ მოქცეულ „მთავარ ოპოზიციურ ძალას“ საპარლამენტო არჩევნების წინ მტკივნეული დარტყმა მიაყენოს.

მოსალოდნელი შიდაპარტიული ტურბულენტობის შესახებ, ცხადია, საქმის კურსში გახლავთ **კლინიკა „ვივამედის“ ვრცელ და კომფორტულ პალატაში მონებივრე პატიმარი ნაცბელადი,** რომელმაც გასულ კვირას სოციალურ ქსელში წერილი გამოაცხო — **ვინც ნაცმოძრაობისაგან განდგომას გადაწყვეტს, პოლიტიკურად ზუსტად ისე განულდება, როგორც გიგა ბოკერიაო!**

ანუ სააკაშვილი კენჭს მელიას ბოსტანში ისვრის — **ბოკერიასაც ეგონა, რომ ჩემგან დამოუკიდებლად მიაღწევდა წარმატებას, მაგრამ კრახი განიცადა და იცოდე, შენც იგივე მოგელისო!**

სხვათაშორის, სწორედ ამ შიდაპარტიულ ორომტრიალში, ვითარცა გაჭირვებულ კაცს აღმართში — ქვა, სწორედ ისე წამოეწია ნაცსექტას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ **ნიკა მელიას დაკავების ოპერაციაც და მისთვის პატიმრობის შეფარდებაც სრულიად კანონიერად მოხდა.**

მოკლედ, არეული მონასტრის თავზე საავდრო ღრუბლები სულ უფრო ინტენსიურად ჯარდებიან, თუმცა, პარტიულ უჯრედში ატეხილი შფოთი კიდევ არაფერია იმასთან, რა ქარბორბალაც ნაცსექტის პროპაგანდისტულ განყოფილებაში — **ტელეკომპანია „მთავარ არხში“** ტრიალებს!

საქმე ის არის, რომ ნაცმოძრაობის პარტიული ტელევიზიის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **გიორგი გაბუნიამ** გასულ კვირას თავისივე არხის ეთერში განაცხადა — **მორჩა, ნაცების ტელევიზია აღარ ვართო!**

კონკრეტულად, აი, რა თქვა გაბუნიამ, რომელიც ჯერ ნაცების მიერ მიტაცებული „რუსთავი-2“-ის, ხოლო შემდეგ „მთავარი არხის“ მთავარი ტელესახე იყო, ახლა კი დირექტორის ნაგვარამიალ სავარძელშია ჩასკუპებული:

***„სამწუხაროდ, ნაცების ტელევიზიის იარლიყი ტყუილად არ გვქონდა აკრული და ახლა შემიძლია, ძალიან დიდი სიამაყით და ბედნიერებით ვთქვა, „რუსთავი-2“-დან მოყოლებული ეს არ მომხდარა, რომ ნაცების ტელევიზია აღარ ვართ ნამდვილად“.***

რა თქმა უნდა, გაბუნიამ კარგად იცის, რომ ცარიელ სიტყვაზე არავინ ენდობა და მის ნათქვამს — ნაცების ტელევიზია აღარ ვართო — ხალხი არ დაიჯერებს, ამიტომ იქვე დასძინა:

***„კიდევ წლები დასჭირდება, რომ ხალხმა დაიჯეროს ეს და დააფიქსიროს, უნდა უყუროს ეთერს სისტემატურად“.***

**გაბუნიამ,** რომელიც ტელეწამყვანობის დროს ხან ღვთისმშობელს შეურაცხყოფდა და ხან ქრისტეს ჯვარცმის გაშარჟებით იყო დაკავებული, ისიც განაცხადა, რომ „მთავარი არხის“ თანამშრომლები ნაცმოძრაობის უღლის გადაგდებით ძლიერ გახარებული არიან:

***„პირველად რომ გამოვაცხადე — მორჩა და აღარა ვართ ნაცების ტელევიზია, ნიუსრუმში იყო ტაში და ჟრიამული“.***

„მთავარი არხის“ გენდირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნაციონალურ მოძრაობაში არსებული დაპირისპირების შესახებაც ისაუბრა, მოქმედ თავმჯდომარე **ხაბეიშვილს** — „ვაი“, ყოფილ თავმჯდომარე **მელიას** კი „უი“ უწოდა და განაცხადა:

***„მე გავაშუქებ, რასაც ისინი გააკეთებენ ან ვერ გააკეთებენ. უნდა მიხვდნენ, თავიანთი ადგილი სად არის“.***

ბუნებრივია, **გაბუნიას** განცხადება — **ნაცების ტელევიზია აღარ ვართო** — არცერთ ჭკუათამყოფელს სასაცილოდ არ ეყოფა, რადგან ეს იმას ჰგავს, მთელი ცხოვრების განმავლობაში პანელზე მდგომმა მეძავმა ერთ მშვენიერ დღეს თქვას — **მორჩა, მეძაობას თავს ვანებებო,** მაგრამ პანელიდან ფეხი არ მოიცვალოს ან ღორმა განავლიდან დინგამოუღებლად დაიღრუტუნოს — განავლის ჭამას შევეშვიო!



**კვესიტაძე, რომელსაც ცხონებულმა თამაზ წივწივაძემ ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ მოუწოდა – ეკა, ჩამოდი სააკაშვილის მუხლებიდანო, ჩამოსვლას კვლავაც არ აპირებს!**

სხვა თუ არაფერი, გაბუნიას განცხადებას — **ნაცების ტელევიზია აღარ ვართო,** თუნდაც იმიტომ ვერ დავიჯერებთ, რომ „მთავარი არხის“ მეწილეები სააკაშვილის დედა **გიული ალასანია** და სააკაშვილის ბიძაშვილი **ნიკა ალასანია** არიან.

კერძოდ, საჯარო რეესტრის ოფიციალური მონაცემების თანახმად, **შპს „მთავარი არხის“ 2-პროცენტიანი წილის მფლობელია შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“, ხოლო, თავის მხრივ, შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ მესაკუთრეები არიან გიული ალასანია — 37,5-პროცენტიანი წილით და ნიკოლოზ ალასანია — 12,5-პროცენტიანი წილით.**

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ „მთავარი არხის“ 3-პროცენტიანი წილის მესაკუთრე **ნიკოლოზ სისაური** იმ ტელეკომპანია „საქართველოს“ დირექტორია, რომლის მფლობელებიც ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერისა და ხაზინადარის — **კობა ნაყოფიას** ვაჟი და სააკაშვილის რეჟიმის კარის ბიზნესმენები — **ძმები ყარამანიშვილები** არიან.

და, საერთოდ, **გიორგი გაბუნიას,** „მთავარი არხის“ სხვა ჟურნალისტებთან თუ ჭურნალისტებთან ერთად, ერთი ლიტონი განცხადება კი არა, ათი ცხოვრება არ ეყოფა იმისათვის, რომ სისხლიანი ნაცბანდის — მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის მსახურის დამღა მოიშოროს!

მოკლედ, ცნობილი ფუნაგორია — **„ამხანაგი ნაყოფია მიშას ნაცში ნამყოფია“** რომ ავიღოთ და იმის მოტივზე ვთქვათ — **ამხანაგი გაბუნია მიშას ნაცში გაბმულია!**

მიშას ნაცი კი ისეთი ხაფანგი გახლავთ, იქ გაბმული ადამიანი თავს ვერაფრით დაიძვრენს!

**ერთადერთი ღირებულება, რაც ამხანაგ გაბუნიას ნათქვამს გააჩნია, იმის აღიარება გახლავთ, რომ ადრინდელი „რუსთავი-2“-იც ნაცმოძრაობის პარტიული ტელევიზია იყო და დღევანდელი „მთავარი არხიც“ ნაცმოძრაობის პარტიული ტელევიზიაა, რომელსაც „დამოუკიდებელ და თავისუფალ მედიასთან“ საერთო არაფერი აქვს!**

ცხადია, ეს ისედაც ყველამ იცოდა, მაგრამ სულ სხვაა, როცა ამას ნაცმოძრაობის პარტიული ტელევიზიის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თავისი პირით აღიარებს!

**სწორედ გაბუნიას ამ აღიარებამ დაუფრთხო ოფოფები „მთავარი არხის“ ტელე-დივა ეკა კვესიტაძეს, რომელმაც თავის საავტორო გადაცემაში თვალები დააკვესა, აღშფოთებით აკვნესდა და გაბუნიას გაემიჯნა** — მისი განცხადებით შეურაცხყოფილი ვარ, მე ნაცებს კი არ ვემსახურები, საქართველოს თავისუფლებისათვის ვიბრძვიო!

**კვესიტაძე,** რომელსაც ცხონებულმა **თამაზ წივწივაძემ** ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ მოუწოდა — **ეკა, ჩამოდი მიშას მუხლებიდანო,** როგორც ჩანს, მიშას მუხლებიდან ჩამოსვლას კვლავ არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ მიშას მუხლებზე ნამეტანი სივიწროვეა და ადგილი, ფაქტობრივად, აღარ არის!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **კვესიტაძეც სამუდამოდ არის დარჩენილი მიშას მუხლებზე და გაბუნიაც სამუდამოდ გაბმულია მიშას ნაცში!**

მათ იქიდან ჩამოსვლისა და გამოსვლის არც შანსი გააჩნიათ და არც სურვილი!

***გიორგი ძაძამია***

***ზურაბ-გირჩი ჯაფარიძისა და ელენე-ლიაკა ხოშტარიას მიერ გამოცხადებული პოლიტიკური ერთობისათვის ადეკვატური შეფასების მისაცემად ბევრი ფიქრი, ალბათ, ისედაც არ დაგვჭირდებოდა, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნინო წილოსანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ საქმე კიდევ უფრო გაგვიადვილეს.***

# სამში ერთი გამოაკლდათ,

## ანუ შარვალჩახდილი და რუბლ-გადახდილი თავიდან დაწყვილდნენ!



კერძოდ, როცა **ნინო წილოსანს** ჟურნალისტებმა ჰკითხეს — **ჯაფარიძისა და ხოშტარიას პოლიტიკურ დუეტზე რას იტყვითო** — დეპუტატმა ქალბატონმა უპასუხა:

***„ძალიან ვწუხვარ, რომ სამში ერთი გამოაკლდათ, ვგულისხმობ ვაშაძეს“.***

შეიძლება, გახსოვდეთ ან არც გახსოვდეთ, რომ გასული წლის შემოდგომაზე **ელენე-ლიაკა ხოშტარიამ, ზურაბ-გირჩი ჯაფარიძემ და გიორგი-ჯიჯი ვაშაძემ** პოლიტიკური ტრიო შექმნეს, ივანიშვილის „მონსტრი რეჟიმის“ დასამარცხებლად დაირაზმნენ და „საქართველოს ევროპული მომავლის გადარჩენისათვის“ ერთობლივი ბრძოლის დაწყება დააანონსეს.

**— მე, ზურას და გიორგის, ამ ეტაპისთვის, პოზიციებში სრული თანხმობა გვაქვს და ერთად ვიმუშავებთ!** — აცხადებდა მაშინ **ელენე ხოშტარია**, ანუ **ლიაკა რუბლოვნა,** რომელსაც ეს მეტსახელი მას შემდეგ შეარქვეს, რაც დოკუმენტურად გამომზეურდა, რომ რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან რეგულარულად ურიცხავენ ასიათასობით რუბლს.

თუმცა,

**ხოშტარია-ვაშაძე-ჯაფარიძის პოლიტიკურმა სამაიამ დიდხანს ვერ გასტანა, რადგან სამში ერთი – გიორგი ვაშაძე ისევ იქ შეძვრა, საიდანაც თავის დროზე გამოძვრა – სააკაშვილის ნაცში!**

ჰოდა, სწორედ ამას გულისხმობდა დეპუტატი **ნინო წილოსანი,** როცა **ხოშტარია-ჯაფარიძის ახალი პოლიტიკური გაერთიანების** შესახებ განაცხადა — **ვწუხვარ, რომ სამში ერთი გამოაკლდათო!**

შესაბამისად, ასეთი კონფიგურაცია დალაგდა: **სამში ერთი** — **გიორგი ვაშაძე** ახლა **ლევან ხაბეიშვილის** მეწყვილეა, ხოლო **სამში ყველაზე გრძელი** — **გირჩი ჯაფარიძე** კვლავ **ხოშტარიასთან** რჩება!

თუ დეპუტატმა **ნინო წილოსანმა ხოშტარია-ჯაფარიძის პოლიტიკურ ერთობაზე** საუბრისას საყოველთაოდ ცნობილი ევფემიზმი — **„სამში ერთი“** გამოიყენა, თბილისის მერმა **კახა კალაძემ** იმავე ფაქტის კომენტირებისას კლასიკური ანდაზა მოიხმო — **მკვდარი მკვდარს აეკიდაო!**

კონკრეტულად, აი, რა თქვა მან **ხოშტარია-ვაშაძის დუეტის** შესახებ:

***„ერთი მკვდარი მეორე მკვდარს აეკიდა, რა წარმატებაზეა საუბარი? ასეთი გაერთიანებების საბოლოო შედეგი რა იყო, ყველას გვახსოვს და იგივე იქნება ამ შემთხვევაშიც“.***

ქართული ანდაზა, რომელიც **კალაძემ** ბოლომდე არ თქვა, სრულყოფილად ასე ჟღერს: **მკვდარი მკვდარს აეკიდა — სამარემდე მათრიეო!**

ერთმანეთს აკიდებული **ორი პოლიტიკური მკვდარი — ჯაფარიძე და ხოშტარია** ერთმანეთს პოლიტიკური სამარისაკენ რომ მიათრევს, ამის ვიზუალური სიმბოლიზაცია გახლავთ მათ მიერვე გადაღებული და გავრცელებული კლიპიც, რომლის ყველაზე სახასიათო და დასამახსოვრებელი პერსონაჟი ტყავის ტახტია.



სამში ერთი — გიორგი ვაშაძე ახლა ლევან ხაბეიშვილის მეწყვილეა, ხოლო სამში ყველაზე გრძელი — გირჩი ჯაფარიძე კვლავ ხოშტარიასთან რჩება!

კლიპში **პარტია „დროას“ ლიდერი ხოშტარია** და **„გირჩი — მეტი თავისუფლების“ ლიდერი ჯაფარიძე** ტახტს შუა ქუჩაში, ე.წ. მოდულის შენობის წინ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე დგამენ და ზედ სხდებიან, მერე კი კადრში ერთმანეთის მიყოლებით შემოდიან წვრილ-წვრილი გირჩელები და დროელები, რომლებიც ასევე ტახტზე და ტახტის გარშემო განლაგდებიან...

**შესაძლოა, რუსული რუბლებით დაფინანსებულ ხოშტარიას და ატოცში რუსი სალდათების წინაშე შარვალჩახდილ ჯაფარიძეს ჰგონიათ, რომ მათ კლიპში ტახტი ძალაუფლებას განასახიერებს, მასზე დაჯდომა კი — ტახტზე**

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ჯაფარიძე**
*„გირჩი — მეტი თავისუფლებისთვის“ ლიდერი*



არ მჯერა, რომ **სალომე ზურაბიშვილს** რაიმე ბერკეტი გააჩნია, რომ ჩავიდეს ევროკავშირის ქვეყნების დედაქალაქებში და იქ მოლაპარაკებებით რაიმე შედეგი დადოს — **ერთადერთი რაც შეუძლია არის ის, რომ სააკაშვილი გამოუშვას.**

„ინტერპრესნიუსი“

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ტელეკომპანია **„ფორმულას“ მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანია,** რომელმაც უკვე 100 000 დოლარზე მეტი აიღო, **ეწევა საქართველოს საბოტაჟს** და მისი ინტერესების წინააღმდეგ იბრძვის.

„იმედინიუსი“

**მიშა მშვილდაძე**
*„ფორმულის“ თანადამფუძნებელი*



აქედანვე ვაფრთხილებ ყველა ოპოდეპუტატს — **ზურაბიშვილის იმპიჩმენტში ვინც „ქოცებს“ ხმას მისცემს, იქნება მოღალატე,** უტვინო და განდონი და ჩემი ხელით გავლახავ.

„ალია“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



ახლა კიდევ **სალომე ზურაბიშვილი** დამაცვევინეთ... თუ დაცვა უნდა, ჯერ თავად გადადგას ნაბიჯი და **შეიწყალოს მიხეილ სააკაშვილი!**

„პალიტრანიუსი“




**ასვლას, ანუ ძალაუფლების ხელში აღებას, მაგრამ რუბლგადახდილისა და შარვალჩახდილის რეიტინგს თუ შევხედავთ, ეს ტახტი, პოლიტიკური თვალსაზრისით, მათი სასიკვდილო სარეცლის სიმბოლოა!**

ცალკე საკითხია სლოგანი, რომელიც რუბლგადახდილისა და შარვალჩახდილის პოლიტიკურმა გაერთიანებამ გაახმიანა — **„ნეიტრალური არჩევანი“...**

ესეი იგი, **არც ნაცები ვართ და არც — ქოცებიო!**

ვისაც გგონიათ, რომ ქოცებსა და ნაცებს იქით არჩევანი არ არსებობს, ძალიან ცდებით, **აგერ ვართ ჩვენ — ნეიტრალური ხალხიო!**

ვისაც ქოცები არ მოგწონთ და ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნება არ გინდათ, **ჩვენ აგვირჩიეთო!**

ეტყობა, **რუბლგადახდილ ხოშტარიას** ჰგონია, რომ ქართველი ხალხი ისეთივე დასტვენილია, როგორც თვითონ უსტვენს პირში სასტვენჩადებული!

ეტყობა, **შარვალჩახდილი ჯაფარიძე** ფიქრობს, რომ ქართველი ხალხის დაბოლება ისეთივე ადვილია, როგორც თვითონ ბოლდება **მარიხუანითა თუ მარიხუინით!**

სინამდვილეში, ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის:

**ხოშტარიაც და ჯაფარიძეც ჩვეულებრივი ნაცები არიან, რომლებსაც, შეიძლება, ჯიბეში ნაცმოძრაობის პარტბილეთი აღარ უდევთ, მაგრამ სული, გონება და მორალი ისევ ნაცური აქვთ!**

ქართველ ხალხს ძალიან კარგად ახსოვს, რომ **რუბლგადახდილი ხოშტარია,** რომელსაც **სანდრო გირგვლიანის** მეგობრად მოჰქონდა თავი, **სანდრო გირგვლიანის** სასტიკი მკვლელობის შემდეგ სააკაშვილის ბანდას კი არ განუდგა, პირიქით, მისი მეგობრის მკვლელთა ბუნაგში უფრო ღრმად გაიდგა ფესვი, თანამდებობრივად დაწინაურდა და სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე გახდა.

ქართველ საზოგადოებას არც ის დავიწყებია, რომ **შარვალჩახდილი ჯაფარიძე** ნაციონალურ მოძრაობაში გაწევრიანდა და პარტიის გენერალური მდივანი გახდა 2011 წლის 26 მაისის შემდეგ, როცა ნაცრეჟიმმა რუსთაველის გამზირზე ნამდვილი სასაკლაო მოაწყო და ცემით დახოცილ მომიტინგეთა ცხედრები ჯიხურის სახურავზე შეალაგა.

ქართველ საზოგადოებას ისიც ემახსოვრება, რომ **შარვალჩახდილმა ჯაფარიძემ** სატელევიზო გამოსვლაში აღიარა — **ვიცოდი, რომ ციხეში პატიმრებს აწამებდნენო!**

**იცოდა და მაინც გაწევრიანდა მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელ პარტიაში!**

ამ ყველაფრის შემდეგ **რუბლგადახდილი და შარვალჩახდილი** ცდილობენ, საზოგადოებას დააჯერონ, თითქოს ნაცები აღარ არიან... თითქოს არაფერი აკავშირებთ სააკაშვილის ბანდასთან... თითქოს ნეიტრალურ არჩევანს წარმოადგენენ...

**ეჰ, რა სასაცილო და საბრალოა შარვალჩახდილისა და რუბლგადახდილის პოლიტიკური დუეტი, რომელსაც სამში ერთი გამოაკლდა!**

მიუხედავად იმისა, რომ **სამში ერთის — ჰიჰე ვაშაძის** წასვლის შემდეგ **სამში ყველაზე გრძელი — გირჩი ჯაფარიძე** ხოშტარიასთან დარჩა, **რუბლგადახდილისა და შარვალჩახდილის დუეტს** ტახტზე ასვლა მაინც არ უწერია!

ერთმანეთს აკიდებულ პოლიტიკურ მკვდრებს ეგ ტახტი მხოლოდ იმისათვის გამოადგებათ, რომ ერთმანეთი პოლიტიკურ სამარემდე მიათრიონ!

***ჯაბა ხუბუა***







# წელს, 30 წლის წინათ, ჟიული შარტავა უნდა მოკვდეს!

*დასაწყისი იხ. „ა-დ“ №38-39*

***ცნობილი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე აფხაზეთის დაცემისა და ჟიული შარტავას დახვრეტიდან ოცდაათი წლისთავზე საქართველოს უახლესი ისტორიისთვის ესოდენ საჭირო და აუცილებელ ფაქტებს ასაჯაროებს და გენერალურ პროკურატურას მოუწოდებს, დაუყოვნებლივ დაჰკითხოს შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსანი გიორგი ბარამიძე:***



— რამდენი ხანია, ჩვენს ინტერვიუებში საქართველოს უახლესი ისტორიის საჭირბოროტო თემებს ვეხებით, რამდენი სკანდალური და მნიშვნელოვანი ინფორმაცია გავაჟღერეთ, რაც ჟიული შარტავას მკვლელობას, აფხაზეთის ომს, სოხუმის ჩაბარებას და, საერთოდ, იმ ღალატს ეხება, რომელმაც ქვეყანა დაღუპა, მაგრამ გენერალური პროკურატურა დღემდე ხმას არ იღებს! **თუ ამ ყველაფერზე რეაგირება არ იქნება, თუ ჩვენი ლაპარაკი ლაპარაკად უნდა დარჩეს, მაშინ რა აზრი აქვს ამ ყველაფერს?**

**კახა შარტავამ** ერთხელ თქვა — ჩვენ, აფხაზეთში დაღუპულთა შვილები, არასოდეს ვიკითხავთ — „რატომ?“ თუ გვეცოდინება — „რისთვის?“

**მაინტერესებს, რისთვის დაიღუპა ამდენი ხალხი? რისთვის დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო? რისთვის ამდენი დევნილი? რისთვის ვისჯები მე და ვერ შევდივარ ახალგორის რაიონის სოფელ დადიანეთში, სადაც პაპაჩემის, ბებიაჩემისა და ჩემი ძმების საფლავებია?** 2008 წლამდე ჩვენ იქ დავდიოდით და დღეს „ქართული ოცნების“ სახელით ტელეეკრანიდან ჭკუას, იცით, ვინ მარიგებს? ვინც წყეული **ზურაბ ადეიშვილის** ჯაკუზში ნებივრობდა! სულ მცირე, ათ მაღალჩინოსანს ჩამოგითვლით, რომლებსაც ზურგზეც, კუდუსუნზეც და გულზეც „ხუთიანები“ ეწერათ და დღემდე ბიძინა ივანიშვილს ლანძღავენ... აი, მაგალითად, 2012 წლიდან კასპში პირველი პირი „ქართული ოცნების“ წევრი არ ყოფილა... ხოლო ბალტიისპირელი **გია ბარამიძისგან** ისეთი ტროას ცხენი გამოჩორკნეს, რომ ამ კაცს გაუბედურებული ქართული პოლიტიკის ავანსცენიდან 31 წელია, ვერ ვიშორებთ...

***— გია ბარამიძე ბალტიისპირელია?***

— შევარდნაძეს ერთხელ ჩემთვის ნათქვამი აქვს — **ჩემი ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლების სათავეში გვარგადაკეთებული ხალხი მოვიყვანეო!** დიახ, გია ბარამიძე არის ბალტიისპირელი, რომელსაც სასჯელად ისიც ეყოფა, რომ **ზურაბ ჟვანიას** მკვლელობას დღემდე ფარავს! ეს კაცი პარლამენტსა და ხელისუფლებას ვერ მოაშორეს! **ჟიული შარტავა** რომ დახვრიტეს, მესამე დღეს მისი შვილიშვილი — **პატარა ჟიული შარტავა** დაიბადა. ბიჭი უკვე ოცდაათი წლის ხდება და ის და მისი თაობა, რომლებსაც იარაღი ხელში არ აუღიათ და არავის სისხლი დაუღვრიათ, ვინმემ ხელისუფლებას მიაკარა?

**უმცროსი ჟიული შარტავა** ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა ინტერვიუ ჩამოვართვი და საოცარი რამ მითხრა:

> *„მე არ ჩამოვთვლი ბაბუას თანამდებობებს, ყოველთვის იყო სიმაღლეზე, მაგრამ მისი მწვერვალი სამშობლო იყო, უპირველეს*

### ჟიული შარტავა:

## რაღაც ხდება უფრო მზაკვრული, ვიდრე ეს ზედაპირზეა, მაგრამ რა? აფხაზეთი გასხვისებულია? რატომ არ ყვირის საქართველო? რა მოუვიდათ სერგოს, საიდს, ბიჭებს, როგორ გააუცხოეს? მათაც ეყიდებათ თუ ყიდიან აფხაზეთს?

***გაგრძელება მე-8 გვერდზე***

## კვირგვინოსნები

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



ავაზაკი **კეზერაშვილი** არამხოლოდ თავისი ჯიბის ტელეკომპანია **„ფორმულას“** პრომოსთვის იხდის **მოპარულ ფულს,** არამედ საქართველოს „გაშავებისთვისაც“.

ე.წ. **„რუსული კანონის“** შთამაგონებელმა, **აშშ-ში უცხოელი აგენტების გამომვლენმა სისტემა** FARA-მ *(უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი)* გვამცნო, რომ მაისიდან დღემდე Cornerstone Ddivernment Affairs-მა **ძებნილი ოლიგარქისგან „ფორმულას“ ლობირებისთვის 110 ათასი დოლარი მიიღო.**

„იმედინიუსი“

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ვაი, ჩვენი ბრალი, ოპოზიციამ ისე წაიყვანეთ საქმე, რომ **ბიძინა ივანიშვილის** თოჯინის, **სალომე ზურაბიშვილის** დაცვა გვჭირდება — **რისი იმპიჩმენტი, სირცხვილი არ არის პრეზიდენტს იმპიჩმენტი გავუკეთოთ?**

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



ყველაზე მეტს ლაპარაკობს ის ოპოზიცია, რომელსაც **რეკომენდაციებთან დაკავშირებით არცერთ სამუშაო ჯგუფში არ მიუღია მონაწილეობა,** მათი მიზანია, **საქართველოს სტატუსი არ მიენიჭოს.**

„პირველი არხი“

**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპელი დემოკრატების“ გენერალური მდივანი*



ნაცმოძრაობას **არც აწყობს გარეთ გამოსული მიშა,** პირიქით, როგორც წამებული, **ურჩევნიათ, ციხეში ჰყავდეთ.** თუ ოპოზიცია არ მიიღებს **იმპიჩმენტის პროცედურაში** მონაწილეობას, მაშინ „ოცნება“ იტყვის, რომ ოპოზიცია იცავს მას, **ვინც არღვევს კანონს და არღვევს კონსტიტუციას.**

„ახალი თაობა“

დასაწყისი მე-7 გვერდზე





## გიორგი ბარამიძე:

# ჟიული შარტავასა და მისი მეგობრებისათვის იქ ხაფანგი იყო დაგებული!

## მაყვალა ბერიანიძე:

# თუ ჟიული შარტავას ხაფანგი დაუგეს და გიორგი ბარამიძემ ეს ყველაფერი იცის, პროკურატურას სძინავს?



*ყოვლისა. ამ მწვერვალისათვის გაიღო ყველაზე ძვირფასი და საოცარი — სიცოცხლე! შევძლებ კი ოდესმე ამ მწვერვალის, საქართველოს გაერთიანების სასიხარულო ამბავი პირველმა ვუთხრა მის სულს? იქნებ, მოვიდეს დრო, როცა გავიგებ, ვინ დაუგო ხაფანგი დიდ ჟიული შარტავას სოხუმში! ვინ უღალატა და რატომ? ვის სურდა საქართველოს დაშლა და ღირსეული კაცის უღირსების ხელით მოკვლა?"*

**— მართლაცდა ვინ დაუგო ხაფანგი ჟიული შარტავას?**

— არავის არაფერს ვაბრალებ და გენერალური პროკურატურის გასაგონად ვაცხადებ: შემონახული მაქვს 2004 წლის 27-30 სექტემბრის გაზეთ **„სამშობლოს დამცველის"** უკანასკნელი ნომერი, სადაც გამოქვეყნებულია მაშინდელი თავდაცვის მინისტრის **გიორგი ბარამიძის** ინტერვიუ. ეს გახლდათ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაზეთი, რომელიც მაშინდელი გენშტაბის უფროსის **გივი იუკურიძის** დიდი მეცადინეობით გამოვიდა და მთავარ რედაქტორად მიმიწვიეს... „სამშობლოს დამცველი" 2004 წლის 27 სექტემბერს **გიორგი ბარამიძემ** დახურა, რადგან გაზეთში გამოქვეყნდა მისი აღსარება, სადაც მან ჩემთან ინტერვიუში დაწვრილებით ილაპარაკა ჟიული შარტავას სიცოცხლის უკანასკნელ საათებზე.

**— მაინც რა ილაპარაკა?**

— აი, რა ილაპარაკა გიორგი ბარამიძემ:

*„სოხუმი დავტოვე 27 სექტემბერს. ჩვენ — მე და ჩემი მეგობრები, ფაქტობრივად, გზაზე ვიდექით და ვცდილობდით, შეგვეჩერებინა კოლონები, რომლებიც სოხუმიდან გამოდიოდნენ. ხან წინ გადავუდგებოდით და ვეუბნებოდით, რომ პოზიციებზე დაბრუნებულიყვნენ. უმეტესობას, სამწუხაროდ, ფიზიკურადაც ვერ ვაჩერებდით..."*

ამის შემდეგ ბარამიძეს ვკითხე — **ერთი ტანკიც რომ გაეგზავნათ, ჟიული შარტავა, სოხუმის მერი გურამ გაბისკირია და ყველანი გადარჩებოდნენ და რა მოხდა სინამდვილეში-მეთქი?** აი, რა მიპასუხა ბარამიძემ —

*„როდესაც 26 სექტემბერს დაღამდა, 12 კაცთან ერთად მე გახლდით მინისტრთა კაბინეტის შენობაში. ღამით ჟიული შარტავა გამოიძახეს ე.წ. „გოსდაჩაზე" — ბერიას აგარაკზე და უკან შემოსვლა ვეღარ მოახერხა. პრაქტიკულად, ითვლებოდა, რომ 26-27 სექტემბრის ღამეს სოხუმი სეპარატისტებმა აიღეს. სოხუმი იყო დაცარიელებული, თუმცა, ეს ბოლომდე ასე არ იყო, ვითომ წინააღმდეგობის რამდენიმე წერტილი არსებობდა. მათ შორის ვიყავით მცირე ჯგუფი ბატალიონ „თბილისელის" ერთ ნაწილთან ერთად. ასევე იყო შინაგანი ჯარის სამი წარმომადგენელი — ერთი ოფიცერი და ორი ჯარისკაცი სოხუმის კომენდატურიდან. მე მაშინ ვიყავი საქართველოს პარლამენტის წევრი, დეპუტატი. ჩემთან ერთად იყო პარლამენტის წევრი* ***დავით ბაშალეიშვილი...*** *ჩვენ როცა გამოვედით წითელ ხიდზე, არავინ შეგვხვედრია, არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა. სოხუმი ცარიელი იყო და მინისტრთა საბჭოდან ფეხით წამოსულები, „გოსდაჩამდე" მივედით. უკვე რიჟრაჟი იყო, 27 სექტემბერი თენდებოდა... „გოსდაჩაზე" შევხვდით ბატონ* ***ჟიული შარტავას,*** *რომელიც ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო და ძალიან განიცდიდა ემოციურად ყველაფერს, რაც ხდებოდა. ვთქვი, რომ ცარიელ კედლებს ვიცავდით და რეალურად მთავრობა სულ სხვა ადგილზე იყო. ჟიული განიცდიდა..."*

**— მერედა, ვინ შეაბრუნა იმ ცარიელ კედლებსა და შენობაში ჟიული შარტავა, რაღა იყო იქ დასაცავი-თქო, ვერ ჰკითხეთ?**

— სწორედ ეგ ვკითხე და **გიორგი ბარამიძემ** ასე მიპასუხა —

*„ჩემთვის ეგ დღემდე გაურკვეველია... ბატონი ჟიული უკან იმიტომ შეტრიალდა, რომ ნამდვილი ვაჟკაცი იყო. მას მიაჩნდა, რომ ჩაძირულ გემზე კაპიტანი ბოლომდე უნდა დარჩეს და რომ იტყვიან, და..."*

ბარამიძეს სწორედ აქ ჩავეჭერი — **კაპიტანი სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე იყო-მეთქი!** სააკაშვილის თავდაცვის მინისტრი დიდხანს დუმდა და მერე გააგრძელა

*„— როგორც მეგობრებმა მითხრეს, ბატონი ჟიული შეტრიალდა იმიტომ, რომ უთხრეს — ჩვენი ნაწილები უკან შებრუნდნენ და იქ უნდა იყოო!"*

**— ბარამიძემ რაო, ვინ მოატყუა და ეს ვინ უთხრა ჟიული შარტავასო?**

— გიორგი ბარამიძემ შევარდნაძეს ხელი არ დაადო და ასეთი პასუხი გამცა —

*„მე არ ვიცი, ბატონ ჟიულის ეს ვინ უთხრა!"*

ცხადია, მან იცრუა, რადგან ძალიან კარგად იცის ყველამ, რომ შევარდნაძის გარდა ასეთ ბრძანებას ჟიულის სხვა ვინმე ვერ მისცემდა. ბარამიძემ განმიცხადა —

*„27 სექტემბერს, დილით, „გოსდაჩაზე" საუბარი გვქონდა მე და ბატონ ჟიულის. მას იმედი ჰქონდა, რომ მობილიზაცია მოხდებოდა და რაღაც შეიცვლებოდა."*

— **ჟიულის ყარყარაშვილის იმედი ჰქონდა?** — ვკითხე.

*„—* ***დიახ, ყარყარაშვილის!*** *ჟიული შარტავასა და მისი მეგობრებისათვის იქ ხაფანგი იყო დაგებული! ჟიული შარტავა თავის თანაშემწეებთან ერთად წავიდა. ბუკვალურად რაღაც საათ-ნახევარში გავიგეთ, რომ სამწუხაროდ, ჩვენები ვერ შესულან და იქ, ფაქტობრივად, ხაფანგი იყო მოწყობილი ბატონი ჟიულისა და მისი მეგობრებისათვის!"*

**ახლა მე ვკითხულობ: თუ ჟიული შარტავას ხაფანგი დაუგეს, თუ გიორგი ბარამიძემ ეს ყველაფერი იცის და ამ ყველაფერს უშუალოდ უყურებდა, პროკურატურას სძინავს, ჟიული შარტავას მკვლელობის საქმე თაროზე რომ დაიმტვერა?**

**— როგორც ჩანს, პროკურატურას მართლაც სძინავს!**

— მერედა, მძინარეები იშენებენ ამ სასახლეებს? 2004 წლის 27 სექტემბერს, როგორც კი ზემოხსენებული ინტერვიუ გამოქვეყნდა, **გიორგი ბარამიძემ** იმავე დღესვე დახურა **გივი იუკურიძის** მიერ შექმნილი გაზეთი. ცნობისათვის, **გივი იუკურიძეს** 2004 წლის აგვისტოში ცხინვალი გათავისუფლებული ჰქონდა და კოკოითი გაქცეულიც იყო, მაგრამ სააკაშვილმა დაურეკა და უკან გამოაბრუნებინა ყველაფერი. **რომ იცოდეთ, 2004 წლის აგვისტოში ცხინვალში ცეცხლი გია ბარამიძემ გახსნა, რომელიც სწორედ იმ დღეს მოსკოვიდან დაბრუნდა....**

**— შევარდნაძეს არ ჰკითხეთ — გიორგი ბარამიძე ჟიული შარტავას უკანასკნელი დღის შესახებ ასე და ასე ლაპარაკობს-თქო?**

— ვკითხე და ასე მიპასუხა — **ბარამიძე კარგი ბიჭია, მაგრამ შეიძლება რაღაც-რაღაცები კარგად არ ახსოვს!** ყველაზე მაგარი ის იყო, შევარდნაძემ რომ მითხრა — **მე ცოდვები არ მაქვსო!** ჩავეძიე — ბატონო ედუარდ, როგორ გეკადრებათ, ცოდვა როგორ არ გექნებათ-მეთქი? — **არა, არ მაქვსო!** მერე მითხრა — **მთავრის მწამსო!** — რა მთავრის, არ გადამრიოთ-მეთქი? — **აი, კაცო, ნანულიმ რაღაც ააშენაო!** — აღსარებაც არასოდეს არ გითქვამთ-მეთქი? — **არასოდეს მითქვამს, ეგ თქვენი აღდგომები და რაღაცები არ მწამსო!** — ერთი ცოდვა მაინც არ გაქვთ-მეთქი? — **დიახ, ერთი მაქვს!** — აბა, რა ცოდვა გაქვთ-მეთქი? — **საქართველოს ქართველები არ მართავენო!** — აი, გია ბარამიძეს ხომ ყველაფერი ჩააბარეთ, 90-იანი წლებიდან მოგყვებათ-მეთქი! — **ბაჩერდი ერთი, კაცო! ეგ „პრიბალტიკელი" კარგი ბიჭია, „პრიბალტიკელებმა" დააჯილდოესო!**

**— მივუბრუნდეთ ისევ ჟიული შარტავას!**

— ნანახი მაქვს ჟიული შარტავას ბლოკნოტი, სადაც 1992 წლის 11 ოქტომბერს თავისი ხელით ასეთ რამეს წერს:

*„ჩემდამი რუსთაველების სიყვარულმა გაიმარჯვა. რუსთავის საარჩევნო ოლქიდან საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატი გავხდი. მადლიერი ვარ... რამდენი ხანი უნდა ვიცოცხლო, რომ ჩემი რუსთაველების სიყვარული გავამართლო და ისინი გავახარო, მომცემენ კი ამის საშუალებას? არც ადრე მაცალეს... აფხაზეთში ომია, მაგრამ იქ და არა — აქ! დანარჩენი საქართველოს დიდ ნაწილს არ ეტყობა, რომ ომია. ვის სჭირდება, რა უნდათ აფხაზეთისგან და, საერთოდ, საქართველოსგან? რაღაც ხდება უფრო მზაკვრული, ვიდრე ეს ზედაპირზეა, მაგრამ რა? აფხაზეთი გასხვისებულია? რატომ არ ყვირის საქართველო? რა მოუვიდათ სერგოს, საიდს, ბიჭებს, როგორ გააუცხოეს? მათაც ეყიდებათ თუ ყიდიან აფხაზეთს? მათ იციან, რომ ქართველებივით ვერავინ შეიყვარებს აფხაზებს და ვერც აფხაზეთს დაიცავს! რატომ მიდიან მტრისკენ?"*

**— ანუ ჟიული შარტავა თავიდანვე გრძნობდა, რომ საქმე ცუდად იყო?**

— ცხადია! აფხაზეთში საქმე რომ ცუდად მიდიოდა, ამას ადასტურებს 1992 წლის 26 ნოემბრის პარლამენტის დადგენილება **„საქართველოს აფხაზეთის საქმეთა კომისიის შექმნის შესახებ"** შემდეგი შემადგენლობით: **დავით ბერძენიშვილი, ალექსანდრე გუგუნავა, გიორგი კობახიძე, ადა მარშანია, ირაკლი მელაშვილი, კონსტანტინე სალია, ნიკო ჟავჟავაძე, ივლიანე ხაინდრავა, ვახტანგ ხმალაძე...** აი, ამ ხალხს უნდა წარემართა აფხაზეთში პოლიტიკა და მოემზადებინა მოხსენება აფხაზეთის სტატუსის შესახებ. გეკითხებით, **ნიკო ჟავჟავაძის გარდა, რომელიც გარდაცვლილია, ყველა ზემოხსენებული პიროვნება დღესაც „ცვეტში" არ არის?** ჟიული შარტავა შევარდნაძემ 1992 წელს აფხაზეთის თემას არ გააკარა და დაბლოკა. ისე, გადახედეთ ზემოხსენებულ სიას და მიხვდებით, რატომ დავკარგეთ აფხაზეთი!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



ჟიული შარტავა შვილებთან ერთად




2020-2022

**1.**

ვისი ტანკები დაიკავებს ამ ფართე გამზირს?
ვისი ხელები მოიქნევენ ბოლოჯერ დროშას,
შიში, რომელსაც სკამს ვაცლიდით,
ჯერ ისევ აქ ზის,
სულის შებერვით რომ გვათბობს და
სიცივით გვთოშავს.
როცა კორდონთან შიში ამბობს — „ხელი გამიშვი“,
როცა წასული გეგონა და უკან დაბრუნდა,
ნახელკეტარი
ყველა
ნეკნი
არის — კლავიში,
რომელზეც რეჟიმს სხვა მუსიკის
დაწერა სურდა.
მაგრამ ნოტები შენს ხელთაა, ამიტომ სხვა ხმით
იმღერე ისე, რომ გაიგოს მთელმა უბანმა,
გაიგონ იმათ,
ვინც დარაჯობს — მარცხნივ ან მარჯვნივ,
გაიგოს ყველა სახიერმა,
თუნდაც უგვანმა.
რომ თუ ახალ ხმას მონდომებით არ უგდე ყური,
რომელსაც ჩემი
გაბზარული ხორხი ინახავს,
არ ეღირსება ქვეყანაზე
არცერთ
ბავშვს
პური,
და ცას მეშახტის თვალებიდან ასე ვინ მარხავს.

**2.**

ურნაში მსურდა ნარჩენები გადამეყარა,
მერე გზად ტაქსი გავაჩერე,
მივალ მაღლივით.
გუშინ ერთ ლარად გაყიდული
ჩემი ქვეყანა,
თვალებს ახელს და
გალუმპული გდია ძაღლივით.
საქარე მინის კვადრატიდან რომ დავინახე,
ქალაქი უცხო შენობების,
ხიდების
გზების,
გარემომ თითქოს ერთიანად იცვალა სახე,
როცა გასინჯა გემო მზარდი პრივატიზების.
მთელი ეს ცოდნა მჭირდებოდა,
ალბათ, იმისთვის,
მოვიმიზეზო ამბოხება კვლავინდებურად,
როცა ლექსები მზად არიან თავგანწირვისთვის,
და ჩამომხრჩვალი
გვამებივით
გარინდებულან...
ვხედავ თაროდან გადმოღებულ
მარქსის „კაპიტალს“,
გადავშლი ისე,
თითქოს სახლის ვაღებ დარაბებს,
ვგავარ შტურმის დროს აღელვებულ
გემის კაპიტანს,
შეტევის წინ რომ
დენთის
კასრებს
ამოალაგებს.
ჭრილობებიდან გაჩნდნენ თითქოს ყაყაჩოები,
უძლებენ ყინვას და მზის გულზეც არ იწვებიან,
ციდან თოკებით დაშვებული ხარაჩოები,
სართულებს შორის
აკვანივით
რომ ირწევიან —
მე ძლიერ მიყვარს, როცა ვხდები
მძევალი ფორმის,
პირველ თოვლივით მშენებარე ბინიდან ფრენა.
რადგან სიკვდილი ჩარჩოებში ექცევა ნორმის,
სხეულებს ვეღარ დავაძალეთ მეტის მოთმენა.
დაე, იფრინონ, მათი ფრენა იყოს მართალი,
ინაწილებენ შრომას
თითქმის ყველა დარგებად,
ალბათ, ამიტომ შევამჩნიე
ყველა მათგანი
ფრენის დროს,
როგორ ქცეულიყვნენ ამხანაგებად.

**3.**

ამხანაგებო,
სიცოცხლეში ვინც სიკვდილს ნაღვლობს,
გთხოვთ შეახსენოთ —
პოეტები როგორ კვდებიან,
ფურცელი თითქოს პროსპექტია — ვიბარებ აღლუმს,
სტრიქონები რომ
მხედრებივით
ჩამწკრივდებიან.
კარგავენ ისევ სიმორცხვეს და ადრინდელ ფორმებს,
აბჯარი თითქოს მე კი არა,
სიტყვებს აცვიათ,
და სტროფებს შორის ამაყად მდგარ
ჩემს მეტაფორებს,
კენწეროებით ცა ხმაურით დაუკაწრიათ.
ეფარებიან მკერდით
ხალხზე მომართულ ისრებს,
მიმიღე მიწავ — ვამბობ —
ჩვენი სისხლით გამთბარო.
დრო მოვა,
როცა მიწვდებიან — გაქონილ კისრებს
ჩვენი ხელები —
შიშველი და უხელთათმანო.

**4.**

სიტყვებმა უნდა დაიბრუნონ
მიმზიდველობა
და ჩემი ენა შეგაყვარო
იმდენად ძლიერ,
რომ შეგასწავლო ამბოხება,
როგორც ხელობა,
წარმოებული
გაფიცული
მუშების მიერ.

კურთხეულ იყოს, ამ სხივებით ვინც შემოსილა,
ეს დიდი გულიც
მათთვის მომაქვს
თაკარა მზიდან,
ვინც მისი ოფლით სანატრელი პური მოზილა
და ყველა ლუკმა
ვიდრე ჭამა,
ჯვარივით ზიდა.

**5.**

ვიდრე ბავშვები ამ ყველაფერს გაკვრით ხვდებიან,
საცობებია მთელ ქალაქში უზარმაზარი,
და მოძრაობას რიგრიგობით აკვირდებიან
კაზინო, ბანკი,
სოკოსავით მდგარი ტაძარი.

მზე,
ფრინველივით რომ ბრუნდება თავის ბუდეში,
დაძინებამდე პირჯვრის წერით
ლოცვებში ვამბობთ,
რომ ყველა ლუკმა ასეთ დროში არის ნუგეში,
და ყველაფრისთვის, რაც მოგვეცი,
უფალო, გმადლობთ.
რომ პური ჩვენი არსობისა დაობებული,
მოისაკლისა ნერწყვის ყლაპვით იმდენმა თვალმა,
კაცს გაახსენა ყვავილების
მთელი კრებული,
ქალის ჭიქაზე აღბეჭდილმა
პომადის კვალმა.
როგორც თვალები,
როცა ერთი მეორეს კოცნის,
პირში ენები ტყვიასავით როცა აწყვია,
კითხვა მაქვს —
უფალს ჩახლეჩილი ხმით თქმული ლოცვის
თუ ესმის,
სიტყვამ ღრუბლებამდე თუ მიაღწია...

ქუჩას პულსივით ესინჯება ჩუმი ხველება,
აჩქარებული ნაბიჯით რომ ჩავუვლით ურნებს,
გზად სამოწყალოდ გამოწვდილი
მათი ხელები
ელოდებიან განთიადის უჩინარ სტუმრებს.

**6.**

ვის უნდა, დროშა შენობებზე მაღლა ავწიო?
რომ ვარსკვლავები კიაფობდნენ
ცაზე ნაღმებად,
ქუჩები ახალ წარმოდგენის
კერად ვაქციო,
მეეზოვეთა ცოცხები კი — იარაღებად.

რადგან ქალაქი მოსაწყენი მხატვრის ტილოს ჰგავს,
ელოდებოდნენ ჩვენს მოსვლამდე
რადგან სხვა თეატრს,
პირველი სხივი
ვინ იქნება,
ვინც მოგვილოცავს,
ცეცხლმოდებული ურნებიდან —
ახალ განთიადს.

**7.**

შემთხვევის ადგილს არ უხდება
დიდხანს თვალთვალი,
როცა ჩაიდენ, გაერიდე იქაურობას,
კანონმა რადგან ზუსტად იცის
მტყუან-მართალი,
არც მისი მცველი არ აყოვნებს
ჩემთან სტუმრობას .
— რა დაინახე? — მეკითხება პოლიციელი,
მან კარგად უწყის,
ყველა ნეკნი რატომ მაქვს რკინის,
თვალები მისი —
მორბენალი, ოდნავ ცბიერი,
ჟეტონი ბრწყინავს,
როგორც მზეზე — ნამსხვრევი ქილის.
— მე დავინახე, — ვამბობ, —
ეს არც თავის ქებაა
და არც მართლება, შემიძლია,
გიამბოთ მეტი,
თუ ყველაფერი ქვეყანაზე
ღმერთის ნებაა,
ეჭვმიტანილად მიიჩნიეთ — ბატონი ღმერთი.

ცუდი ამბების გადმოცემის
კარგი ნიჭი მაქვს,
ბომბდამშენივით ეს ღრუბლებიც —
გადავლით არი,
მშვიდად ვდგავარ და მძიმე თავი
ისე მიჭირავს,
როგორც ბანკში მდგომ პენსიონერს —
რიგის ქვითარი.
„ასანთი მინდა“, —
მორიდებით მივმართე უცნობს.
ვიდექით ბანკის შესასვლელთან,
წინ — რიგი გრძელი.
კაცმა,
რომელსაც ნავთით სავსე ბოთლი ეჭირა,
ახსენა ღმერთი
და ჯიბისკენ წაიღო ხელი.
მერე სინათლემ გაანათა იქაურობა.
მოულოდნელი აღტაცება იგრძნეს ფარულად,
კითხვა,
რომელიც მათ ეგონათ ცუდი ხუმრობა,
იქცა უეცარ გამარჯვების დღესასწაულად.

იქ მამასავით მიყურებდა ყველა ფანჯარა,
და დედაჩემის თვალებია
ფანჯრის რაფები,
ცა ისე ელავს —
თითქოს ღმერთიც მათთან დამჯდარა,
ცა ისე ელავს —
იკლაკნება ავტოგრაფები.

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# გამოპარუტუნებულები




**პუტინის** დამარცხებას თბილისში ცდილობენ, სასტუმროდან, თეთრი ხელთათმანებით, კოქტეილის წრუპვით, ქაღალდების გადაფურცვლა-გადმოფურცვლით, გაპრიალებული მოკასინებით... საღამოს კიდე კაი გვარიანად გამოძღომით, იღლიებში ხინკლის წვენის გადინებით... მერე საქართველოში მყოფი **უკრაინელი დეზერტირების** წაქეზებით, რუსთაველზე გამოყვანით, გაუგებარი მოწოდებებით, დროშების ფრიალით... სხვა ვერაფერი მოიფიქრეს, სხვა აღარაფერი იციან, „ტვალეტის" ქაღალდზე **დოსტოევსკი** დაახატეს, დავბრენდეთ და უნდა გავყიდოთო...

**რავი, თუ „ვივამედში" მიიტანენ, შეიძლება ბელადმა ჭამოს კიდევაც. ავი ენები ამბობენ, პერიოდულად „ტვალეტის" ქაღალდსაც მიირთმევსო!**

☺

არ გამოსდით და არც არასდროს გამოუვათ, რადგან ამ **გამოთაყვანებულებმა** არ იციან, რომ საქართველოში მსგავსი სიძულვილი ვერასდროს აღმოცენდება...

ისე, რაკი სიტყვა ჩამოვარდა, ბარემ ერთსაც ვიტყვი:

**მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საქართველოში არაერთი გერმანელი ტყვე ჩამოიყვანეს და სპეციალურ ბარაკებში მოათავსეს. თუ დასაწყისში ცოტა უცხოდ იყვნენ, შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას აქაურებივით გაუშინაურდნენ. მეტიც, ამას წინებზე სადღაც წავიკითხე, ტყიბულში გერმანელ ტყვეთა საფლავებს ქართველები მოწიწებით უვლიანო.**

შორს აღარ წავალ... აბა, ვინმეს რამე ინციდენტი ახსოვს, ქართველებს გერმანელებთან მოსვლოდეთ?

შეიძლება იყო რამე მცირეოდენი გაღიზიანება, მაგრამ სერიოზული ინციდენტი იყო?

თუ ვინმეს რამე ახსოვს, ან გადმოცემით იცის, თქვას.

ჰოდა, ამ **გამოთაყვანებულების** საყურადღებოდ ვამბობ — **თუკი ჩვენ გერმანელი ტყვეები შევიფარეთ და არაერთი ობიექტიც ავაშენებინეთ, ანუ ვენდეთ, როგორ გგონიათ, აქ რუსების სასაკლაოს მოაწყობს ვინმე?**

ჰა, როგორ ჰგონიათ ამ **გამოთაყვანებულებს,** პუტინის პოლიტიკის გამო საქართველოში რუსებს თავებს წააჭრიან? გილიოტინაზე დაადებინებენ და ისე? როგორც ფრანგებმა გაუკეთეს საკუთარ მოქალაქეებს? როგორც რომაელებმა გაუკეთეს საკუთარ მოსახლეობას და არა მხოლოდ? როგორც ამერიკელებმა გაუკეთეს ინდიელებს?

**დადიან, დაწანწალებენ და სისხლი სწყურიათ!**

არ მითხრათ, ახლა სხვა დროა, აშშ და ევროპა სხვა რელსებზე დგანანო. მერე, გენეტიკა? ეს ხომ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გენეტიკა არ იკარგება?

**ჰოდა, რაკი გენეტიკა არ იკარგება, ამიტომაც დადიან, დაწანწალებენ და სიძულვილს თესავენ!**

**არ გამოვა!**

**ჩვენ ერის მიმართ გულში ბოღმას ვერ ჩავიდებთ, ეს გამორიცხულია და... სხვათაშორის, ვერც ის ძალა მოვა ხელისუფლებაში, რომელიც მეზობელთან დაუსრულებელ ომს გააჩაღებს!**

იწანწალეთ და იბოდიალეთ რამდენიც გინდათ, ვისი აჯობებს, იმასაც ვნახავთ!!!

# მაგათი ტვინების რედაქტირება ჯობდა!

ამასწინათ **ჭუტავიზიაში** იჯდა და ლაპარაკობდა... ლაპარაკობდა, რაც ენაზე მოადგა, რამაც დაობებულ გონებაში წამოჰკრა.

ისაო, **ბიძინა ივანიშვილს სახარება არ მოსწონს,** რაღაცების რედაქტირება უნდაო... შეიძლება ხვალ ლომზე ამხედრებული მოგვევლინოსო... ეხლა კიდე ორი ხელით თამაშობს — იქით **სალომეს** ათამაშებს, აქეთ — **ღარიბაშვილსო.**

☺

კაი, ჰო... დავუშვათ, ეჭვი გაგიჩნდა, რომ **მადამ პლეზიდანი** ბიძინას თამაშს თამაშობს, ეს თითქოს რაღაცნაირად მაინც ჯდება ნაცების ე.წ. ნარატივში, მაგრამ **ბიძინას სახარების გადაკეთება უნდაო,** ეს რანაირად უნდა მოიგონო? ან კიდე **იგივე ბიძინა ლომზე ამხედრებული რანაირად უნდა მოგვევლინოს?**

**ბიძინა ივანიშვილი** დინოზავრზე ან გველეშაპზე ამხედრებული უფრო წარმომიდგენია, ეგ შეიძლება მართლაც მოხდეს, მაგრამ ლომზე, კაცო, ფაფარაშლილ ლომზე?!

☺

არა, **მართლაც ვისაც კი რამე ანდო, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველამ გინება დაუწყო და ყველამ აეგრე გაუშვა „პიპკიდან"...** ეგ კი არა, ზოგს ჯოხის ცხენი ისე დაუფრთხა, რომ კედელს შეასკდა და დარეტიანებულმა მისი დასანქცირება მოითხოვა.

☺

ჰა, ჰა, ჰა!

**ბიძინა ივანიშვილს სახარება არ მოსწონს,** რაღაცების რედაქტირება უნდაო. **აი, თქვენი ტვინის რედაქტირება რომ მოეხდინა, გაცილებით უკეთესი იქნებოდა!**

# მგონი, უკვე 112-შია დასარეკი!



ამ უშნო ბალღის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჩვენს სკოლებში ბავშვების **35% შიმშილობს,** ხოლო **77% ნაწილობრივ შიმშილობს.**

მე არც ის გამომიკვლევია, სკოლებში რამდენი ბავშვი შიმშილობს და არც ის — რამდენი არ შიმშილობს, უბრალოდ, ლოგიკას მოვუხმე და დავადგინე, რომ... **35-ს** რომ მივუმატოთ **77,** არის **112,** ანუ **100** პროცენტზე მეტია.

ამავე ლოგიკიდან გამომდინარე, არ შეიძლება, ჩვენს სკოლებში ბავშვების ნაწილი სრულად შიმშილობდეს, ხოლო უფრო დიდი ნაწილი ნაწილობრივ შიმშილობდეს და თანაც **100%**-ის ნაცვლად **112%** ეწეროთ!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ისე არ უჭირს, შვილები ნაწილობრივ მაინც აშიმშილოს.

სკოლებში საკვები პროდუქტების შეტანა სხვა თემაა, მაგაზე არ ვდაობ, **მე მხოლოდ იმას გიყვებით, როგორ იდიოტურად მანიპულირებენ ციფრებით იდიოტები!**

მოკლედ, ესენი იმდენად მძიმედ არიან, რომ, ამათი მათემატიკის მიხედვით, ნაცებს მომავალ არჩევნებში მოსახლეობის **112-მა პროცენტმაც** შეიძლება მისცეს ხმა!

# ხალხზე ფიქრით დაზაგრულები





მე რო მეგონა, ესენი ან შოვში იყვნენ სამუშაოდ, ან კიდე დასეტყვილ ვენახებში ბოძებს აყენებდნენ, თურმე ვცდებოდი — საუკეთესო კურორტებზე ყოფილან **„ზაგარის"** მისაღებად.

☺

ჩამოდეს გავა ძაან ქათქათა სავარძლებზე და დაიწყეს „რიჟა ბაზარი"!

**ერთმა თქვა** — მთელი საქართველო ფეხით შემოვიარე, ზოგან შუქი არ არი, ზოგან კიდე წყალიო.

**მეორემ** — მეც სოფელ-სოფელ ვიარე, სამნი ვიყავით ხევსურეთშიო.

**მესამემ** — ყაზბეგი შემოვიარე, სიტუაცია შევისწავლეო.

**მეოთხემ** — მე აჭარაში ვიყავი, ყველა სოფელი ფეხით მოვიარე, მოსახლეობამ ბანკებიდან სესხები რო აიღო, ვერ ფარავს, რუს ტურისტებში ხეირი არ არი, მაგათ თვითონვე გახსნეს რესტორნები და კაფეებიო.

**მეხუთემ** უსაყვედურა ხელისუფლებას — ხალხში რატომ არ დადიხართო? აი, მე უკვე ვიარე და იმდენი რამე შემომჩივლეს, აღარ ვიცი, რა ვიღონო, თუ 2024-შიც არ ამირჩიეს, ქვეყანა დაიღუპებაო.

**მეექვსემ** — ბიძინა ივანიშვილს ვაფრთხილებ, საქართველოს მიმართ დამოკიდებულება შეცვალოს, თორემ ყველაფერი ტრაგიკულად დამთავრდებაო.





☺

ესენი არც ყაზბეგში ყოფილან, არც ხევსურეთში, არც აჭარაში და არც სოფელ-სოფელ უვლიათ. **ჩვენ, სოფელში გაზრდილები, ძალიან კარგადა ვცნობთ სოფელ-სოფელ ნატარებსაც და ორღობეებში ნასეირნებებსაც, ვერაფერს გამოგვაპარებენ! სოფლის „ზაგარი"** ეგეთი არ არი, **სოფლის „ზაგარი"** სუ სხვანაირია — ყავისფერიდან წითელში გადადის და თანაც აქერცლილია!

☺

**წარმოგიდგენიათ?**

**თან ტრაბახობენ, სოფელ-სოფელ ვიარეთო და... ფეხი არავის წაუცდა, შოვში ჩასულიყო თუ ასულიყო, იქაურებისთვის რამე ეთქვა, ერთი-ორი კაპეიკი გაეღო, რამით დახმარებოდა!**

**დიახ, ამათგან ფეხი არავის წაუცდა, კახეთში ჩათრეულიყო, დაზარალებულებისთვის ორიოდ სიტყვა მაინც ეთქვა და თავი მაინც გადაექნ-გადმოექნია... სულაც თავი გაექიცინებინა!**

☺

**ფუჰ!**

არც ერთი ამათგანი არ დავინახო მომავალ პარლამენტში. აი, რუჯი კი მაგათთვის ნამდვილად არ გვენანება — **იმდენი „ზაგარი" მიუღიათ, სულაც ამობუგულან!**



# ესენი რომ არა, ჩვენ ვინ გაგვართობდა?

ეგე, ახლა ამ ფლანგზე დაირივნენ!

გამოვარდა **„ვივამედის“ ბინადარი** და თავის ფანებს უდეპეშა — **ვინც დაადგება ბოკერიას, ანუ ბარაბას გზას, განულდება და დაამთავრებს როგორც ბოკერიაო!**

არც **ბოკერიას ცოლმა** აცივ-აცხელა, არც მოსკოვს დეეკითხა, ეგრევე სთხლიშა — **ვინც მიშას გზას გაჰყვება, დაამთავრებს როგორც მიშაო!**

☺

**ახლა მიშას ჯერია, დღეს თუ ხვალ ისევ გაუგზავნის თავის ფანებს „ტელეგრამას“,** სადაც დაწვრილებით იქნება აღწერილი, როგორი უჩათლახესი პიროვნებაა ბოკერია, როგორ ებრძოდა იგი ქართულ ეკლესიას და როგორ იპარავდა ფულებს ბიუჯეტიდან.

**მერე თამარა ამხელს მიშას** — უფრო დაწვრილებით აღწერს, როგორ რჩევებს აძლევდა 2008 წლის ომის შემდეგ და რა არ გაითვალისწინა.

**მერე მიშა ამცნობს მთელ საზოგადოებას,** რომ ბოკერია ღამღამობით ღვინოს სვამს და ძილის წინ იპურჭყება.

**თამარა ისევ არ დაუხვალიებს და ისეთებსა სთხლიშამს,** მიშა გიულ-დედულის გამოსაქომაგებელი და **ქაკა ხერხეულიძის** გასაჭიმი გახდება.

☺

ისე კი, თუ კარგად ჩავუღრმავდებით, **ესენი რომ არა, ნეტავ ჩვენ ვინ გაგვართობდა?**

# ჩოხატაურელთა ჰუმანიზმი





ნაცები, გნაცები და შმაცები გმინავენ — **ჩოხატაურში რათა გვცემეს, ჩვენი მოქალაქეობრივი უფლებები რატომ შელახესო?**

**ჯერ ერთი, იმიტომ ხართ საცემები დილა-საღამოს,** რომ ნაცები, გნაცები და შმაცები ხართ!

**მეორე — კიდევ იმიტომ ხართ საცემები დილა-საღამოს,** რომ ბედავთ და ბაზარ-ბაზარ უნიჭო ბუკლეტებს დაარბენინებთ!

**მესამე — კიდევ იმიტომ ხართ საცემები დილა-საღამოს,** რომ ხელისუფლებაში იყავით, ქვეყანა გადაძოვეთ და ისევ გინდათ მობრუნება!

**მეოთხე — კიდევ იმიტომ ხართ საცემები დილა-საღამოს,** რომ მობრუნების გავა არა გაქვთ და ჯღნავილით ტვინი გაბურღეთ!

**მეხუთე — კიდევ იმიტომ ხართ საცემები დილა-საღამოს,** რომ მას შემდეგ, რაც თავი სამშვიდობოს დაიგულეთ, გაბრექილობა შეგეყარათ, ცა ქუდად აღარ მიგაჩნიათ და დედამიწა — ქალამნად!

**მეექვსე — კიდევ იმიტომ ხართ საცემები დილა-საღამოს,** რომ ყველას აგინებთ, ვინც კი „ფრიიი მიშა“-ს არ იძახის!

**მეშვიდე — კიდევ იმიტომ ხართ საცემები დღეში სამჯერ,** რომ რეალობის შეგრძნება გაქვთ დაკარგული და მარტო საკუთარი დებილური აღქმებით მოქმედებთ!

**მერვე — კიდევ იმიტომ ხართ დღეში ოთხჯერ საცემები,** რომ სულ მავნებლობასა და ღალატზე გიჭირავთ თვალი!

**მეცხრე — კიდევ იმიტომ ხართ დღეში ხუთჯერ საცემები,** რომ ტყუილი და ცილისწამებაა თქვენი ხელობა!

**მეათე — კიდევ იმიტომ ხართ საცემები დღეში ექვსჯერ,** რომ დიდი თქვენ არ იცით, პატარა თქვენ არ იცით, ზრდილობა თქვენ არ გაქვთ და ნამუსი!

☺

**აჰა, ხედავთ, რამდენჯერ ხართ საცემები?**

**თქვენ კიდე ჩოხატაურელებმა მხოლოდ ერთხელ გცემეს და მადლობასაც არ იხდით!**





# მომინდომეს ამათაც ერის დედობა!

ჯერ **ჰელენ ხოშტარიას** მივმართე თხოვნით — **მიდი, შვილო, ტოლი ნახე, კოჭი გააგორე, სარკეში ჩაიხედე, ფისი ქენი, დაიძინე-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა!**

შემდეგ ბატონ მიხას საშინაო და საგარეო წარმომადგენელს **სოფო ჯაფარიძეს** მივმართე იგივე ტექსტით — **სანამ ფისს იზამ და დასაძინებლად დაწვები, სარკეში ჩაიხედე-მეთქი. არ დამიჯერა!**

აი, ახლა **ყოფილ ლომჯარიასაც** იგივეს ვეუბნები: შვილო, **ნინო, სახალხო დამცველობის ვადა ისე ამოგეწურა, ფაფის ჭამის, ყავის სმის, ფისების ქნის, მავნებლობის, მილიონების ხარჯვისა და ძილის მეტი არაფერი გიკეთებია... ახლა კიდე, გავიგე, საზოგადოებრივი პლატფორმა შეგიქმნია სახელწოდებით — „საქართველოს ევროპული ორბიტა“.** 6 წელიწადი სარკეში ერთხელაც არ ჩაგიხედავს, მაგრამ ახლა მაინც ქენი ეგ სიკეთე!

☺

ძვირფასო მეგობრებო, როდესაც ახლად გამოჩეკილ პოლიტიკოსებს — უფრორე ქალებს — მოვუწოდებ, **სარკეში ჩაიხედეთ-მეთქი,** თქვენ გგონიათ, მათ გარეგნობაზე მივუთითებ ან ფიზიონომიითა ვწუნობ? თქვენ გგონიათ, მათი უწიგნური გამომეტყველება არ მომწონს?

**იმ სარკეში, სადაც მათ უნდა ჩაიხედონ,** თვალნათლივ მოსჩანს მათივე ოპოზიციური მომავალი, წარსულზე რომ აღარაფერი ვთქვათ... ჰოდა, ჯერ „თხა და გიგო“ წაიკითხეთ, „მაგდანას ლურჯა“ გადახედეთ, „რობინზონ კრუზოზე“ გადადით, პლატფორმებსა თუ ტრამპლინებზე მერე ვილაპარაკოთ!

☺

**ჰმ... მომინდომეს ამათაც ერის დედობა!**

# ამათ რო დაძმობა იციან, ტყუილია!






**ai, სხვა პარტიაში ქალი აეგრე რო დაჯდება და ბარძაყებ გადმაალაგებს, ყველას იქით გეექცევა თვალები და ზოგიერთი დაელმდება კიდევაც. შეიძლება ზოგმა თავი ვერც შეიკავოს და ეგეთ ბარძაყებგადმოლაგებულ ქალ ხელების ფათურიც კი დაუწყოს.**

ეგ სხვა პარტიებში... **ამათთან კიდე სუ სხვანაირად არი, გინდა ეგრე დაჯექი, გინდა — იგრე, თვალი არავის გემეექცევა, წარბებქვემოდანაც კი არავინ გამაიხედამს, ხელების ფათურზე ლაპარაკი ხო ზედმეტია.**

მაგაზე დიდი ბედნიერება არაფერია, როცა **პარტიაში აეგეთი დაძმური სიყვარულია,** როცა აეგეთი ურთიერთგაგება და პატივისცემაა. რა მნიშვნელობა აქ, ქალი რანაირად ჩაცმული მოვა თათბირზე? რა მნიშვნელობა აქ, უგემოვნოდ გადაითხლაშება თუ გემოვნებიანად? **შეხედეთ ფოტოს, დააკვირდით, არც ერთი მამალი ნაცი არ იყურება დედალი ნაცისკენ, არც ერთ ნაცს არ ეტყობა აღტყინება დედალი ნაცის მიმართ, თითქოს არაფერი, მამლები მარტო საქმეზე, ქვეყანასა და სტრატეგიულ პარტნიორებზე ფიქრობენ.**

მა რაააა, თუ დედულ-მამული გიყვარს, მა სხვანაირად როგო იქნება?!




# საქმეში ჩაუხედავები

რიტორიკულ კითხვასა სვამენ: **იგეგმება თუ არა დიდი დაბრუნება ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიაშიო?**

თან სურათებს დახედეთ, ალბათ დაობებული სახეების ამოცნობა არ გაგიჭირდებათ.

11 წელიწადია წვალობენ, ჯახირობენ, ხან მარჯვნიდან მოუარეს თავიანთ ჩაოხრებულ პარტიას, ხან მარცხნიდან მოუარეს, ხან ზემოდან დახედეს, ხან ქვემოდან შეხედეს, ვერაფერი მოუხერხეს, ახლა კიდე დიდი დაბრუნებაო...

☺

ვააააჰ, კაცოოო! ხალხი მარსზე გასაფრენად ემზადება ტურისტული საგზურებით, მთელი სამეცნიერო სამყარო ხელოვნურ ინტელექტზე ლაპარაკობს და ეს ჭუტარასტები კიდე **თარხნიშვილს, გივია თარგამაძეს, გოკა გაბაშვილსა და გიგილო უგულავას** ვერ გასცდნენ... თან იმედი აქვთ, „ქართულ ოცნებას“ დაამარცხებენ და მერე თვითონ გააბრწყინებენ დუნიასა.

როგორც ჩანს, **ესენიც ფიქრობენ, რომ კაცობრიობას სარკე ჯერ არ გამოუგონია!**

გაგრძელება მე-12 გვერდზე



დასაწყისი მე-10 გვერდზე

# დივანი, როგორც ნაცმოს კუბო

ახლა, როგორ ფიქრობთ, მეგობრებო, **ხოშტარიას და ბასიევს** დივანის ნაცვლად გაზის ბალონი რო გემეეთრივნათ, ვითომ რამე შეიცვლებოდა?

ან კი მერამდენედ უნდა შეერთდნენ? ამას წინებზე არ იყო, **ხოშტარია, ბასიევი და ჭიჭე** რო შეერთდნენ და ევროპარლამენტისკენ მოძუძგეს? იქიდან ისე ჩამოვიდნენ, ცა ქუდად აღარ მიაჩნდათ და დედამიწა — ქალამნად, ეგ არი და გორის ციხე, ბიძინა ივანიშვილი უკვე დავასანქციარეთო.

**ჰო, ეგრე იყო, შეერთდნენ, წავიდნენ, იმარიაჟეს, დაბრუნდნენ, იბოდიალეს, იშავდლევეს და ახლა ორნი შეერთდნენ. ჭიჭე აღარ არი ამათთან, ჭიჭე კურკუმალს აეკიდა.**

☺

ესა, ეს **ჰელენ ბოზიევიჩი** ამასწინათ ტელევიზორში იხვეწებოდა — ოღონდ აგვირჩიეთ და რაც აქამდე შავბნელი საქმეები გვიკეთებია, ყველაფერს დავივიწყებთ და ეგეთ ჩათლახობებს აღარ ვიზამთო.

აღარაო... რა სიბინძურეებსაც აქამდე ვჩადიოდით, აღარ ჩავიდენთო... თუ აგვირჩევთო!

**დავიჯეროთ, გვეღადავებიან? არა მგონია, ესენი თავიდანვე ეგეთი გამოთაყვანებულები იყვნენ, ახლა უბრალოდ სხვა გზა აღარ აქვთ, პარლამენტში უნდათ, კბილები უკაწკაწებთ, სული სძვრებათ... იციან, ძალიან გაუჭირდებათ და მუდარაზე გადავიდნენ.**

ოოოო... თქვენ არ იცით, როგორ მსიამოვნებს ამათი ხვეწნა-მუდარა და ასევე არ იცით, როგორ გამიხარდება, მომავალ წელს, ამ დროს, დაჩოქილებს რო ვნახავ და შემდეგ პანჩურსაც ამოვარტყამ!

☺

კაი, ჰო, დავუშვათ, პარლამენტში უნდათ და იხვეწებიან, ეგ გასაგებია, მაგრამ **ამ დივანს რაღას დაათრევენ ნაცმოძრაობის კუბოსავით.**



# იაროს! იაროს! იაროს! ამინ!









ტექსტის გამოქვეყნება საჭიროდ არ ჩავთვალეთ. **ისედაც ყველამ იცის, აქ რა უნდა წერებულიყო!**






# ნაცები თავიანთვე პარტიას დიდი ცოცხით მისდგნენ!

***ტუსაღმა სააკაშვილმა, როგორც პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით თვითმკვლელმა პოლიტიკოსმა, ნაცმოძრაობაც თვითჩარეცხვის ბოლო სტადიამდე მიიყვანა! ნაცობა უკვე ისეთი სამარცხვინოა, რომ ნაცობაზე უკვე თვით ყველაფრის მჭამელმა გიორგი გაბუნიამ და ყველაფერზე ხელის მომწერმა ნანუკა ჟორჟოლიანმაც კი თქვეს საჯაროდ უარი!***

არადა, არც ერთია რიგითი ტელეჯამბაზი და არც მეორე — მცირეკალიბრიანი არტილერია, არტერიაში რომ ერევა!

**გიორგი გაბუნია** მას შემდეგ, რაც სალომე ზურაბიშვილის მიერ ამნისტირებულმა და ციხიდან გამოსულმა **ნიკა გვარამიამ** ოფიციალურად გადაუღოცა ტვ „გლავკანალის" დირექტორობა, უკვე ღიად აცხადებს, რომ „მთავარი არხი" აღარ არის ნაცტელევიზია! ეს რაღაც ვირეშმაკური თამაში რომ არ არის, გასულ კვირას, თავისივე ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გაბუნიას ვრცელმა ანტინაცურმა ტირადამ დაადასტურა:

**„ჩვენ აღარ ვართ ნაცების ტელევიზია!**

**ცალ მხარეს არის მელიას მხარე — „ვაი" და აქეთ ხაზეიშვილის მხარე — „ვუი" და ნაცპარტია არის „ვაი-ვუი!"**

ის კი არა, გაბუნიამ მთლად ჩარეცხა ნაცპარტიის ამჟამინდელი თავმჯდომარე **ლევან ხაბეიშვილი: არ შემხვედრია არცერთი ადამიანი, რომელსაც ხაბეიშვილი მოსწონს, არავინ აპირებს მისთვის ხმის მიცემასო!**

და ისიც დაამატა — **კიდევ უარესი, ნეიტრალურიც კი არავინ შემხვედრია, მას არასერიოზულად აღიქვამენ, დასცინიან...**

ანუ გაბუნიამ ნაცსექტის ამჟამინდელი ლიდერი სასაცილო უნიჭო ჯამბაზად გამოაცხადა! ეს იმას ნიშნავს, რომ გაბუნიას „გლავკანალი" ნაცების დღის წესრიგზე უარს ამბობს!

და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, გაბუნიას ეს ანტინაცური შემართება კეზერაშვილისაგან მორიგი დაფინანსების მიუღებლობამ გამოიწვია თუ არა!

**როდესაც „მთავარი არხის" დირექტორი კეზერაშვილის ხელისბიჭს — ხაბეიშვილს ასე ღიად აბითურებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას უკვე კეზერაშვილიც ფეხზე ჰკიდია და ლევან ხაბეიშვილის მეორე პატრონიც — ვანო მერაბიშვილიც!**

იქვე კიდევ ერთმა მგზნებარე ნაცმა **ნანუკა ჟორჟოლიანმაც** გამოუტანა განაჩენი ნაცმეცოცხეთა სექტას! ამანაც ლამის დედა დაიგინა — მორჩა, მიშამ კი არა, მამა-ღმერთმაც რომ მთხოვოს, მე ნაცებს ხმას არ მივცემო!

გაბუნიასი არ იყოს, ესეც ისეა ნაცობის იარლიყით შერცხვენილი, რომ საჯაროდ უარყოფს ნაცობას! მეტიც, **ნანულიმ ნაცმოძრაობას თვით მიშაც კი „მიარეცხა" — მისი ხათრითაც აღარ მომიბრუნდება გული ნაცსექტაზეო!**

და ეს მხოლოდ დასაწყისია: რაც დრო გავა, მით მეტი ნაცი თუ ნაცაგიტატორი უარყოფს ტუსაღ ბელადსაც და მის სექტასაც! რადგან ერთიც და მეორეც ძალიან სამარცხვინოა! აი, ისეთი სამარცხვინო, უკვე ნაცსაც რომ რცხვენია!

და ეს ყველაფერი ნაცფიურერ სააკაშვილის დამსახურებაა: მოგეხსენებათ, თევზი თავიდან ყარსო! სააკაშვილმა კი ისეთი სიმყრალეები ჩაიდინა, არაყნის კონტეინერით დესანტირებიდან დაწყებული, რომ ადრე თუ გვიან, ამ სიმყრალეს ნაცთა მყრალი ბუნაგიდან აუცილებლად უნდა ამოეხეთქა!

სააკაშვილმა ჯერ საპროტესტო შიმშილობა დაიწყო, მერე კვდებოდა, შემდეგ სიკვდილის პირას ვარ და იქნებ ბიძინამ გამიშვას სამკურნალოდ და ნაცმოძრაობა პოლიტიკურ აქტივობას შეამცირებსო! ის კი არა, სააკაშვილი პირდაპირი ტექსტით აცხადებდა — **საქართველო აღარ მაინტერესებს, მხოლოდ უკრაინაზე ვფიქრობო!** ანუ თან „პუტინისტური რეჟიმის მძევალი" იყო და ამ რეჟიმს ეხვეწებოდა, გამიშვით უცხოეთში სამკურნალოდო და თან, „საქართველოს გადასარჩენად" ქვეყანაში შემოპარული პირდაპირ ამბობდა, აღარ მინდა საქართველოს გადარჩენა, მე უკრაინელი ვარო!

**ჰოდა, გაბუნიასა და ნანულისნაირი ნაცებიც კი მიხვდნენ, რომ ასეთი არარაობის სექტის წევრობა იმდენად სამარცხვინოა, რომ სჯობს, საჯაროდ დაეგმოთ თავიანთი ნაცობა!**

აი, ასე გამოსჭრა ყელი სააკაშვილმა საკუთარ პარტიას!

**ახლა ამ მკვდარზე „ვენოკის" როლს ვინ ითამაშებს, ეს უბადრუკი ჯამბაზი ლევან ხაბეიშვილი თუ პოლიტიკური სასაფლაოდან აყენებული გიგი უგულავა, არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს!**

ნაცმო გვამური ლაქებით უკვე მორგშია და!

***გიორგი გიგაური***



გიორგი გაბუნია და ნიკა გვარამია



კვირგვინოსანი მსხვილი პლანით



ნანუკა ჟორჟოლიანი
*ტელეწამყვანი*

# ალარ არსებობს ნაციონალური მოძრაობა — მიშას კი არა, ღმერთის ხათრითაც ვერ მივცემ ხმას ხაბეიშვილის პარტიას!

„ფეისბუქი"

№52-53 (220-221) ★ 2023 წლის 11 სექტემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

# ქართული ფინტები, ანუ „მეგრელების საქმის“ ნამდვილი სურათი

დათო ჩინჩლაძე



## ინგლისელი ისტორიკოსის ბილ ბლენდის და საარქივო მასალებზე დაყრდნობით




**„მეგრელების საქმეს“** წინ უძღოდა **„ექიმების საქმე“** — რევიზიონისტების მიერ წამოწყებული ფალსიფიცირებული კამპანია, რომელიც საბჭოთა ებრაელი ექიმების ვითომდა კონსპირაციულ დანაშაულებრივ ქმედებებს ამხელდა. **ფაბრიკაციის ნამდვილ მიზანს ის წარმოადგენდა, რომ თვითონ ამ კამპანიის წამოწყება დაბრალებოდა საბჭოთა ხელმძღვანელობას, რაც ანტისემიტიზმის შეფერილობას მიიღებდა და უკმაყოფილებასა და დაძაბულობას შეუწყობდა ხელს როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით.** ცნობილია, რომ სტალინმა ეს ინფორმაციები იმთავითვე უარყო და სარწმუნოდ არ მიიჩნია, თუმცა, მოვლენების განვითარებაში ამ მზაკვრულმა ჩანაფიქრმა გარკვეული როლი მაინც ითამაშა და ზოგიერთი უდანაშაულო ადამიანიც შეიწირა, მაგალითად, **სახელმწიფო უშიშროების მინისტრი და სტალინის ერთგული თანამებრძოლი ვიქტორ აბაკუმოვი.**

მსგავსი ხასიათის იყო საქართველოში წამოწყებული და ხელისუფლებაში ვითომდა ნაციონალურ-ბურჟუაზიული ტენდენციების წარმოსაჩენად მიმართული **„მეგრელების საქმე“**, რომელიც რევიზიონისტების მიერვე თავიდანვე ჩაფიქრებული იყო გასაბათილებლად. ამ კონსპირაციის მიზნები დღემდე სიცხადეს მოკლებულია, თუმცა, მისი ამოცანა ძალზე მარტივი იყო და იმაში მდგომარეობდა, რომ **„ექიმების საქმით“** გამოწვეული არეულობისა და დაბნეულობის გაძლიერებაში შეშველობდა რევიზიონისტებს, ბოლოს კი, როდესაც მათთვის ხელსაყრელი დრო დადგებოდა **(ე. ი. დაგეგმილი გადატრიალების შემდეგ)**, საჯაროდ გამოაშკარავებულიყო მათ მიერვე ფალსიფიცირებული **„მეგრელების საქმის“** უსაფუძვლობა და მისი საშუალებით, ანალოგიის პრინციპით — **„ექიმების საქმეში“** დროებით „მხილებული“ თავისი თანამოაზრეების რეაბილიტაცია მოეხდინათ. თუმცა, ამ ვერაგულად დახლართულ ჩანაფიქრებს ზოგიერთი მათი მომხრე და შეთქმულების თანამონაწილეც ემსხვერპლა როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში.

## რევიზიონისტული გადატრიალების მომზადება საქართველოში 1943-1946 წლებში

სამხედრო ტერმინოლოგიით **ფინტი** ნამდვილი გეგმების შენიღბვის მიზნით მოწინააღმდეგის მოსატყუებლად გაკეთებულ **ცრუ მოძრაობას** ნიშნავს. საბჭოთა რევიზიონისტებმა ასეთი **ცრუ შეტევისათვის** ამიერკავკასია ამოირჩიეს და არამარტო იმ მიზეზით, რომ ის მოსკოვისაგან, მათი საბოლოო სამიზნისაგან შორს იყო და სამოქმედოდაც უფრო ხელსაყრელ პირობებს სთავაზობდა მათ, არამედ იმ მიზეზითაც, რომ ეს რეგიონი **სტალინისა და ბერიას სამშობლო** იყო და **უპირველეს მარქსისტულ-ლენინისტურ სიმაგრედ** მოიაზრებოდა.

საბჭოთა რევიზიონისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება გარკვეული წინასწარი ზომების გატარებას მოითხოვდა. პირველი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენდა უშიშროების ორგანოების დასუსტება და მათი გადაცემა შეთქმულთა დაქვემდებარებაში, მაგრამ რა გზით შეიძლებოდა ამ ჩანაფიქრის განხორციელება?!

1943 წელს სახელმწიფო უშიშროების ორგანო **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, იგივე „ენკავედე“**, რომლის სათავეშიც **ლავრენტი ბერია** იდგა, სამ ნაწილად გაიყო:

**1) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი** — სადაც ხელმძღვანელად კვლავ **ბერია** რჩებოდა, თუმცა, ამ დროისთვის **„ენკავედე“** სახელმწიფო უშიშროების საქმეებით აღარ იყო დაკავებული. მას ჩამოსცილდა სახელმწიფო უშიშროების პრობლემები და სულ უფრო მეტად **„ეკონომიკური ორგანიზაციის“** სახეს იღებდა;

**2) სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი („ენკაგებე“)** — რომლის სათავეშიც იდგა მარქსისტ-ლენინელი **ვსევოლოდ მერკულოვი;**

**3) თავდაცვის სახალხო კომისარიატის კონტრდაზვერვის განყოფილება (სმერში) ვიქტორ აბაკუმოვის** ხელმძღვანელობით.

შეთქმულების პრაქტიკა




მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს:

1) **სმერში საერთოდ გაუქმდა;**

2) **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი** („ენკავედე“) **შინაგან საქმეთა სამინისტროდ** („ემვედე“) **გადაკეთდა.** მისი მარქსისტ-ლენინელი ხელმძღვანელი, ბერიასთან დაახლოებული და ნდობით აღჭურვილი პირი **მერკულოვი** შეცვლილი იქნა ფარული რევიზიონისტით **სერგეი კრუგლოვით;**

3) **სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი („ენკაგებე“) გადაკეთდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდ („ემგებე“)**, თუმცა, მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში მის ხელმძღვანელად კვლავ მარქსისტ-ლენინელი აბაკუმოვი რჩებოდა.

## ქართული ფინტები 1951-1952 წლებში

1950-იანი წლების დასაწყისში, რევიზიონისტებმა ე. წ. **„ექიმების საქმის“** ფაბრიკაციის ნამდვილი მიზნების შესაძლო გამომჟღავნებიდან გამომდინარე და მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად მარქსისტ-ლენინელებზე ახალი პროვოკაციული თავდასხმა წამოიწყეს.მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. **„მეგრელების საქმის“** უსაფუძვლობაც მალევე შეიძლებოდა გამომჟღავნებულიყო, **ფინტის** საბოლოო მიზანს ის წარმოადგენდა, რომ ხელსაყრელი მომენტის დადგომისას, ანუ, როდესაც **სტალინი და მისი პირადი სამდივნო** უძლურნი აღმოჩნდებოდნენ, მოვლენათა განვითარებაში ჩარეულიყვნენ:

1) **მისცემოდათ ხმამაღალი განცხადების საფუძველი, რომ, თურმე, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო ფარული მტრების ხელშია, რის შედეგადაც უმძიმესი სასამართლო შეცდომებია დაშვებული.** და, თუ კონკრეტული მაგალითები გნებავთ — აი, თუნდაც ეს შეთითხნილი „მეგრელების საქმე“ საქართველოში!

2) მომდევნო ეტაპზე, უკვე ამ „სასამართლო შეცდომების გამოსწორების“ ზოგადი მოთხოვნის საფუძველზე, მოეხდინათ, ერთი მხრივ, **უდანაშაულო ქართველი მარქსისტ-ლენინელების რეაბილიტაცია** და მათთან ერთად კი **ნამდვილი კონსპირატორები და სახელმწიფო დამნაშავეებიც** გაეთავისუფლებინათ.

## ბერიას მომხრეთა წმენდა

**ქართული ფინტის** განხორციელება 1951 წლის იანვარში დაიწყო, როდესაც **ვილიან ზოდელავა** მოხსნილი იქნა საქართველოს კომკავშირის ხელმძღვანელის თანამდებობიდან. იმავე წლის ნოემბრიდან საქართველოში წამყვანი მარქსისტ-ლენინელების მასობრივი ჩამოცილება იწყება.

**1952 წლის თებერვლისათვის ამ ამბებმა უცხოელი დიპლომატების ყურამდეც მიაღწია. 1952 წლის 6 თებერვალს გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერდა:**

> *„დიპლომატიური წყაროები გვატყობინებენ, რომ გაფლანგვის, ავტომობილების გატაცებისა და სხვა მსგავს დანაშაულობათა დიდმა ტალღამ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და სამთავრობო უმაღლესი ჩინოვნიკების რიგებში მასობრივი წმენდის გატარება გამოიწვია.თანამდებობებიდან მოხსნილი იქნენ მნიშვნელოვანი ჩინოვნიკები — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები **მიხეილ ბარამია და როსტომ შადური**“.*

დათხოვნილი იქნენ სხვა ქართველი ხელმძღვანელებიც. ყველა წამყვანი მარქსისტ-ლენინელი მოხსნილი და ჩანაცვლებული იქნა **შეგნებული რევიზიონისტებით.** 1952 წლის აპრილში საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმმა პირველი მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლა **კან-**

გაგრძელება მე-2 გვერდზე

# შეთქმულების
# ქართული
## ანუ „მეგრელების საქმის“



*დასაწყისი პირველ გვერდზე*

**დიდ ჩარკვიანი;** მეორე მდივნის თანამდებობიდან — **როსტომ შადური და მიხეილ ბარამია;** თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან — **ვალერიან ბაქრაძე** და იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან — **ავქსენტი რაფავა.**

პლენუმმა აირჩია **ახალი პირველი მდივანი აკაკი მგელაძე** — აფხაზეთის რაიონული პარტიული კომიტეტის ყოფილი მდივანი და შენიღბული რევიზიონისტი. **მგელაძემ საქართველოს კომუნისტურ პარტიაში საპასუხისმგებლო თანამდებობებიდან მარქსისტ-ლენინელების ჩამოცილების ფართომასშტაბიანი კამპანია განახორციელა. ჩარკვიანის** მომხრეები **აფხაზეთიდან ჩამოსულმა ჩინოვნიკებმა** შეცვალეს.ზოგიერთი მოხსნილი თანამდებობის პირი, მაგალითად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვალერიან ბაქრაძე** ბერიას პირად კანდიდატურას წარმოადგენდა. ნახევარი წლის განმავლობაში აკაკი მგელაძემ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1949 წელს არჩეულ წევრთა ნახევარზე მეტი მოხსნა და ამით დაასრულა **გადატრიალება რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ეშელონებში.**

### ბერიას ტექნიკური შეცდომა

1952 წელს სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლავრენტი ბერია** საქართველოში აპრილის პლენუმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა, რითიც მართალია არაპირდაპირ და უნებლიეთ, მაგრამ მაინც ოფიციალური თანხმობა გამოუცხადა საქართველოს მთავრობაში მომხდარ ცვლილებებს. ამით ფარულ რევიზიონისტებს საშუალება მიეცათ, უკვე თავდაჯერებულებს „გაეცხადებინათ“ სრულიად შეთითხნილი მოტივაცია, რომ თითქოსდა საქართველოში განხორციელებული წმენდა „სტალინის მითითებით“ ჩატარდა.

**გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“ 1953 წლის 3 იანვარს წერდა:**

*„ცნობილი გახდა, რომ* ***ბატონი ბერია*** *საქართველოში გაემგზავრა იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაც მექრთამეობისა და კორუფციის სხვა სახეობების ფართოდ გავრცელებას უკავშირდება. მოგვიანებით საქართველოს კომუნისტურ პარტიაში წმენდის ჩასატარებლად სტალინი იძულებული გახდა, საქმეში პირადად ჩარეულიყო“.*

სინამდვილეში, ის ქართველი ხელმძღვანელები, რომლებიც თანამდებობებიდან იქნენ ჩამოცილებულნი, **ნამდვილი მარქსისტ-ლენინელები** იყვნენ, რომლებიც ბერიასა და სტალინის რეკომენდაციების საფუძველზე იყვნენ არჩეულნი **(ამას ის ფაქტიც დაადასტურებს, რომ 1953 წლის ივლისში ბერიას დაპატიმრების შემდეგ ყველა ეს ოფიციალური პირები დამნაშავეებად და ბერიას მომხრეებად გამოაცხადეს).** ამიტომაც, ვერაფრით ხერხდებოდა კონკრეტული მიზეზის დასახელება, თუ რატომ შეიძლებოდა, რომ **ბერიასა და სტალინისათვის** ეს საკადრო ცვლილებები საჭირო ყოფილიყო.

ეს ბურუსით მოცული „ბრალდებები“ მოგვიანებით, როგორც იქნა, ასე თუ ისე, „დაკონკრეტდა“. 1952 წლის მაისში **აკაკი მგელაძე** საქართველოს კომკავშირის წინაშე შემდეგი სიტყვებით წარდგა:

*„ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა ნაკლოვანებები საქართველოს კომპარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობაში, რაც სერიოზული ზიანის საფრთხეს შეიცავდა და შეცდომების გამოსწორების გზები დაგვისახა“.*

1952 წლის მეორე ნახევარში უკვე სტალინის კრიტიკული შენიშვნებიც „აღმოაჩინეს“ საქართველოში **ნაციონალიზმის საფრთხის** არსებობის შესახებ და მარქსისტ-ლენინელებსაც საბოლოოდ სწორედ დანაშაულებრივ ნაციონალიზმში დასდეს ბრალი და დააპატიმრეს.

1952 წლის სექტემბერში **აკაკი მგელაძემ** პარტიის ყრილობაზე განაცხადა:

*„ყოფილ ხელმძღვანელობას დაავიწყდა, რომ საერთაშორისო რეაქციონერები ცდილობენ, ჩვენს რესპუბლიკაში აღმოაჩინონ მტრულად განწყობილი ნაციონალური ელემენტები, რათა მათი საშუალებით დივერსიულ-ჯაშუშური საქმიანობა აწარმოონ“ („ნიუ-იორკ თაიმსი“, 23 სექტემბერი, 1952 წ.).*

ერთი სიტყვით, **რევიზიონისტმა მგელაძემ და მისმა სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ნიკოლოზ რუხაძემ ბერიას ზოგიერთი პროტეჟე ნაციონალიზმში დაადანაშაულა: ესენი იყვნენ მიხეილ ბარამია, ავქსენტი რაფავა, ვლადიმერ შონია, პეტრე შარია, რომლებიც დაპატიმრებული იქნენ.**

### მარქსისტ-ლენინისტთა კონტრ-დარტყმა საქართველოში

მარქსისტ-ლენინისტები კარგად ხვდებოდნენ, რომ სოციალისტური სახელმწიფოს უსაფრთხოებას საქართველოში მნიშვნელოვანი დარტყმა მიადგა და გადაწყვიტეს, საქმე სტალინის „სპეციალური სამდივნოს“ საშუალებით გამოეძიებინათ. „სპეციალური სამდივნო“, რომელსაც **ალექსანდრე პოსკრებიშევი** ხელმძღვანელობდა, უშიშროების სპეციალური სამსახურის ფუნქციას ასრულებდა და მთლიანად მარქსისტ-ლენინელთა კონტროლის ქვეშ იყო.

მოპოვებული იქნა საკმარისი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ **უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუხაძე** არასწორად მოიქცა **ქართველ მარქსისტ-ლენინელებთან** მიმართებაში. 1952 წლის ივლისში **რევიზიონისტები** იძულებულნი გახდნენ, თანამდებობიდან მოეხსნათ **რუხაძე,** თუმცა, მომავალი, 1953 წლის აპრილამდე პროცედურულად მათ საშუალება ეძლეოდათ, წინააღმდეგობა გაეწიათ როგორც მისი დაპატიმრებისთვის, ასევე მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების გაუქმებისათვის. **რუხაძის** ჩამოშორება ბერიას ნაწილობრივ გამარჯვებას ნიშნავდა.

გარდა ამისა, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში მხილებული **ნიკოლოზ რუხაძე** გამანადგურებელი საბედისწერო დარტმის წინაშე აღმოჩნდა. **ბერიას გასამართლების შემდეგ რევიზიონისტები იძულებული გახდნენ, ისიც იმგვარადვე დაესაჯათ, როგორც ბერიას ნამდვილი მომხრეები, რადგან საქმიდან მისი გამოთიშვა და რამენაირად გამართლება უკვე ველარ მოხერხდებოდა.** შეიძლება ითქვას, რომ უშიშროების რევიზიონისტი მინისტრი **ნიკოლოზ რუხაძე** მისსავე თანამოაზრე რევიზიონისტებმა თავიდანვე გაწირეს.

### ქართული ფინტების შემობრუნება (1953 წელი)

სტალინის გარდაცვალების შემდეგ **7 მარტის სამთავრობო რეორგანიზაციის საფუძველზე ლავრენტი ბერიამ და მარქსისტ-ლენინისტებმა** კვლავ დაიბრუნეს კონტროლი სახელმწიფო უშიშროების ორგანოებზე. მაგრამ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ესეც რევიზიონისტთა **„ქართული ფინტების“** გაგრძელებას წარმოადგენდა, რათა კვლავ შეცდომაში შეეყვანათ მარქსისტ-ლენინისტები საკუთარ შორს მიმავალ გეგმებთან დაკავშირებით.

1953 წლის მარტსა და აპრილში საქართველოში **კონტრწმენდა** დაიწყო. რევიზიონისტების მიერ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრად დანიშნული **გენერალ-მაიორი ალექსანდრე კოჭლავაშვილი** მოხსნილი იქნა თანამდებობიდან ბერიას მიერ 1953 წლის 16 მარტს. ამ დროისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო ერთ სტრუქტურაში გაერთიანდა,** რომელსაც **ვლადიმერ დეკანოზოვი** ჩაუდგა სათავეში, ხოლო **კოჭლავაშვილი** გადაყვანილი იქნა მინისტრის პირველ მოადგილედ. მის ადგილზე დაინიშნა **ვლადიმერ დეკანოზოვი.**

1953 წლის 14 აპრილის პლენარულ სხდომაზე საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა გაანთავისუფლა **აკაკი მგელაძე** პირველი მდივნის თანამდებობიდან. მგელაძემ აღიარა ე. წ. **„ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური გადახრის“** საქმის, ანუ **„მეგრელების საქმის“** შეთხზვის დანაშაული, რაც ნამდვილი ქართველი ბოლშევიკების წინააღმდეგ იყო მიმართული. მისი თანამდებობა დაიკავა **ალექსანდრე მირცხულავამ,** რომელიც, **აკაკი მგელაძის** მსგავსად, აფხაზეთში მოღვაწეობდა და 1943-1947 წლებში აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

ბერიას ძველი პროტეჟე **ვალერიან ბაქრაძე,** რომელიც მანამდე მგელაძის მიერ იქნა განთავისუფლებული, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაბრუნდა. ბერიას მომხრეები პატიმრობიდან გაანთავისუფლეს და ბაქრაძის ახალ კაბინეტში მისცეს თანამდებობები.

15 აპრილს **ვალერიან ბაქრაძემ** განაცხადა, რომ უშიშროების მინისტრი **ნიკოლოზ რუხაძე** და საქართველოს კომუნისტური პარტიის ორი ყოფილი გენერალური მდივანი — **აკაკი მგელაძე და კანდიდ ჩარკვიანი** მოხსნილნი და დაპატიმრებულნი არიან და მკაცრად დაისჯებიან საქართველოს მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელების წინააღმდეგ შეთხზულ დანაშაულთა ფაბრიკაციისთვის.

1953 წლის 22 აპრილს გაზეთი **„ნიუ-იორკ თაიმსი“** წერდა:

*„ყალბი ბრალდებების საფუძველზე დაპატიმრებული* ***ვილიან ზოდელავა*** *განთავისუფლებული იქნა პატიმრობიდან და დანიშნული იქნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ“.*

ხოლო იმავე წლის **„ნიუ-იორკ თაიმსის“** 14 მაისის ნომერში აღნიშნული იყო:

*„ქართული საქმე შეთხზული იქნა რუხაძისა და რიუმინის მიერ... ის წარმოადგენს* ***„ექიმების საქმის“*** *ანალოგიურ საქმეს და მისი ფაბრიკაცია* ***რუხაძეს*** *ეკუთვნის“.*

### სამხედრო გადატრიალება საქართველოში 1953-1954 წლებში

ოფიციალური ვერსიით, **1953 წლის 26 ივნისს** დაპატიმრებული იქნა **ბერია,** ხოლო 14 ივლისს რევიზიონისტმა შეთქმულებმა საქართველოში სამხედრო გადატრიალების განხორციელება გადაწყვიტეს, რათა მათ წინააღმდეგ 1953 წელს წამოყენებული ბრალდებები გაეუქმებინათ და ის ძველი მდგომარეობაც დაებრუნებინათ, რაც **„ქართული ფინტების“** საშუალებით 1951-








**ვლადიმერ დეკანოზოვი, სერგო გოგლიძე, ბოგდან კობულოვი, ვსევოლოდ მერკულოვი, პაველ მეშიკი, ლევ ვლოდზიმირსკი**

**პრაქტიკა ★**



ინგლისელი ისტორიკოსი ბილ ბლენდი

# ფინტები, ნამდვილი სურათი

*ინგლისელი ისტორიკოსის ბილ ბლენდის და საარქივო მასალებზე დაყრდნობით*

1952 წლებში ჰქონდათ მოპოვებული. გადატრიალებას, რომელიც **საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო პარტიული კომიტეტის ერთობლივი პლენარული სხდომის დროს** განხორციელდა, ორი სამხედრო ოფიცერი ხელმძღვანელობდა — არმიის გენერალი **ალექსი ანტონოვი** და გენერალ-მაიორი **პავლე ეფიმოვი.** ეფიმოვი არჩეული იქნა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარედ **ვილიან ზოდელავას** ნაცვლად, ხოლო სხვა სამხედრო ოფიცრებმა მთავრობისა და პარტიის მნიშვნელოვანი თანამდებობები გაინაწილეს.

**ბერიას** ნამდვილ მომხრეებთან **(ბაქრაძესთან, შონიასთან, რაფავასთან, ზოდელავასთან)** ერთად **„მეგრელების საქმის“** წამომწყები ფალსიფიკატორი რევიზიონისტებიც იქნენ ბრალდებულნი. **15 ივლისს თბილისის რადიომაუწყებლობა გადმოსცემდა, რომ მგელაძე, რუხაძე და ჩარკვიანი ბერიას თანამზრახველები და პარტიის მოღალატეები არიან, თუმცა, მათ არანაირი სასჯელი არ მიუღიათ, გარდა სიტყვიერი საყვედურისა.**

14 ივლისის სხდომაზე **მარქსისტ-ლენინისტი და ბერიას ერთგული მიმდევარი ვლადიმერ დეკანოზოვი** განთავისუფლებული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან და გარიცხული იქნა პარტიიდან. მასთან ერთად მოხსნილი იქნენ მთელი მისი კადრები. ეს იყო გადატრიალების დაწყების პირველი მნიშვნელოვანი ქმედება. **დეკანოზოვი** მაშინვე დააპატიმრეს.

**16 ივლისს „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერდა, რომ ბერიას მიმდევარი ათასობით ქართველი კომუნისტი წმენდაში მოხვედრის საშიშროების წინაშე დადგა.**

**დეკანოზოვის** ადგილზე შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა **ალექსი ინაური** — არმიის რევიზიონისტი ოფიცერი.

**ვალერიან ბაქრაძე** და ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელები (მაგალითად, **ცეკას პირველი მდივანი ა. მირცხულავა,** მესამე მდივანი **ვ. ჩხიკვაძე**) ბერიას მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასვლით შეეცადნენ თავის გადარჩენას, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ასეთმა მცდელობამ არ გაამართლა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 20 სექტემბრის პლენუმმა, რომელსაც სსრკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნიკოლოზ შატალინი** თავმჯდომარეობდა, გაანთავისუფლა **ბაქრაძე** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ხოლო **მირცხულავა** — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანამდებობებიდან.

**ბაქრაძის** ადგილზე დაინიშნა რევიზიონისტი ინჟინერი და გეოლოგი **გივი ჯავახიშვილი,** ხოლო **ალექსანდრე მირცხულავა,** რომელსაც ცეკას პირველი მდივნის თანამდებობა 1953 წლის 14 აპრილიდან **აკაკი მგელაძის** ნაცვლად ეკავა, რევიზიონისტმა გენერალ-ლეიტენანტმა **ვასილ მჟავანაძემ** შეცვალა. თუმცა, **ალექსანდრე მირცხულავა** 1980-იან წლებამდე იკავებდა მნიშვნელოვან თანამდებობებს — იყო **„საქპურტრესტის“** მმართველის მოადგილე, „საქთამბაქოს“ ტრესტის მმართველი და სხვ. ამგვარადვე, ბერიას მომხრეობის საფუძველზე ცეკას მეორე მდივნის თანამდებობიდან განთავისუფლებული **დავით რომელაშვილი** შემდგომში „სამტრესტის“ მმართველის პოსტს იკავებდა.

**საერთოდ, სტალინის გარდაცვალებისა და რევიზიონისტული გადატრიალების შემდეგ პარტიულმა კაპიტალისტებმა — ყოფილმა კულაკებმა ან მათმა მემკვიდრეებმა საქართველოში უმალვე გაინაწილეს სარფიანი თანამდებობები და მთლად სახელმწიფო დონეზე თუ არა, სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებების, კაფე-რესტორნებისა და საწყობების დირექტორებად მაინც მოგვევლინნენ.**

განთავისუფლებული იქნა სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების მინისტრი, ბერიას ნამდვილი მომხრე **მიხეილ ბარამია,** კულტურის მინისტრი **მიხეილ ჭიაურელი** და განათლების მინისტრი **მიხა ცხაკაია.** ბერიას არცერთი კანდიდატი აღარ იყო წარმოდგენილი ახალ კაბინეტში.

## ბერიას „გასამართლება“

ლავრენტი ბერიას სასამართლო გაიმართა **1953 წლის 18-23 დეკემბერს** სსრკ უმაღლეს სასამართლოში. მასთან ერთად გაასამართლეს და სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდეს მის ექვს თანამოაზრეს:

— **ვლადიმერ დეკანოზოვს** — საქართველოს ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს;

— **სერგო გოგლიძეს** — საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს და სსრკ უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილეს;

— **ბოგდან კობულოვს** — საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს;

— **ვსევოლოდ მერკულოვს** — სახელმწიფო კონტროლის მინისტრს;

— **პავლე მეშიკს;**

— **ლევ ვლოძიმირსკის** — გენერალ-ლეიტენანტს;

ბერიას დაპატიმრებას ასევე ემსხვერპლნენ სხვა მისი ერთგული მომხრეებიც: გენერალ-ლეიტენანტი **სოლომონ მილშტეინი,** „ემგებეს“ დირექტორიატის ხელმძღვანელი, რომელმაც 1953 წლის 30 ივნისს დაპატიმრების მცდელობისას გასწია შეიარაღებული წინააღმდეგობა, მოკლა და დაჭრა რამდენიმე რევიზიონისტი ჩეკისტი და თვითონაც დაიღუპა სროლის დროს **(არსებობს არცთუ უსაფუძვლო ვერსია, რომ ლავრენტი ბერიაც სროლის დროს დაიღუპა მისი დაპატიმრების მცდელობისას);** სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი **სტეფანე მამულოვი** სიკვდილით დასჯას გადაურჩა, თუმცა, ბოლომდე მოიხადა 15 წლით თავისუფლების აღკვეთის სასჯელი; **მიხეილ გვიშიანი,** გენერალ-ლეიტენანტი, ბერიას პირადი დაცვის უფროსი, სავარაუდოდ, სასჯელს უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში ახლო კავშირების წყალობით გადაურჩა. მის ვაჟს **ჯერმენ გვიშიანს** (სახელი ჯერმენი, იგივე ძერმენი, შედგენილია საბჭოთა უშიშროების პირველი ხელმძღვანელების **ფელიქს ძერჟინსკისა და ვიაჩესლავ მენჟინსკის** გვარების პირველი მარცვლებისგან და მათ საპატივცემულოდ) ცოლად ჰყავდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ნამდვილი კომუნისტისა და სტალინელის **ალექსი კოსიგინის ქალიშვილი ლუდმილა.** მანამდე კი, 1940-იანი წლების ბოლოს, **ალექსი კოსიგინი, იური ანდროპოვთან ერთად,** სწორედ **მიხეილ გვიშიანმა** იხსნა ასევე გახმაურებული შიდაპარტიული სეპარატისტული ხასიათის **„ლენინგრადის საქმიდან“,** რომელი საქმის გამოც მანამდე რამდენიმე წლით ადრე გაუქმებული სიკვდილით დასჯა კვლავ იქნა აღდგენილი. **შემდგომში მიხეილ გვიშიანის ნაშვილები ქალიშვილი ლაურა ხარაძე ევგენი პრიმაკოვის პირველი ცოლი გახდება.**

1970-იან წლებში სსრკ უშიშროების ხელმძღვანელის **იური ანდროპოვის** ხელშეწყობით **ჯერმენ გვიშიანი** ჯერ ელიტურ რომის კლუბში მოხვდა და მის დე ფაქტო დამფუძნებლადაც მოგვევლინა, შემდეგ კი **ლაქსენბურგში,** ავსტრიაში გამოყენებითი სისტემური ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ და მოსკოვში სისტემური ანალიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელად დაინიშნა. **ამ ინსტიტუტებმა, რომლებიც აშკარად საბჭოთა კავშირის წყობის დანგრევაზე მუშაობდნენ, ფაქტიურად, „ლენინგრადის საქმის“ პრაქტიკული რეაბილიტაცია მოახდინეს, როდესაც 1990 წლის 12 ივნისს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ დიდი ხნის წინათ დაგეგმილი პარტიულ-სეპარატისტული და ნაციონალური დამოუკიდებლობა გამოაცხადა** (საქართველოზე მთელი ერთი წლით ადრე).

## რაფავა-რუხაძის სასამართლო

1955 წლის სექტემბერში სსრკ უმაღლესი საბჭოს სამხედრო კოლეგიამ თბილისში **გენერალ-ლეიტენანტ ჩერტკოვის** თავმჯდომარეობით გაასამართლა **ალექსანდრე რაფავა** (საქართველს შინაგან საქმეთა ყოფილი სახალხო კომისარი, სსსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრი), **ნიკოლოზ რუხაძე** (სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი) და ექვსი სხვა ბრალდებული, რომლებიც ოფიციალურად იყვნენ დაკავშირებული საქართველოს უშიშროების ძალებთან და ბრალად დასდო მათ ღალატი და ტერორისტულ აქტებსა და კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობა“. რევიზიონისტი **რუხაძე,** როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავადვე შეიქნა მსხვერპლი მის მიერვე შეთხზული 1951-1952 წლების „მეგრელების საქმისა“.

ბრალდებულებს ედავებოდნენ გამოჩენილი საბჭოთა მოღვაწის **სერგო ორჯონიკიძის, მამია ორახელაშვილის** (ამიერკავკასიის რეგიონალური პარტიული კომიტეტის ყოფილი მდივნის), მისი ცოლის **მარიამ ორახელაშვილის** (საქართველოს სსრ განათლების ყოფილი სახალხო კომისრის), პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის და სტალინის მეუღლის **ნადეჟდა ალილუევას** ნათლიის **აბელ ენუქიძისა** (მეტსახელად „ოქროს თევზი“) და 1930-იანი წლების სხვა ქართველი რევიზიონისტების მიმართ ბერიას მიერ გატარებულ „ტერორისტულ და დანაშაულებრივ“ მოქმედებებში მონაწილეობას. **ბრალდებულთაგან ერთს მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, მეორეს — ოცდახუთი წლით პატიმრობა, დანარჩენებს კი, რაფავასა და რუხაძის ჩათვლით — დახვრეტა.**

## ბოლო სასამართლო და გადატრიალების დასასრული

1956 წლის 12-26 აპრილს, თბილისში ქართველი სტალინელების მასობრივი ხოცვა-ჟლეტიდან მოკლე ხანში, რევიზიონისტებმა ბოლო სასამართლო პროცესი გამართეს ბაქოში გენერალ-ლეიტენანტ **ა. შეპკოვის** თავმჯდომარეობით — აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **მირ ბაგიროვს** და მის ხუთ თანამზრახველს იგივე „შეთხზული“ ბრალდებები წაუყენეს, რაც ქართველ მარქსისტ-ლენინისტებს. ბაგიროვი და ორი ბრალდებული დახვრიტეს.

**ამით დასრულდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული რევიზიონისტების შეთქმულება, რომელიც „მეგრელების საქმის“ პერიოდში და უფრო ცხადად კი, სტალინის გარდაცვალების შემდეგ გამომჟღავნდა.**

*დათო ჩიხლაძე*







ნიკოლოზ რუხაძე, ავქსენტი რაფავა, მიხეილ ბარამია, ვლადიმერ შონია, პეტრე შარია



ოლეგ იაძე:

# ქართველებო, ჩამოხსენით ლურჯ-ყვითელი დროშები!

*„მოვლენები აჩქარებულად ვითარდება. შესაძლოა, ამ შემოდგომით როგორც შიდა, ასევე გარე მტრებმა კიდევ ერთხელ მოიქნიონ კუდი!“ —* ***ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ცნობილმა სამბისტმა, კასპის რაიონის ყოფილმა გამგებელმა, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა***

ოლეგ იაძემ:

— საქართველოს ხელისუფლებას ამჟამად ისეთი საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსი უჭირავს, როგორსაც დამოუკიდებლობის აქტის მიღებიდან ნატრობდა ქართველი ხალხის და ქართველი ამომრჩევლის უმრავლესობა. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ავტორი **ზვიად გამსახურდია** მოკლეს, ხოლო საქართველოს თავს მოახვიეს ისეთი მმართველები, რომლებიც დასავლეთის მითითებებს უყოყმანოდ ასრულებდნენ. ისე გამოვიდა, რომ **საქართველო განთავისუფლდა საბჭოთა იმპერიის ტყვეობიდან, მაგრამ უმალ მოექცა ამერიკის და ევროკავშირის ტყვეობაში, სადაც თავისუფლების ხარისხი კიდევ უფრო დაბალი აღმოჩნდა!**

**— პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქართველი ხალხის სახელით თამამად განუცხადა დასავლეთს, რომ საქართველო აღარ შეასრულებს მისთვის მავნე დასავლურ მითითებებს როგორც საგარეო, ასევე საშინაო სფეროში.**

— ამან უკვე გამოიღო თავისი შედეგი თუნდაც ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომელმაც ბეჭედი დაასვა, რომ არც სააკაშვილის მიმართ ირღვევა უფლებები და არც მელიას დაკავება ყოფილა პოლიტიკური დაკვეთა. **როცა ხელისუფლება თავის სიმაღლეზე დგება, მერე ევროპული სტრუქტურები ველარ ბედავენ, შეიარაღებული გადატრიალება კანონიერ ფარგლებში წარმოაჩინონ.** აგერ, რამდენიმე დღის წინ პრემიერმა ღარიბაშვილმა ღირსეული პასუხი გასცა **ჟოზეფ ბორელს,** რომელმაც საქართველო უცოდინარ სტუდენტად მოიხსენია, ჩვენთვის ყურის აწევა დააპირა და სრული მორჩილება მოგვთხოვა.

**— დასავლეთს მართლაც დამამცირებელი დამოკიდებულება აქვს საქართველოს მიმართ. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ყველა ქვეყანაში ხომ უმკაცრესად ისჯება.**

— ამერიკაში არჩევნების შემდეგ 250 კაცია დაჭერილი სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით. ისინი თეთრ სახლში „მოლოტოვის კოქტეილებით“ კი არა, ცარიელი ხელებით შეიჭრნენ, მაგრამ ამერიკის ხელისუფლება უმკაცრესად მოეპყრა მეამბოხეებს, იქ 5 კაცი მოკლეს, დანარჩენებს კი, ზოგს — 30-წლიანი, ზოგს 40-წლიანი სასჯელები მიუსაჯეს! საქართველოში ვინ დაისაჯა? არადა, მერამდენე შეიარაღებული გადატრიალება მოიგერია ხელისუფლებამ!

**ჩვენ გვახსოვს ამოყირავებული და ცეცხლწაკიდებული პოლიციის მანქანები ბათუმსა და თბილისში, ჯაჭვებით, ხელკეტებით, ცივი იარაღებით შეიარაღებული ბრბო, რომელიც ყველაფერს ლეწავდა და ანადგურებდა! ჩვენ გვახსოვს მრავალსაათიანი შტურმები საქართველოს საკანონმდებლო ორგანოზე, მეამბოხეთა ნასროლი „მოლოტოვის კოქტეილებით“ ცეცხლმოკიდებული და ქვებით დაზეგვილი პოლიციელები, მაგრამ რიგიანად პასუხი არავის აგებინეს — მათ ხომ მფარველებად ისევ და ისევ ევროპარლამენტარები და დასავლური ინსტიტუტები გამოუჩნდნენ!** ეს რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს მომხდარიყო, ალბათ, ევროპარლამენტარების ყიჟინის ფონზე სათითაოდ ქუჩებში დახვრეტდა ყველას!

**— აღარ დადგა დრო, ბოლოს და ბოლოს, მივიღოთ ის კანონი, რომელიც უცხოეთის აგენტურას გააშიშვლებს?**

— ამერიკულ კანონს, რომელიც „რუსულად“ მონათლეს და მისი მიღება ჩაშალეს, საქართველო უახლოეს მომავალში მაინც მიიღებს! რაც შეეხება იმ პრობლემას, რომ ნაცების აქციებზე ოცნების აქტივისტთა ოჯახის წევრებიც დაიარებიან, ეს კოჰაბიტაციის შედეგია. რიგ შემთხვევებში მართლა ვერ გაიგებ, სად გადის ზღვარი ოცნებასა და ნაცებს შორის, ისე ხშირად უცვლიან ერთმანეთს მაისურებს, ერთმანეთთან ბიზნესინტერესებით არიან დაკავშირებულები და ნაკლებად აინტერესებთ, ხელისუფლებაში ოცნება იქნება თუ ნაცები. **სწორედ ისინი ჩადგნენ ბიძინა ივანიშვილსა და მის თავგანწირულ მომხრეთა შორის, რომლებმაც სიცოცხლის რისკით შეცვალეს ნაცების რეჟიმი!** ეს ფენა გაშმაგებით ცდილობს, ბატონ ბიძინამდე არ მიუშვას ერთგული ხალხი, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებისთვის თავის გასაწირად არის მზად!

**— როგორ მიგაჩნიათ, საქართველოს „ბოლო გაჩერება“ მართლაც ევროკავშირი იქნება?**

— ევროპელ ხალხებს ნამდვილად გააჩნიათ ჯანსაღი და კონსერვატიული ღირებულებები, ოღონდ ევროკავშირი, როგორც გაერთიანებული ევროპის სახელმწიფო სტრუქტურა — არ გამოხატავს ამ ინტერესებს და ევროპელი ხალხებისათვის ისევეა თავსმოხვეული, როგორც საქართველოს მოახვიეს თავს ჯერ შევარდნაძის და მერე სააკაშვილის რეჟიმები! არადა, ქართველმა ხალხმა უკვე დაინახა დასავლეთის ნამდვილი სახე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ტირანსა და სისხლიან სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა. ასე რომ, საქართველოს „ბოლო გაჩერება“ ევროკავშირი ვერანაირად იქნება, რადგან ეს კავშირი ევროპელი ხალხების ნებას არ გამოხატავს და ახლო მომავალში დასანგრევად არის განწირული! ქართველმა საზოგადოებამ უკრაინის მაგალითზე დაინახა, რა შეიძლება დაემართოს თანამედროვე ფაშიზმის წამახალისებელ და დასავლეთზე ორიენტირებულ ქვეყანას! დიახ, ჩვენ გიჟი დაგვინიშნეს პრეზიდენტად, უკრაინელებს — მასხარა და შედეგიც სახეზეა!

მახსენდება საქართველოს მიმართ უკრაინის ფაშისტური რეჟიმის არაერთი თავხედური განცხადება, თანადგომის სანაცვლოდ გამოჩენილი უმადურობა, ელჩის გაწვევა, ხელისუფლების შეცვლის უტიფარი მუქარები და მინდა, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან საქართველოს ხელისუფლებას საჯაროდ მოვუწოდო: **თუ თავმოყვარეობა შეგრჩენიათ, დაუყოვნებლივ ჩამოხსენით უკრაინის ლურჯ-ყვითელი დროშები, რომლებიც ქუჩებშია გამოფენილი!** ამ დროშებს, ამ ლურჯ-ყვითელ სტიკერებს არაფერი აკავშირებს უკრაინელი ხალხის ნებასთან, არამედ თანამედროვე ფაშიზმის სიმბოლოებად იქცნენ!

დაუყოვნებლივ გაყარეთ ქვეყნიდან ყველა სრულწლოვანი უკრაინელი მამაკაცი, რომლებიც ნაცლიბერასტების აქციებზე აქტიურობენ და მათ მხარდამხარ საქართველოში ახალი სისხლისღვრის პოტენციური მხარდამჭერები ბრძანდებიან!

**— საქართველოს ხელისუფლებამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის თემა წამოსწია, მაგრამ სალომე ზურაბიშვილი განა თავადვე არ მოახვიეს ქართველ ხალხს პრეზიდენტად?**

— მახსენდება „ქართული ოცნების“ ოფისში მინისტრობის კანდიდატთა წარდგენა, სადაც ბატონმა ბიძინამ ძველი ანეკდოტი წინასწარმეტყველურად მოჰყვა: ჭიათურის მაღაროებიდან აფეთქების ხმების ფონზე ქუჩაში ქალი უდარდელად მიდის, სიჩერჩეტის გამო საფრთხეს ვერ ამჩნევს. მისძახიან — დროზე შედი, ქალო, ბუტკაშიო, ის კი პასუხობს — არ ვარ იმნაირიო. თვალს ვადევნებ მიმდინარე მოვლენებს და ასე მგონია, ბატონმა ბიძინამ ამ სიტყვებით და, რაც მთავარია, საქმით, უკვე ბევრი უმაქნისი შეიყვანა ბუტკაში!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

**არის ასეთი აზრი!**

# კავკასიის

***საქართველოს გენერალიტეტის მემატიანე, ცნობილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი და მწერალი ლევან დოლიძე კავკასიის ბრძოლას იხსენებს და მის საგანგებო მნიშვნელობაზე კიდევ ერთხელ საუბრობს:***



ლევან დოლიძე:

# ვერაგი მტერი კავკასიონთან ქართველი ხალხის ერთსულოვნებამ და ბრწყინვალე სარდლობამ დაამარცხა!

**მკვლევარის სიტყვა**

— მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში კავკასიისთვის გაჩაღებული ბრძოლა, რომელსაც 80 წელი უსრულდება, ყველაზე ხანგრძლივი სამხედრო კამპანია იყო. იგი ბევრი რამით გახლდათ გამორჩეული. მათ შორის, იმითაც, რომ აქამდე ზღვის დონიდან 5 კილომეტრზე მაღლა ადამიანებს არ უბრძოლიათ. თვით სტალინის შეფასებით, კავკასიის დაცვას მოსკოვის დაცვაზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. **კავკასიისთვის ბრძოლა ადოლფ ჰიტლერმა 1942 წლის 25 ივლისს დაიწყო. 1943 წლის 9 ოქტომბერს ეს საშინელი და დაუნდობელი ოპერაცია საბჭოთა კავშირის ტრიუმფალური გამარჯვებით დასრულდა.**

1942 წლის 23 ივლისს ფაშისტებმა აიღეს დონის როსტოვი, რამაც ჰიტლერს საშუალება მისცა, არამარტო საქართველოსკენ გამოჭრილიყო, რათა ბაქოსა და გროზნოს ნავთობს დაპატრონებოდა, არამედ სტალინგრადისთვისაც შეეტია. ფიურერმა კავკასიონზე შეტევისთვის არმიათა დაჯგუფებიდან — „სამხრეთი“ გამოყო ჯგუფი „ა“, რომელშიც შედიოდნენ — გენერალ-ფელდმარშალ **პაულ კლაისტის** პირველი სატანკო არმია, გენერალ-პოლკოვნიკ **რიჰარდ რუოფის** მე-17 არმია და მე-3 რუმინული არმია გენერალ-ლეიტენანტ **პეტრე დუმიტრესკუს** ხელმძღვანელობით. თავდაპირველად ჰიტლერი აპირებდა კავკასიონისთვის ბრძოლაში გამოეყენებინა გენერალ-პოლკოვნიკ **ჰერმან ჰოტის** მე-4 სატანკო არმია და ერიხ **ფონ მანშტეინის** მე-11 არმია, მაგრამ ეს გეგმა მოგვიანებით შეიცვალა. 1942 წლის 21 აგვისტოს კავკასიისთვის ბრძოლაში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა — ფაშისტური ვერმახტის სამთო ფეხოსანმა დივიზია „ედელვაისმა“, რომელსაც **ჰუბერტ ლანცი** ხელმძღვანელობდა, იალბუზზე ფაშისტური დროშა და ტევტონთა შტანდარტები აღმართა. **ჰიტლერმა და გებელსმა მომხდარის გამო მთელი მსოფლიო ტრაბახით გადააყრუეს — ევროპის ყველაზე უმაღლეს წერტილზე გერმანიის დროშები ფრიალებსო! მდგომარეობა მართლაცდა კრიტიკული იყო.**

**— სტალინი როგორ აფასებდა შექმნილ ვითარებას?**

— როგორც ყოველთვის, სტალინი ადეკვატური იყო. 1942 წლის 17 აგვისტოს მან კრემლში იხმო „ენკავედეს“ მეოთხე სამმართველოს უფროსის **პავლე სუდოპლატოვის** მოადგილე, ქართველი გენერალი **ვარლამ კაკუჩაია,** რომელიც ბელადთან ბერიამ წაიყვანა. სწორედ ამ შეხვედრაზე უთხრა სტალინმა ბერიას — **ლავრენტი, ომის ბედი კავკასიაში წყდება!**

მოგეხსენებათ, კაკუჩაია უძლიერესი საბჭოთა სპეცსამსახურის „ომსბონის“ სათავეებთან იდგა. „ომსბონის“ ბაზა „ვდნხ-ს“, ანუ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე მდებარეობდა, სადაც დღეს ოსტანკინოს სატელევიზიო ანძაა აღმართული. „ომსბონის“ უპირველესი ფუნქცია მოსკოვის დაცვა იყო... გენერალი **ვარლამ კაკუჩაია** ასე იხსენებს 1942 წლის 17 აგვისტოს განვითარებულ მოვლენებს:

*„ღამის 12 საათი იყო, როდესაც ბერიას კაბინეტში შევედი. ბერიამ ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ნორმალურად თუ ვიყავი ჩაცმული და მითხრა:* ***სასწრაფოდ კრემლში — სტალინთან!*** *რამდენიმე წუთში სტალინის კაბინეტის კარი პირველად შევაღე და იქვე გავჩერდი. სტალინი გამომეგება და ხელით მანიშნა —* ***პოდოიდიტე ბლიჟე!*** *შემდეგ მკითხა:* ***სად იყავით დღეს, რას აკეთებდით, რა ნახეთ?*** *დაწვ-*



იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია

სტალინი:

# ლავრენტი, ომის ბედი კავკასიაში წყდება!

# ბრძოლა 80 წლისაა!

რილებით მოვუყევი იმ ნაწილების საფრონტო განწყობის შესახებ, რაც ჩემი თვალით ვნახე. — **თუ იცით, რატომ გამოგიძახეთ?** — მკითხა სტალინმა. — არა, — ვუპასუხე. — **კავკასიონზე მდგომარეობა კატასტროფულია, კავკასიონის დაკარგვა მოსკოვის აღების ტოლფასია. შეგიძლია თუ არა, დაიცვა კავკასიონი და შენი ქვეყანა? სვანეთის უღელტეხილებისა და, კერძოდ, ბეჩოს გადასასვლელის დაცვა თქვენი უპირველესი დავალებაა!** მივხვდი, რომ სტალინი ჯგუფის ყველა მონაწილეს შეხვდა და შესაბამისი დავალებაც მისცა. — მზად ვარ, მოვკვდე სამშობლოსათვის, დავიცვა მისი ღირსება და დამოუკიდებლობა! — **უნდა მოკვდნენ გერმანელები და არა თქვენ!** — ღიმილით შემისწორა სტალინმა და განაგრძო: — **ხვალ, დილის 5 საათზე, ჩემი თვითმფრინავითა და მფრინავით გაფრინდებით თბილისში, თქვენი ხელმძღვანელი იქნება ბერია.** შემდეგ ხელი ჩამომართვა და გამომემშვიდობა.

აეროპორტში წასვლამდე კომისარიატის კანცელარიის უფროს **სტეფანე მამულოვთან** შევიარე, სწორედ მისგან შევიტყვე, რომ ლავრენტი ბერიას კავკასიის ფრონტზე მოჰყავდა თავისი შვილი სერგო.

მოკლედ, ხუთ საათზე სტალინის თვითმფრინავმა 18 კაცის შემადგენლობით კურსი თბილისისაკენ აიღო, მათ შორის იყო ლავრენტი ბერია შვილთან, **სერგოსთან,** ერთად. თვითმფრინავში, გარდა გენერალ-ლეიტენანტ **ბოდინისა,** რომელიც კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსად იყო დანიშნული, ყველა ქართველი იყო. საღამოს 11 საათზე თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა. ტრაპთან სამხედრო სალმით გაჭიმული იდგა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, **გენერალი ტიულენევი,** იქვე იყვნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნები: **კანდიდ ჩარკვიანი, მირ-ჯაფარ ბაგიროვი და გრიგოლ არუთინოვი.** მოკლე მისალმების შემდეგ შენიშნა რა დამხდურთა დაღვრემილი სახეები, ბერიამ მკაცრად მიმართა მათ: **რა მოხდა? რა სახეები ჩამოგტირით. თქვენი გარეგნობითა და საქციელით ხალხს პანიკაში ჩააგდებთ. ჩვენამდე მოვიდა ხმა, რომ ქალაქი იცლება, არ არის ფული, არ დადის ტრამვაი, ნუთუ ტრამვაიც ომში წავიდა?** ბერია განსაკუთრებულად მკაცრი იყო ტიულენევის მიმართ: **„ეს როგორ, ამხანაგო ტიულენევ, როგორ დაუშვით, რომ გერმანელებმა გადმოლახეს ბილიკები და დაეუფლნენ კავკასიონს! სად იყო შეიარაღებული ძალები, რას აკეთებდით თქვენ?“**

**— როგორც ცნობილია, სტალინის თვითმფრინავი, რომლითაც ბერია და კაკუჩაია თავიანთ ამალასთან ერთად გამოფრინდნენ, გზაში კინაღამ ჩამოვარდა!**

— მოსკოვიდან თბილისამდე პირდაპირი საჰაერო გზა გერმანელებს ჩაკეტილი ჰქონდათ, ამიტომ სტალინის პირადი მფრინავი, **პოლკოვნიკი გრაჩოვი** კასპიის ზღვიდან, კრასნოვოდსკიდან შემოფრინდა კავკასიაში. მფრინავმა გრაჩოვმა **ვარლამ კაკუჩაიას** ჰაერში უთხრა, რომ კრასნოვოდსკში ან ბაქოში უნდა დამსხდარიყვნენ, რადგან თვითმფრინავის ძრავის ხმა არ მოსწონდა. გრაჩოვი ითხოვდა, მოსალოდნელი საფრთხის შესახებ საქმის კურსში ჩაეყენებინათ **ბერია.** როცა ამის შესახებ 17 წლის **სერგო ბერიამ** შეიტყო, შეშინდა, თუმცა, ლავრენტიმ, რომელიც მთელი გზა თავაუღებლად მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი შვილი შესაძლოა, დაღუპვოდა, პილოტს ნება არ დართო, კისლოვოდსკში დამჯდარიყო და პირდაპირ თბილისში ჩამოფრინდა.

საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ ბერიამ **კაკუჩაიას** ასევე ნება არ დართო, წელიწად-ნახევრის უნახავი ცოლ-შვილი ენახა. — როცა ომს მოვიგებთ, ცოლ-შვილს მაშინ ნახავთ! ლავრენტიმ არ დაინდო არც თავისი შვილი, რომელსაც ძალიან უნდოდა ბებიისა და მამიდის ნახვა, რომლებიც ბერიას სახლში ცხოვრობდნენ და სერგოს უბრძანა — **არ გაბედო და სახლში არ დარეკო!**

საერთოდ, ბერია თბილისში ჩამოვიდა თუ არა, ქალაქში პანიკა ჩაცხრა და 2 საათში თბილისიდან სოხუმისკენ მატარებელიც დაიძრა. არადა, ამ დროს გერმანელებს უკვე საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, **სოფელი ფსხუ** დაკავებული ჰქონდათ... სამი დღის განმავლობაში ბერია დაკარგული იყო...

**— სად იყო?**

— სვანეთში! მონადირეებსა და ადგილობრივ მოხალისეებს **კონსტანტინე ლესელიძესთან** და სხვა სამხედროებთან ერთად გამოქვაბულებსა და კავკასიონის ჭიუხებში ხვდებოდა. ლავრენტი ბერიამ შტაბი თბილისიდან სოხუმში გადაიტანა და სვანებთან ურთიერთობა **ვარლამ კაკუჩაიას** მიანდო. სვანები თავიდან არ ერთვებოდნენ ბრძოლაში და აცხადებდნენ — გერმანელები ჩვენ არ გვეჩხუბონ!




**ამაზე არ წერენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ კაკუჩაიას ხელმძღვანელობით რამდენიმე სვანურ სოფელში ქურდები ჩამოყარეს და მომხდარი გერმანელებს დააბრალეს. ამის გამო სვანები გერმანელებზე გამწარდნენ და იარაღს მოჰკიდეს ხელი!**

კაკუჩაიამ პირადად გადმოიბირა ერთ-ერთი სვანი მონადირე, რომელიც ტყეში იმალებოდა. სწორედ მან უჩვენა კაკუჩაიას საიდუმლო ბილიკი, რომლის მეშვეობითაც სვანეთის უღელტეხილები ჩაკეტეს. იმ სვანმა მონადირემ ერთი გასროლით მოკლა გერმანელი ჯარისკაცი, რომელიც იმ ბილიკს დარაჯობდა. უდიდესი სამუშაო გასწია სასაზღვრო ჯარების სარდალმა, შემდგომში გენერალ-ლეიტენანტმა **ნესტორ ლაბაძემ.** დღე არ გავიდოდა, ლაბაძის ხალხს 200 გერმანელი ჯაშუში მაინც არ დაეჭირათ. არაფერს ვამბობ გენერალ **შალვა წერეთელზე,** რომელსაც მთელ კავკასიაში დაახლოებით 7-ათასკაციანი სპეცჯგუფი ემორჩილებოდა და მტრის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა. ეს ჯგუფები იტაცებდნენ, კლავდნენ და აფეთქებდნენ გერმანელებსა და მათ მფარველებს. მაგალითად, ბათუმში 18-კაციანი ჯგუფი აიყვანეს, რომელიც სვანეთის ბილიკებით ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლასა და მტერთან შეერთებას გეგმავდა.

**— კიდევ რა ღონისძიებები გაატარა ლავრენტი ბერიამ კავკასიონის დასაცავად?**

— კავკასიონს სვანებზე უკეთ ვერავინ დაიცავდა... არადა, სვანების უმეტესობა გამწყრალი იყო საბჭოთა ხელისუფლებაზე და არ აპირებდა გერმანელებთან ბრძოლას. იმისათვის რომ ამ ხალხის გული მოეგო, **ბერიამ** სწორედ სვანებისგან შექმნა სპეცდანიშნულების რაზმი და გამოსცა შემდეგი შინაარსის ბრძანება:

*№1. **სვან მებრძოლს, რომელიც მოკლავს გერმანელ ოკუპანტს, გადაეცეს ჯილდოდ 500 მანეთი და მოკლულის მთელი აღჭურვილობა იარაღის ჩათვლით;***

*2. თუ მოკლული უნტეროფიცერია, ჯილდო გაორმაგდეს და მიეცეს მოკლულის იარაღი;*

*3. **სვან მებრძოლს, რომელიც მოიტაცებს მოენეს და ტყვედ აიყვანს გერმანელ ოფიცერს, ჯილდო გაეზარდოს;***

*4. განსაკუთრებული მამაცობის გამოჩენისათვის სპეცდანიშნულების ბატალიონის წევრები წარდგენილნი იქნენ სახელმწიფო ჯილდოებსა და ორდენებზე. ასევე დაჯილდოებულნი იქნან სამახსოვრო იარაღით წარწერით: **„ლ.პ. ბერია“.***

**— საბოლოო ჯამში ამან რა შედეგი გამოიღო?**

— ჯერ 46-ე და შემდეგ მე-18 არმიის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ **კონსტანტინე ლესელიძის** ბრწყინვალე მხედრულმა ნიჭმა, რომელმაც 1943 წლის 16 სექტემბერს ნოვოროსიისკი გაათავისუფლა, კავკასიის ბრძოლაში უდიდესი როლი ითამაშა. ამ ბრწყინვალე ოპერაციისთვის გენერალ-ლეიტენანტ ლესელიძეს გენერალ-პოლკოვნიკობა და სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენი უბოძეს, ხოლო 1943 წლის 9 ოქტომბერს, როცა კავკასიის ბრძოლა დასრულდა, გენერალ-პოლკოვნიკ **ლესელიძეს** კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენიც მიანიჭეს.

კავკასიონის უღელტეხილების დასაბრუნებლად დიდი ბრძოლები გადაიტანეს 242-ე და 392-ე ქართულმა დივიზიებმა, რომლებსაც ქართველი გენერლები — **გიორგი ყურაშვილი და ისიდორე სილაგაძე** ხელმძღვანელობდნენ. საერთოდ, ომის დროს 9 ქართული დივიზია შეიქმნა და მათი უმეტესობა ყირიმში განადგურდა სტალინის ყურმოჭრილი მონის **ლევ მეხლისის** თვითნებობის გამო, რომელიც ფრონტის სარდალ **გენერალ კოზლოვს** არ უჯერებდა და სულელურ გადაწყვეტილებებს იღებდა. ამიტომაც იყო, რომ 1942 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ქერჩი და სევასტოპოლი ქართველთა სასაკლაოდ იქცა. ყირიმში დახლოებით 90 ათასი ქართველია ჩახოცილი. **გიორგი მდივანი,** რომელიც უკანასკნელ „კუკურუზნიკს“ გამოჰყვა ქერჩიდან, იგონებდა, რომ ქერჩის სრუტე ქართველების სისხლით იყო შეღებილი.

**— მაინც რამ დაამარცხა მტერი კავკასიონთან?**

— მტერი კავკასიონთან ქართველი ხალხის ერთსულოვნებამ და ბრწყინვალე სარდლობამ დაამარცხა! ჩვენ ერთხელ უკვე ვთქვით, რომ ბერიას დავალებით და საქართველოს ცეკას მეორე მდივნის **მიხეილ ბარამიას** ხელმძღვანელობით, გათავისუფლებული ნოვოროსიისკენ 1943 წლის ნოემბრის დასაწყისში დაიძრა ეშელონი, რომელიც ყოველ სადგურზე ჩერდებოდა და გამარჯვებული მეომრებისთვის საჩუქრებით ივსებოდა.

1943 წლის 6 ნოემბერს ნოვოროსიისკში ჩასულმა დელეგაციამ, რომელშიც **აკაკი ხორავა, სიმონ ჩიქოვანი, უჩა ჯაფარიძე, გიორგი ლეონიძე** და სხვა ცნობილი ქართველები შედიოდნენ, **კონსტანტინე ლესელიძესთან, ვლადიმერ ზარელუასთან და ლეონიდ ბრეჟნევთან** ერთად გადაიღო სამახსოვრო ფოტოსურათი. მოგეხსენებათ, შემდგომში გენერალი ზარელუა მე-18 არმიის უშიშროებას ხელმძღვანელობდა, ხოლო ბრეჟნევი — პოლიტიკური ხელმძღვანელი იყო.

ამ ფოტოს ისტორიის შესახებ ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია... სწორედ იმ ერთსულოვნებამ და თავდადებამ მოიგო კავკასიის ბრძოლა, რომელიც, მე თუ მკითხავთ, მაშინ დასრულდა, როცა **1943 წლის 9 თებერვალს** სვანმა დევგმირმა **ბექნუ ხერგიანმა გაბრიელ ხერგიანთან** ერთად ფაშისტების დროშა იალბუზიდან ჩამოხსნა და იქ საბჭოთა დროშა აღმართა.

**ჰიტლერმა კავკასიისთვის ბრძოლა 1942 წლის 23 ივლისს დაიწყო, ხოლო 1942 წლის 28 ივლისს გამოქვეყნდა სტალინის ისტორიული ბრძანება №227 — „არცერთი ნაბიჯი უკან!“** კავკასია მტერმა სწორედ ამიტომ ვერ აიღო, რამაც ომის ბედი ნამდვილად გადაწყვიტა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



# ისტორიკოსის თვალით



## სვიმონ მასხარაშვილი:

# არც ნუღლა, არც ფარნაოზ ანანიაშვილი და არცერთი მეღვინე შევარდნაძის გარეშე არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ იმისთვის, რომ იური ანდროპოვისთვის თავი მოეწონებინა, ეს ხალხი ედუარდმა დასახვრეტად გაიმეტა!!!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი იმ კატასტროფულ შედეგებზე გვესაუბრება, რაც შევარდნაძის მიერ დანერგილმა მიწერებმა და მმართველობის კორუფციულმა სტილმა საქართველოს ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობას დააწია:***

— 1972 წლიდან 1985 წლამდე ედუარდ შევარდნაძის ცეკას პირველი მდივნობის პერიოდს დაემთხვა საქართველოს კულტურული და სპორტული რენესანსი, როცა თეატრისა და კინოს მოღვაწეებმა, მომღერლებმა, მოცეკვავეებმა, მწერლებმა, მეცნიერებმა თუ სპორტსმენებმა საქვეყნო აღიარება მოიპოვეს. მარტო ის რად ღირს, რომ 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამომ“ თასების თასი მოიგო, ხოლო 1978 წელს მეორეჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა; დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, ალექსანდრე ჩივაძე, ოთარ გაბელია საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელებად დასახელდნენ, ხოლო რუსთაველის თეატრმა, რობიკო სტურუას ხელმძღვანელობით, მსოფლიო აალაპარაკა... გამოიცა და განხორციელდა „დათა თუთაშხიას“ ბრწყინვალე ეკრანიზაცია, აღარაფერს ვამბობ ელდარ შენგელაიას შედევრებზე, მაგრამ ამ ყველაფერში ედუარდ შევარდნაძის დამსახურება ისეთივე იყო, როგორც ნიკიტა ხრუშჩოვს მიუძღვოდა წვლილი 1953 წლის აგვისტოში საბჭოთა წყალბადის ბომბის წარმატებულ აფეთქებასა და 1961 წელს გაგარინის კოსმოსში გაფრენაში. საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ წყალბადის ბომბი ჯერ კიდევ 1953 წლის იანვარში, სტალინის სიცოცხლეში იყო მზად, ხოლო საბჭოთა კავშირის პირველი კოსმოსური ოდისეა და იური გაგარინის ტრიუმფი, რომელიც 1961 წლის 12 აპრილს შედგა, თავიდან ბოლომდე დაგეგმეს, განსაზღვრეს და მოამზადეს სტალინმა და ბერიამ. ზუსტად ასე, იმ კულტურულ და სპორტულ მიღწევებსაც, რომელიც შევარდნაძის პერიოდს დაემთხვა, ჰყავდა ერთადერთი ავტორი — **ვასილ მჟავანაძე და მისი გუნდი.**

**— გამოდის, რომ სწორედ ვასილ მჟავანაძის, გიორგი გეგეშიძისა და ლაზიშვილების დამსახურებით გაშალა ფრთები ქართულმა ხელოვნებამ და სპორტმა, რომლის პრეზენტაციაც შევარდნაძის ეპოქაში მოხდა და ედუარდმა ყველა ეს სიკეთე და წარმატება საკუთარ თავზე მიიწერა!**

— შევარდნაძეს ჰქონდა ერთი თვისება — კეთილსინდისიერ, კეთილშობილ და ხალხში პოპულარულ ადამიანებს ნიღბად აიფარებდა და ამ ფონზე თავის შავბნელ მიზნებს ახორციელებდა! მაგალითად, კულტურის მინისტრი **ოთარ თაქთაქიშვილი,** კომკავშირის ლიდერი **ჟიული შარტავა,** აბაშის რაიკომის პირველი მდივანი **ზურამ მგელაძე** და ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, ულამაზესი **მერი მდივანი** ხალხში პოპულარული ფიგურები იყვნენ, მაგრამ ამ ყველაფრის მიღმა შევარდნაძე ქართველ ხალხს თვალში ნაცარს აყრიდა და ქვეყანაში აღვირახსნილ კორუფციას, მექრთამეობას, მიწერებსა და საშინელ რეპრესიებს ამკვიდრებდა.

**— დააკონკრეტეთ, მაინც რას სჩადიოდა შევარდნაძე?!**

— აი, მაგალითად, ლავრენტი ბერიას პერიოდიდან მოყოლებული, საქართველო საკავშირო ბიუჯეტში დოვლათის შეტანის მხრივ, ერთ-ერთი ბოლო რესპუბლიკა იყო, სამაგიეროდ, ცხოვრების დონით ორჯერ და სამჯერ უსწრებდა დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებს. ბერიასა და მჟავანაძის დროს შიდაპოლიტიკა ასეთი იყო — ქართველი გლეხი კოლმეურნეობის წინაშე გეგმას რომ შეასრულებდა, ნამეტ პროდუქტსა და ცხოველს კრემლს კი არ უგზავნიდა, არამედ ოჯახს ახმარდა! შევარდნაძე საქართველოს ცეკას მდივანი გახდა თუ არა, ეს ყველაფერი შეცვალა, კრემლისთვის თავის მოსაწონებლად საქართველოს უზარმაზარი გეგმები აჰკიდა, რითიც სოფლის მეურნეობა მოსპო. კერძოდ, დასცა ქართული ჩაის ხარისხი, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო იყო. საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ 1942 წლის აგვისტოში, როცა ჩერჩილი მოსკოვს ეწვია, სტალინმა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ქართული, ინდური და ჩინური ჩაი გაასინჯა. სტუმარმა, რომლის კოლონიაც ინდოეთი იყო, პრიორიტეტი მიანიჭა ქართულ ჩაის! ჩაი საქართველოს, ინდოეთისა და ჩინეთის გარდა, ფაქტობრივად, სხვაგან არც მოდის... შევარდნაძემ სწორედ ამ სტრატეგიულ დარგს დაარტყა, რადგან ორდენებისა და მედლების მისაღებად ფეხებზე დაიკიდა ყველანაირი ხარისხი და აქცენტი გააკეთა რაოდენობაზე. ასე გახადა შევარდნაძემ ქართული ჩაი ნაგავი, როცა ტოტებს ჩეხდნენ და ჩაისთან ერთად აბარებდნენ, რათა მეტი გამოსულიყო. მთელი რუსეთი და აღმოსავლეთ ევროპა დღემდე სწორედ იმ ძველი, შევარდნაძის მიერ გაფუჭებული საქმის გავლენის ქვეშაა და ყველამ იცის, რომ ქართული ჩაი არის იაფი, მაგრამ ნაგავი. **ჩვენ რომ ქართული ჩაის ხარისხი შეგვენარჩუნებინა, მთელი რუსეთი და აღმოსავლეთ ევროპა მხოლოდ ქართული ჩაის ექსპორტიორი იქნებოდა და ქვეყანაში მილიარდები შემოვიდოდა.**

**— ცნობილია, რომ შევარდნაძემ ქართულ ღვინოსაც არანაკლები დღე დააწია!**

— შევარდნაძემ ქართული ღვინო საერთოდ წაბილწა! მართალია, საქართველო ღვინის სამშობლოა და ვაზის 4 ათასი ჯიშიდან 500 ჯიში ჩვენში დღესაც ხარობს, მაგრამ მცირემიწიანობიდან გამომდინარე, რაოდენობრივად აზერბაიჯანზე, მოლდოვაზე, კრასნოდარსა და სტავროპოლზე მეტი ყურძენი საქართველოში არასოდეს მოდიოდა. საფრანგეთში საქართველოსოდენა ფართობი მხოლოდ ზვრებს უჭირავს, აღარაფერს ვამბობ კალიფორნიაზე, ავსტრალიასა და ბრაზილიაზე. მაგრამ ქართული ვაზის უპირატესობა მის უნიკალურობასა და ხარისხშია. შევარდნაძემ უკადრებელი იკადრა, ჩაიდინა ეროვნული დანაშაული და საქართველოს მიზნად დაუსახა მილიონი ტონა ყურძნის ჩაბარება, რაც ფანტასტიკის სფერო იყო. აი, სწორედ აქედან დაიწყეს მარნებში შაქრის შეტანა და ღვინის წაბილწვა. ასე და ამრიგად, ედუარდმა ქართულ ჩაი და ღვინო მოსპო და წაგვიბილწა!

შევარდნაძის მიერ წაბილწული ქართული ღვინო მსოფლიო ბაზარზე თავისი კუთვნილი დიდების დასაბრუნებლად დღემდე თავგამოდებით იბრძვის და იმ ბოროტი შლეიფისგან ჯერ კიდევ არ არის გათავისუფლებული. **ე.წ. „აბაშის ექსპერიმენტი“ რატომ გამოვიდა, იცით? აბაშის რაიონში არც ყურძენი მოდის და არც ჩაი ხარობს, აქედან გამომდინარე, აბაშა შევარდნაძის კორუფციულ სქემაში ვერ ჩაეწერებოდა,** მაგრამ შევარდნაძე ვერც ღარიბი რაიონის წინსვლას შეუშლიდა ხელს. ამიტომ იძულებული გახდნენ, აღედგინათ მეურნეობის სტალინური სქემა და ნამეტი პროდუქტი გლეხისთვის დაეტოვებინათ! აბაშელმა გლეხმა რომ დაინახა, პირუტყვს აღარ ართმევდნენ, დაიწყო მეტი და მეტი სიმინდის მოყვანა, რომელიც ისევ და ისევ პირუტყვის გამოსაკვებად სჭირდებოდა. ამან გამოიწვია დიდი დოვლათის შექმნა და **„აბაშის ექსპერიმენტზე“** მთელი საბჭოთა კავშირი ალაპარაკდა. აბაშის რაიკომის პირველ მდივანს **ზურამ მგელაძეს** შევარდნაძე ვერ ეხებოდა!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ **ზურამ მგელაძეს** გორბაჩოვთან ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა ძალიან ახლო ურთიერთობა, როცა ის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი იყო. 1978 წლიდან კი გორბაჩოვი მოსკოვში გადაიყვანეს და საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას მდივნად დანიშნეს სოფლის მეურნეობის დარგში. ეს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრზე მაღალი თანამდებობა იყო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ზურამ მგელაძე სხვაგან რომ ყოფილიყო რაიკომის მდივანი, ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწევდა, რადგან პირდაპირი მითითება იყო შევარდნაძისგან, რომ ღვინო და ჩაი გაეთახსირებინათ, მაგრამ, რადგან აბაშაში არც ღვინო მოდის და არც ჩაი, რაიონი გადარჩა და აყვავდა!**

1982 წლის მიწურულს გარდაიცვალა **ბრეჟნევი** და ხელისუფლებაში მოვიდა **ანდროპოვი.** სწორედ იმ პერიოდში, 1983 წლის მარტში, პრეზიდენტმა **რეიგანმა** საბჭოთა კავშირს უწოდა **„ბოროტების იმპერია“** და განაცხადა — ჩემი მი-



ფარნაოზ ანანიაშვილი



ნუღლა – ზურაბ ბაკაშვილი




ჰეიდარ ალიევი და ედუარდ შევარდნაძე

**„ქართველებს რომ ეგონათ, 1983 წელს, ანდროპოვის დროს, შევარდნაძე ნიჩაბზე იდო, თურმე, შევარდნაძეს საქართველო ჰქონია დადებული ნიჩაბზე!“**

# «ედუარდმა ქართული ჩაი და




*იოსებ სტალინი და უინსტონ ჩერჩილი*

ზანია, ამერიკის ცა დავიცვა და საბჭოთა რაკეტები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზევე გავანადგურო, თუკი ისინი ამერიკისკენ დაიძვრებიანო! ამ განცხადებიდან სამ კვირაში ამერიკის თავდაცვის მდივანი **კასპარ ვაინბერგერი** იძულებული გახდა, აემოქმედებინა „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ გეგმა. ყველაფერი დაიწყო 1979 წელს, როცა ჯერ კიდევ გუბერნატორი **რონალდ რეიგანი** ამერიკის ერთ-ერთ სარაკეტო ბაზაზე დაპატიჟეს და უთხრეს, რომ სატელიტების გამოყენებით ჰქონდათ ისეთი რადარები, რომელიც „სატანას“ ტიპის საკონტინენტთაშორისო რაკეტებს მიწისქვეშა ანგარიდან თავის ამოყოფისთანავე აფიქსირებდა. — ანუ შეგიძლიათ, რუსების რაკეტები ბუნკერშივე გაანადგუროთ? — ჰკითხა რეიგანმა სამხედროებს. — არა, გამორიცხულია! მაგრამ, სანამ საბჭოთა რაკეტები ამერიკამდე მოაღწევს, მანამდე გვაქვს დაახლოებით 40 წუთი. ამ ხნის განმავლობაში რაკეტების მიმართულების დადგენას, კონკრეტული ქალაქების მოსახლეობის ევაკუაციასა და დიდი ადამიანური მსხვერპლის თავიდან არიდებას შევძლებთ! — ეს სიგიჟეა! გამოდის, რომ ჩვენ რეალურად დაუცველები ვყოფილვართ და ჩვენი სატელიტების „სიკეთე“ მხოლოდ ის არის, რომ ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში ხალხში დამატებით პანიკას დავთესავთ!

რეიგანმა სწორედ აქედან აიჩემა, რომ ამერიკული სატელიტების მიერ საბჭოთა მიწისქვეშა ანგარის გახსნისა და რაკეტის ამერიკისკენ გაშვების შემთხვევაში, ადგილზე მოეხდინა მისი ნეიტრალიზება. ამაში მას ძალიან დიდ დახმარებას უწევდა გერმანიაში არსებული სარაკეტო ბაზები. როგორც კი რეიგანის ეს პოზიცია გახმაურდა, **ანდროპოვმა** და თავდაცვის მინისტრმა **უსტინოვმა** ჩათვალეს, რომ ამერიკა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს იწყებდა. ამიტომ სასწრაფოდ გააკეთეს „პიონერის“ ფირმის რაკეტები, დაამონტაჟეს აღმოსავლეთ გერმანიაში და დაემუქრნენ ევროპას. ამის საპასუხოდ ამერიკამ 1200 ერთეული რაკეტა, მათ შორის, „პერშინგი“ დასავლეთ გერმანიასა და ევროპაში განათავსა.

**— სწორედ მაშინ წამოსცდა ანდროპოვს — „ჩვენ დავმარცხდით!“**

— დიახ, ეს ყველაფერი მოხდა ორ-სამ თვეში... გერმანიაში განთავსებული „პერშინგებით“ ამერიკა მოსკოვსა და მის შემოგარენს ადვილად სწვდებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირი ამ უპირატესობას მოკლებული იყო. **უსტინოვს** წყალქვეშა გემების იმედი ჰქონდა, მაგრამ იმ პირობებში, როცა ნატოს შავი და ბალტიის ზღვები ჩაკეტილი ჰქონდა, საბჭოთა ატომურ წყალქვეშა ნავებს ერთადერთ თავისუფალ სივრცედ რჩებოდათ ჩრდილოეთყინულოვანი ოკეანე, რადგან წყნარ ოკეანეში რუსები ამერიკელებს კონკურენციას ვერ გაუწევდნენ და ვერც უწევენ. აი, სწორედ ასეთ სიტუაციაში **ანდროპოვმა** დაიბარა ცნობილი აკადემიკოსები — **აბალკინი, არბატოვი, მელიხოვი** და დაავალა — იმისათვის, რათა ამერიკასთან კონფრონტაციის საფუძველი მოისპოს, საბჭოთა კავშირი გადავიდეს საბაზრო ეკონომიკაზე! ამას რომ ქვეყნის დაშლა არ გამოეწვია, უნდა მოქცეულიყვნენ ისე, როგორც **ეკატერინე მეორემ** რუსეთი გადაარჩინა. კერძოდ, ქვეყანა მოკავშირე რესპუბლიკების ნაცვლად უნდა დაეყოთ 41 შტატად. მაგრამ ეს შტატები ეროვნული ნიშნით არ უნდა შეექმნათ... მაგალითად, საქართველო, შესაძლოა, ორ სხვადასხვა შტატს შორის განაწილებულიყო. **ამ პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი იყო ორი რამ — დაუნდობელი ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობისა და კორუფციის წინააღმდეგ!** ეს მავნებლური იდეა ვერ განხორციელდა, მაგრამ **ანდროპოვმა** 1983 წელს ჩრდილოვან ეკონომიკას ტოტალური ბრძოლა გამოუცხადა.

**— შევარდნაძე ამას როგორ შეხვდა?**

— შევარდნაძემ, რომელმაც 1983 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი აღნიშნა, ახლა უკვე ანდროპოვთან მოინდომა ქულების ჩაწერა, „პლასტინკა“ გადმოატრიალა და ყველა ის მეღვინე, რომელიც სწორედ მისი ბრძანებით მოქმედებდა და ქართულ ღვინოს ათახსირებდა, დაიჭირა. **ნუღლა,** იგივე **ზურაბ ბაკაშვილი,** რომელსაც ფული სწორედ შევარდნაძესთან მიჰქონდა, მაშინ დაიმალა და გვიან დააპატიმრეს, მაგრამ დანარჩენ მეღვინეებს დაერივნენ და ზოგს 15-წლიანი პატიმრობაც კი მიუსაჯეს. სწორედ ამ პერიოდში დააპატიმრეს **იაშა მანაშეროვიც,** რომელიც ფართო მოხმარების საგნებს — კალმებს, საკანცელარიო ინვენტარს უშვებდა. **მანაშეროვს** შევარდნაძე 70-იან წლებში არ შეხებია, რადგან **ლაზიშვილებთან** პირდაპირი კავშირი არ ჰქონია, მაგრამ 1983 წელს ციხეში დახვრეტის მუხლით გაუშვა. დასახვრეტი მუხლით დაიჭირა და ციხეში არაერთი წელი გაატარებინა დიდებულ პიროვნებას — **ფარნაოზ ანანიაშვილს,** რომელიც ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ ფინანსთა მინისტრად დანიშნა. არც **ნუღლა,** არც **ფარნაოზ ანანიაშვილი** და არცერთი მეღვინე შევარდნაძის გარეშე არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ იმისთვის, რომ ანდროპოვისთვის თავი მოეწონებინა და კრემლის თვალში ქულები ჩაეწერა, ეს ხალხი ედუარდმა დასახვრეტად გაიმეტა და ციხეში გაუშვა! არადა, შევარდნაძე თავად იყო კორუფციისა და ყოველგვარი სისაძაგლის ავტორი...




ედუარდ შევარდნაძე, გურამ მგელაძე, მიხეილ გორბაჩოვი და ჯუმბერ პატიაშვილი აბაშაში. 1982 წელი

**— მიუხედავად ყველაფრისა, ანდროპოვმა შევარდნაძე მაინც არ გაიკარა!**

— ეს კიდევ საკითხავია! ეგ ჩვენ, ქართველებს, გვექმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ანდროპოვი შევარდნაძის მტერი იყო... არ დაგვავიწყდეს, რომ შევარდნაძის უახლოესი მეგობარი **ჰეიდარ ალიევი** სწორედ ანდროპოვმა გადაიყვანა პოლიტბიუროს წევრად. ანდროპოვი იყო ის კაცი, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის შევარდნაძის გაცეკასმდივნებაში. მესამე და ყველაზე მთავარი — სწორედ **ანდროპოვის** პროტეჟე იყო **გორბაჩოვი,** რომელმაც შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა. **მიმაჩნია, რომ საბჭოთა სისტემის დანგრევა სწორედ ანდროპოვმა დაიწყო!** მოკლედ, ქართველებს რომ ეგონათ, 1983 წელს, ანდროპოვის დროს, შევარდნაძე ნიჩაბზე იდო, თურმე, შევარდნაძეს საქართველო ჰქონია დადებული ნიჩაბზე! ხალხმა ვერ დაუშვა, რომ შევარდნაძე თავის მეგობრებს გაწირავდა და დასახვრეტად გაიმეტებდა.



*იური ანდროპოვი და მიხეილ გორბაჩოვი*

# ღვინო მოსპო და წაგვიბილწა!»

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## მსმენია, რომ სტალინის სახელობის ორდენთან ერთად ნავარაუდევი იყო პეტრე ბაგრატიონის ორდენის დაარსება. თუმცა, გაუგებარი მიზეზით, ასე არ მოხდა. მართალია თუ არა ეს?



პეტრე ბაგრატიონის ორდენის ესკიზები და ნიმუშები 1943 წელს შესრულდა...

მართალია. ორივე ორდენის მხოლოდ ესკიზები კი არა, ნიმუშებიც არსებობდა. **იოსებ სტალინის სახელობის ორდენი და მედალი 40-იანი წლების ბოლოს მზადდებოდა და მის დაარსებას 1949 წლის დეკემბერში, ბელადის 70 წლისთავისათვის ვარაუდობდნენ.** თანამოსაგრეებმა, რომელთა ინიციატივითაც ეს ხდებოდა, **სტალინს** ესკიზები და მზა ნიმუშები გააცნეს (ორდენი ძვირფასი მასალების — ოქროს, პლატინის და ალმასების გამოყენებით შესრულდა). ბელადს ნიმუშები მოეწონა, მაგრამ ამ ჯილდოების დაფუძნების ნებართვა არ მისცა: **„ადამიანის სიცოცხლეში მისი სახელობის ორდენს არ აარსებენ. ჩვენ გვაქვს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი, და ეს საკმარისია. შეგიძლიათ, თუკი ამის სურვილი გექნებათ, ჩემი სიკვდილის შემდეგ დააწესოთ.“**

მაგრამ **ი. სტალინის** გარდაცვალების შემდეგ, როგორც ცნობილია, ასეთი „სურვილი“ აღარ გამოთქმულა.

**პეტრე ბაგრატიონის ორდენის ესკიზები და ნიმუშები 1943 წელს შესრულდა, გაგანია ომის დროს.** ეს **ი. სტალინის** ნებართვით და თანხმობით მოხდა. სამუშაო მხატვარმა **ნ. მოსკალევმა** შეასრულა. ორდენი ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმისა იყო (ფაქტობრივად, დიდების ორდენის გამეორება), ცენტრში მხედართმთავრის სილუეტით და გარშემო წარწერით **„პეტრე ბაგრატიონი“.** ორდენის ლენტი დიდების ორდენის ლენტს იმეორებდა და დამატებითი ბაფთა ჰქონდა, ანალოგიური იმისა, რომელსაც რევოლუციამდელ რუსეთში გიორგის ჯვრის სრული კავალრები ატარებდნენ. იგულისხმებოდა, რომ ორდენს განსაკუთრებული ჯარისკაცური გმირობისათვის მიანიჭებდნენ, როგორც დიდების ორდენს, ანუ ის სტატუსით ამ უმაღლეს სამხედრო ჯილდოს უთანაბრდებოდა.

დავამატებთ, აგრეთვე, რომ **ბაგრატიონის** ორდენის დაარსება წითელი არმიის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი შეტევითი ოპერაციის პერიოდისათვის უნდა დაემთხვიათ, რომელსაც თავად ბელადმა **„ბაგრატიონი“** უწოდა. ამგვარად, როგორც ჩანს, ამ ორდენის პირველი კავალრები გახდებოდნენ სამხედროები, რომლებმაც გერმანელ დამპყრობთაგან ბელორუსიის გათავისუფლებისთვის ბრძოლებში გამოიჩინეს თავი, მაგრამ **სტალინმა** ამ ორდენის დაარსების საბოლოო გადაწყვეტილება მაინც არ მიიღო. როგორც ჩანს, ის დაკმაყოფილდა იმით, რომ დიდი მხედართმთავრის სახელი ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გრანდიოზულ ბრძოლას დაერქვა, რომელმაც, ბელადის სიტყვით, **„საბოლოოდ გადაუმსხვრია ხერხემალი ჰიტლერს“.**

## როდის დაარსდა უმაღლესი ჯილდო – საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და ქართველთაგან ვის მიანიჭეს იგი პირველად?



**საბჭოთა კავშირის გმირის წოდება სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებულებით 1934 წლის 16 აპრილს დაარსდა.** მაგრამ იმ დროს ის განსაკუთრებული დამსახურებისათვის ოქროს ვარსკვლავის გარეშე ენიჭებოდა, რომელიც მხოლოდ **1939 წლის 1 აგვისტოს შემოიღეს.** მას შემდეგ ამ მაღალ წოდებაზე წარდგენილთ გმირის **„ოქროს ვარსკვლავი“** და **ლენინის ორდენი გადაეცემოდა.** პირველი ქართველი, რომელსაც სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით **1940 წლის 4 ივნისს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, იყო მამაცი მფრინავი ვლადიმერ ნანეიშვილი** (1903-1978). ამ ადამიანს გმირული ბიოგრაფია აქვს — მე-18 საავიაციო ბრიგადის მეთაური, საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე, ომის წლებში რამდენიმე საჰაერო არმიის ავიაციის სარდალი. გარდა გმირის ვარსკვლავისა, ნანეიშვილი 14 საბრძოლო ორდენის და 15 მედლის კავალერია. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ის საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ხელმძღვანელობდა. 1940 წლის ივნისში, გმირის წოდების მიღების შემდეგ, მიენიჭა ავიაციის **გენერალ-მაიორობა.** 1944 წლის მაისიდან **გენერალ-ლეიტენანტი** იყო.



დაგისახელებთ კიდევ რამდენიმე გმირ ქართველს, რომლებმაც ეს წოდება დიდი სამამულო ომის წლებში მიიღეს: **შალვა ქირია** (1944 წლის ოქტომბერი), **პორფილე ჩანჩიბაძე, გალაქტიონ ალფაიძე** (ორივე — 1945 წლის აპრილი), **ვლადიმერ ჯანჯღავა, ერმალო კობერიძე, ბარი მერკვილაძე** (1945 წლის მაისი). სახელოვან ქართველ მხედართმთავარს, გენერალ-პოლკოვნიკ **კონსტანტინე ლესელიძეს** გმირის წოდება სიკვდილის შემდეგ — **1971 წელს** მიენიჭა. სხვათაშორის, მისი ღვიძლი ძმა **ვიქტორიც** საბჭოთა კავშირის გმირი იყო და ისიც — სიკვდილის შემდეგ.

1945 წლის 27 ივნისს გამოვიდა ბრძანებულება **ი. სტალინისთვის** გმირის წოდების მინიჭების შესახებ, მაგრამ ბელადმა ოქროს ვარსკვლავის მიღებაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ გმირობა არ ჩაუდენია. პირველად ამ ვარსკვლავმა **სტალინის** დაკრძალვაზე გაიბრწყინა გენერალისიმუსის დანარჩენ (მის მარშლებთან და გენერლებთან შედარებით საკმაოდ უმნიშვნელო) ჯილდოებს შორის.

## საქართველოს პრესის ზოგ პუბლიკაციაში ნოე ჟორდანიას (ჩემი აზრით, შეცდომით) საქართველოს პირველ პრეზიდენტს უწოდებენ. ამავე დროს ცნობილია, რომ პრეზიდენტის პოსტი საქართველოში ზვიად გამსახურდიას დროს შემოიღეს და პირველი პრეზიდენტიც სწორედ ის იყო. მაინც, რა პოსტი ეკავა ჟორდანიას?



სიმართლეს ბრძანებთ, საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** იყო. მართალი ბრძანდებით იმაშიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს (1918-1921) პრეზიდენტის პოსტი, როგორც ასეთი, არ არსებობდა. მაშ, ვინ იყო ერისა და ქვეყნის ლიდერი, ცნობილი მარქსისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **ნოე ჟორდანია** (1868-1953)? საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში ის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ. 1918 წლის 30 მაისს **ჟორდანია** ამ პოსტზე **ნიკოლოზ ჩხეიძემ** (1864-1926) შეცვალა და ეს თანამდებობა **1921 წლის თებერვალში** მე-11 წითელი არმიის ანექსიის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვამდე შეინარჩუნა. საქართველოს მთავრობის პირველი მეთაური იყო **ნოე რამიშვილი** (1881-1930). მან ამ თანამდებობაზე დაახლოებით ერთ თვეს დაყო, ხოლო **1918 წლის 24 ივნისს** მთავრობას **ნოე ჟორდანია** ჩაუდგა სათავეში და ამ პოსტზე ბოლომდე დარჩა. კაცმა რომ თქვას, იმ დროისათვის ეს სახელმწიფოს უმაღლეს პოსტად ითვლებოდა, რამეთუ საქართველო იმ პერიოდში საპარლამენტო რესპუბლიკა იყო.



სხვათაშორის, საინტერესოა, რომ სწორედ **ნოე ჟორდანია** იყო ის კაცი, ვინც ახალგაზრდა **იოსებ ჯუღაშვილი** მარქსისტულ ორგანიზაცია „მესამე დასში“ მიიღო. რა თქმა უნდა, მაშინ ის ვერც წარმოიდგენდა, რა სიმაღლეებს მიაღწევდა ყმაწვილი მარქსისტი. ბედისწერამ ინება, რომ **ჟორდანია** და **სტალინი** წუთისოფელს ერთსა და იმავე წელს გამოთხოვებოდნენ, როდესაც პირველი კვლავაც საზღვარგარეთ ემიგრანტთა ცენტრს ხელმძღვანელობდა, მეორე კი მსოფლიო დიდების ზენიტში იმყოფებოდა.

## სტალინგრადის ბრძოლა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზულია. ცნობილია, რომ მან საბოლოოდ მოსტეხა კისერი ჰიტლერს. საინტერესოა, მატერიალური თვალსაზრისით რა დაუჯდა გერმანიას სტალინგრადთან დამარცხება?

**სტალინგრადის ბრძოლა** ერთ-ერთი კი არა, ყველაზე გრანდიოზულია მსოფლიო ისტორიაში. მსგავსი რამ ომების მატიანეს არც მანამდე, არც მას შემდეგ არ ახსოვს. ანალოგი არც ამ ბრძოლის ხანგრძლივობას აქვს. **1942 წლის აგვისტოს ბოლოს** გერმანელები ვოლგაზე გავიდნენ. ოპერაცია კოდური სახელწოდებით **„ბლაუ“**, რომლის მიზანი ქვეყნის ევროპული ნაწილის კავკასიის ნავთობით მდიდარი რაიონებისაგან მოწყვეტა იყო, **91 ქვეითი დივიზიის, 1260 ტანკის და 1600-ზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავის ძალებით ხორციელდებოდა. „ბლაუს“** გეგმის დამტკიცებისას, გარდა ეკონომიკურისა, **ჰიტლერს** სიმბოლური მიზანიც ჰქონდა — პირისაგან მიწისა აღეგავა **სტალინის** სახელობის ქალაქი. ვოლგის ნაპირებთან ბრძოლა ცვალებადი წარმატებით თითქმის ნახევარ წელიწადს გაგრძელდა. **1943 წლის 2 თებერვალს,** პირადად უმაღლესი მთავარსარდლის მიერ შემუშავებული გენიალური გეგმის წყალობით, ის წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ამ გამარჯვების შედეგად მთლიანად განადგურდა ხუთი არმია — ორი გერმანული (მე-6 და მე-4 სატანკო), ორი რუმინული (მე-3 და მე-4) და ერთი იტალიური (მე-8). იტალია და რუმინეთი ამ დროს ფაშისტური გერმანიის მოკავშირეები იყვნენ.

**რა დანაკარგი ჰქონდა მოწინააღმდეგეს ამ უსასტიკეს ბრძოლაში?**

სტალინგრადის ბრძოლის **200-ზე მეტი დღის** განმავლობაში მოკლულების, დაჭრილების და ტყვედ ჩავარდნილთა სახით მტერმა **1,5 მილიონამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა.** მატერიალურმა დანაკარგმა **12 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 75 ათასი ავტომობილი, 3 ათასამდე ტანკი, თვითმავალი, 3 ათასზე მეტი საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავი შეადგინა,** ანუ მთელი ის საბრძოლო ძალა, რითაც შეტევა დაიწყო და რაც ბრძოლის მსვლელობისას დამატებით მიიღო.

სტალინგრადის გამარჯვებამ საშუალება მისცა წითელ არმიას, დამპყრობლები დასავლეთით **700 კილომეტრზე** გადაესროლა და ჰიტლერელთა მიერ დამონებული ათეულობით მილიონი ადამიანით დასახლებული **480 ათასი კვ. მ. ტერიტორია გაეთავისუფლებინა.** სტალინგრადის შემდეგ გერმანიამ, სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ფეხზე წამოდგომა ვეღარ შეძლო“.**




გენერალისიმუსი

2023 წლის 11 სექტემბერი, №52-53 (220-221)

სარედაქციო კოლეგია

„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

**„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში.**






დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-39

## გია ხუხაშვილი:

## ბიძინა არაფერ კარგს ჩვენს პოლიტიკოსებზე არ ფიქრობდა!

**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში ცალკე თავს უძღვნის **გიორგი მარგველაშვილს,** თუ როგორ მოხვდა ეს საშუალოზე დაბალი დონის ფილოსოფოსი ჯერ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაში, შემდეგ კი მთლად საქართველოს პრეზიდენტად!

მემუარისტი თხრობას 2011-2012 წლის ზამთრის სენტიმენტური, თითქმის პოეტური აღწერით იწყებს:

***„ცივი ზამთარი იდგა...***

***ბიძინა პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ პრაქტიკულად არ გამოსულა შუშის სასახლიდან. ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა როგორც კოალიციის ფორმირების, ასევე მხარდამჭერი ფართო საზოგადოებრივი ჯგუფების ორგანიზების მიმართულებით. მუდმივი შეხვედრები, კონსულტაციები, დისკუსიები — ყველაფერი ეს ხდებოდა სოლოლაკის რეზიდენციაში.***

*ბიძინამ თავიდანვე დიდი შრომისუნარიანობა და შინაგანი დისციპლინა გამოავლინა. „ღრუბელივით“ იწოვდა ყველა მისთვის საინტერესო და აქტუალურ ინფორმაციას.* ***ბუნებრივია, ის, თავისი კარჩაკეტილი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, არ ფლობდა ბევრ ინფორმაციას და არც ადამიანებს იცნობდა. შესაბამისად, მისთვის ყველაფერი საინტერესო იყო და შეიძლება ითქვას, ყველაფერს ძალიან სწრაფად ითვისებდა“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 226).*

**ხუხაშვილი** ასევე იხსენებს, როგორ იფილტრებოდნენ ბიძინასთან მისული ათასი ჯურის კარიერისტები თუ საშოვარზე გამოსულები:

***„მიდიოდა ბლიც-ფილტრაციის პროცესი. საკმაოდ მარტივად სვამდა დიაგნოზს, ვინ გამოგვადგებოდა პროცესში და ვინ — არა. როგორც კი შეამჩნევდა ადამიანს, რომ უფრო საკუთარი „სიბრძნის სადემონსტრაციოდ და „გასაპრანჭად“ იყო მოსული, ვიდრე საგნობრივი, ცოცხალი დისკუსიისთვის, მაშინვე იშორებდა ამა თუ იმ ფორმით. შესაბამისად, ვიზიტორების შემადგენლობა ძალიან სწრაფად იცვლებოდა, სანამ საბოლოოდ არ მოხდა ძირითადი ბირთვის ფორმირება“*** *(იქვე, გვ. 226).*

და აქ მემუარისტი იხსენებს, როგორ დანიშნა **ბიძინა ივანიშვილმა** (რომელიც, როგორც ცნობილია, ძალიან ადრე იღვიძებს) ამ ხანგრძლივი და დამქანცველი ფილტრაციის შედეგად ახლად შექმნილი საბჭოს პირველი სხდომა დილაუთენია:

***„ბიძინამ პირველი სხდომა დანიშნა 9:00 საათზე. შევატყვე, რომ კიდევ უფრო ადრე უნდოდა, მაგრამ გაითვალისწინა, რომ ზოგი საკმაოდ შორიდან იყო მოსასვლელი და ამიტომ შედარებით გვიანი დრო არჩია. ყველა მოვიდა 9:30-ზე.***

***მე შევეცადე, მისთვის ეს „ფენომენი“ იმით ამეხსნა, რომ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა და ახლა ნაცვლად 80-იანების 8:00-სა, ცხოვრება იწყება 10:00-ზე.***

***გაუკვირდა, არ ესიამოვნა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა და მეორე დღეს შეხვედრა დავნიშნეთ 10:00-ზე. ყველა მოვიდა 10:30-ზე...“*** *(იქვე, გვ. 227).*

როგორც **ხუხაშვილი** ყვება, ბიძინა ივანიშვილს არც ამაზე გამოუხატავს ბრაზი, თუმცა, სათანადო დასკვნები კი გააკეთა:

***„ბიძინას არ გამოუხატავს არც გაბრაზება, არც იმედგაცრუება, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ სწორედ ასეთი დეტალებიდან გამომდინარე აყალიბებდა თავის დამოკიდებულებას ადამიანებთან თუ მათ ჯგუფებთან.***

***დეტალებში არ შევალ და ჩვენს კერძო საუბრებს არ გავამხელ, მაგრამ შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, რომ ის არაფერ კარგს ჩვენს პოლიტიკოსებზე არ ფიქრობდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისინიც, საკუთარი ქმედებით თუ რიტორიკით, ყოველდღიურად ახალ-ახალ არგუმენტებს სთავაზობდნენ ამ აზრის გასამყარებლად“*** *(იქვე, გვ. 228).*

და კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი, რომელსაც მემუარისტი იხსენებს, თუ რატომ იყო განსაკუთრებით პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ ასე იზოლირებული **ბიძინა ივანიშვილი,** რომელიც არც მანამდე გამოირჩეოდა საჯაროობით:

***„ბიძინას ფაქტობრივ „შინაპატიმრობას“, გარდა მოუცლელობისა, მეორე მიზეზიც ჰქონდა — უსაფრთხოების პრობლემები.*** *პოლიტიკური ატმოსფერო სახიფათოდ იყო დამუხტული და არსებობდა გარკვეული რისკი და მოლოდინი, რომ მის გამოსვლას დაცული ტერიტორიიდან რაღაც სერიოზული ინციდენტი მოჰყვებოდა. შესაბამისი „ინფორმაციაც“ თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში მოდიოდა. რა თქმა უნდა, მათი უმრავლესობა ან მოგონილი, ან სულაც დეზინფორმაცია იყო, მაგრამ, ბუნებრივია, „სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა“.* ***ხელისუფლებას ჰქონდა ინტერესი, რომ ბიძინას არ ჰქონოდა პირადი კომუნიკაცია არც ხალხთან და არც მედიასთან და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ მისი იზოლაცია მოეხდინათ“*** *(იქვე, გვ. 228).*

და სწორედ ამ დროს შემოდის მემუარისტის თხრობაში **გიორგი მარგველაშვილის** ფიგურა. **ხუხაშვილი** არ ახსენებს, რომ მარგველაშვილს მანამდეც იცნობდა, თუმცა, ფაქტია, რომ მასზე, როგორც ძველ ნაცნობზე, ისე საუბრობს:

***„ერთ დღეს გიორგი მარგველაშვილს, რომელიც იმ დროს უკვე დუშეთში ცხოვრობდა, ვესაუბრე ტელეფონით. ის იმ დროს შეუძლოდ იყო... სიმართლე გითხრათ, არ მომეწონა მისი განწყობა. რაღაც უიმედოდ და დეპრესიულად მომეჩვენა. რაღაცნაირად შფოთის გრძნობა დამეუფლა“*** *(იქვე, გვ. 229).*

**ხუხაშვილი** დეტალებს არ წერს, მაგრამ მისი სიტყვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **მარგველაშვილს** მთლად ბანალური დეპრესია არ ჰქონია, რადგან ხუხაშვილის შეფასებით — „შფოთის გრძნობა დამეუფლაო“ — თუ ვიმსჯელებთ, მას აშკარად შეეშინდა, მარგველაშვილმა თავს არაფერი აუტეხოსო! და ხუხაშვილმა უთხრა ბიძინას — **გიორგი მარგველაშვილის** მოსანახულებლად უნდა წავიდე დუშეთშიო:

***„უცებ მეუბნება: „გინდა, ერთად წავიდეთ?“ იმდენად მოულოდნელი იყო ამის გაგონება, თავიდან ენა დამება და ვერაფერი ვერ ვუპასუხე. აქ უკვე დაბეჯითებით მითხრა, რომ გადაწყვეტილია, ერთად მივდივართ.*** *წინააღმდეგობრივი გრძნობა დამეუფლა. ერთი მხრივ, გამიხარდა —* ***უცებ წარმოვიდგინე, რა რეაქცია ექნებოდა გიორგის მის დანახვაზე. ამაზე უკეთეს წამალს ვერც ვინატრებდი მისთვის. მეორე მხრივ, მესმოდა, რომ ასე სპონტანურად უსაფრთხოების საკითხის სრულფასოვნად გადაწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა, ამ სპონტანურობას და იმპროვიზაციას თავისი პლუსებიც აქვს, რადგან ასეთ შემთხვევებში მოწინააღმდეგე მხარეს ყოველთვის უჭირს სწრაფი რეაგირება შენს მოქმედებაზე.***

***მოკლედ, მივდივართ და მორჩა“*** *(იქვე, გვ. 228).*

ანუ **ბიძინა ივანიშვილი** დუშეთში **მარგველაშვილის** დეპრესიიდან გამოსაყვანად გაემგზავრა! ხუხაშვილი დეტალებს არ ამხელს, მაგრამ ფაქტია, რომ მან მარგველაშვილთან სატელეფონო საუბრის შემდეგ ბიძინას სწორედ ის უთხრა, რომ მარგველაშვილთან დუშეთში უნდა წავიდე, რადგან აშკარად დეპრესიაშია და ძალიან შემაშფოთა მისმა საუბარმაო!

**აბა, ხუხაშვილს რატომ უნდა ეთქვა ივანიშვილისთვის, მარგველაშვილი უნდა მოვინახულო დუშეთშიო, თუ იმასაც არ დაამატებდა, თავს არაფერი აუტეხოს, დეპრესიაშიაო!**

**ანდა ბიძინა ივანიშვილს რა დუშეთში მოგზაურობა აუტყდებოდა იმ სააკაშვილის სუს-ისგან მუდმივი პროვოკაციების მოლოდინში, თუ საქმე სწორედ მარგველაშვილის სახიფათო დეპრესიას არ ეხებოდა?!**

მოკლედ, არაფერი გადაჭარბებული არ არის იმაში, რაც მოგახსენეთ: **ბიძინა ივანიშვილი** დუშეთში **გიორგი მარგველაშვილის** დეპრესიის კლანჭებისაგან გამოსახსნელად გაემგზავრა!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***



*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იგორ კვესელავა** საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმეში ფართო საზოგადოებისთვის უცნობ არაერთ სკანდალურ დეტალს ააშკარავებს და აცხადებს, რომ თავის დროზე ირაკლი ღარიბაშვილის საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან წასვლამ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება და გახსნა ძალიან დააზიანა:*

# „გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიებას და გახსნას ძალიან ავნო პრემიერის პოსტზე გიორგი კვირიკაშვილის დანიშვნამ!“





— წინა ინტერვიუში საგანგებოდ მივმართეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, **ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს** და მოვუწოდეთ, რომ აიღოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა და გენერალური პროკურატურის თაროდან სასწრაფოდ ჩამოიღოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე, რომელიც კარგა ხანია, გამოძიებულია! **საქვეყნოდ ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმე მკვლელობის მუხლით სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის პირველი ვადის დროს გადაკვალიფიცირდა. ვიცი, რომ ამ საქმეში პირადად ღარიბაშვილის წვლილი უდიდესია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.** კერძოდ, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიებას და გახსნას ძალიან ავნო პრემიერ-მინისტრის პოსტზე **გიორგი კვირიკაშვილის** დანიშვნამ.

**— მაინც რატომ იქცა ამ საქმის გახსნაში გიორგი კვირიკაშვილი დაბრკოლებად?**

— **კვირიკაშვილი** მაინც შევარდნაძის კლანთან გახლავთ დაკავშირებული და წარმოადგენს „მოქკავშირის“ იმ გუნდს, რომელმაც ამბროსოვიჩს ბოლომდე უერთგულა. აქედან გამომდინარე, კვირიკაშვილი, როგორც პრემიერ-მინისტრი, ზვიადის მკვლელობის გახსნით დაინტერესებული არ იყო! სხვათაშორის, ერთობ უსუსურად დაასრულა თავისი საქმიანობა **კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდიას** ხელმძღვანელობით შექმნილმა **დროებითმა საგამოძიებო კომისიამ,** რომელმაც, ფაქტობრივად, ვერაფერი გამოიძია!

**— ეს კომისია სააკაშვილმა ხომ იმიტომ შექმნა, რათა კონსტანტინე ზ. გამსახურდია 2008 წელს გაყალბებულ პარლამენტში შესულიყო?**

— ასე იყო თუ ისე, ფაქტია, რომ **კონსტანტინე ზ. გამსახურდიას** „კომისიამ“ დასკვნაც კი ვერ დადო და ყველაზე მთავარი — **შევარდნაძე ვერ დაჰკითხა!** ხომ იცით, შევარდნაძე რა მიზეზით ვერ დაჰკითხეს?

— **ასაკის გამო!** არადა, შევარდნაძეს ვიდრე პირში სული ედგა, ჭკუა-გონებაც უჭრიდა და არც არაფერი ეშლებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, **კონსტანტინე ზ. გამსახურდიას** ხელმძღვანელობით შექმნილი ე.წ **დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის** შექმნის აუცილებელი პირობა ის იყო, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეზე შევარდნაძე არ უნდა დაკითხულიყო! ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონსტანტინე ზ. გამსახურდიას „კომისიის“ მუშაობა არასერიოზულად მიმაჩნია.

**— საერთოდ, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში ყველაფერი საკამათოა, მათ შორის, მკვლელობის თარიღიც. ფაქტია, რომ სამეგრელოს იმ სოფლებში, სადაც ზვიად გამსახურდია მცირერიცხოვან ამალასთან ერთად საიდუმლო ვითარებაში გადაადგილდებოდა და ოჯახებს თავს აფარებდა, შევარდნაძის სპეცსამსახურების მსტოვრები დაძრწოდნენ და მოსახლეობაში ხმებს წინასწარ ყრიდნენ — ზვიადმა თავი მოიკლაო! როდის მოკლეს პირველი პრეზიდენტი, 1993 წლის 31 დეკემბერს თუ უფრო ადრე?**

— ვფიქრობ, რევიზიას არ ექვემდებარება ის ფაქტი, რომ **ზვიად გამსახურდია** ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, **კარლო ღურწკაიას** ოჯახში, **რობიზონ მარგველანთან, ბაჩუკი გვანცელაძესთან, ბესარიონ გუგუშვილთან და ზაურ და ანატოლი ჩუხუებთან** ერთად საღ-სალამათი მივიდა და 1993 წლის 31 დეკემბერს მოკლეს! **ზვიადი რომ სწორედ 31 დეკემბერს არის მოკლული, ამის შესახებ დარწმუნებით მელაპარაკა აწ განსვენებული პროფესორი ლევან სანიკიძე, რომელიც სწორედ 1993 წლის 31 დეკემბერს შევარდნაძეს კაბინეტში სტუმრობდა!**

## იგორ კვესელავა:

## ლევან სანიკიძე დარწმუნებული იყო, რომ 1993 წლის 31 დეკემბერს ავთანდილ მარგიანმა შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ახარა!



ლევან სანიკიძე



ავთანდილ მარგიანი



**— ლევან სანიკიძეს 1993 წლის 31 დეკემბერს ედუარდ შევარდნაძესთან რა უნდოდა? სად შედგა ეს შეხვედრა?**

— არ ვიცი, **ლევან სანიკიძეს** შევარდნაძესთან რა უნდოდა, მაგრამ მან, როცა ერთხელ სენაკისკენ ავტომანქანით ერთად მივდიოდით, გზაში მითხრა, რომ 1993 წლის 31 დეკემბერს შევარდნაძის კაბინეტში იმყოფებოდა და ედუარდს ერთი-ერთზე ესაუბრებოდა... როგორც **ლევან სანიკიძე** იხსენებდა, შევარდნაძე იმ დღეს საშინლად უგუნებოდ ყოფილა. ამ დროს დაურეკავს სამთავრობო ტელეფონს... შევარდნაძე მეორე ოთახში გასულა და ყურმილი აუღია. რეკავდა **ავთანდილ მარგიანი,** რომელსაც შევარდნაძისთვის უთქვამს — **ყველა პრობლემა მოგვარებულიაო!**

**— ავთანდილ მარგიანის ხმა ლევან სანიკიძემ გაიგონა?**

— დიახ, როგორც **ლევან სანიკიძემ** მითხრა, მან გაიგონა **ავთანდილ მარგიანის** ლაპარაკი და იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ მის მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ **შევარდნაძე** საოცრად კარგ ხასიათზე დააყენა! დიახ, **ლევან სანიკიძემ** ჩემთან საუბრისას საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ ამ სატელეფონო ზარის შემდეგ **შევარდნაძეს** ვეღარ ცნობდა, ისეთი ოხუნჯი და პირმცინარი გახდა.

**— ხომ არ გიცდიათ, ეს საკითხი იმავე ავთანდილ მარგიანთან გაგერკვიათ და გეკითხათ — 1993 წლის 31 დეკემბერს შევარდნაძეს ასეთი რა ახარა, რომ მჭმუნვარე და უხასიათოდ მყოფი ედუარდი მაშინვე დიდებულ გუნებაზე დადგა?**

— სხვათაშორის, ამ საკითხის განხილვა **ავთანდილ მარგიანთან** ამ ბოლო დროს დავაპირე, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, იგი ცუდადაა და ერთმანეთში რაღაცებს ურევს! ამდენად, ასეთ სერიოზულ თემაზე მასთან საუბარს არავითარი აზრი არა აქვს!

**— ლევან სანიკიძემ ეს ამბავი რატომ გიამბოთ?**

— **ლევან სანიკიძე** დარწმუნებული იყო, რომ 1993 წლის 31 დეკემბერს **ავთანდილ მარგიანმა** ედუარდ შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ახარა!

**— საინტერესოა, იმ საღამოს ლევან სანიკიძე რომელ საათზე სტუმრობდა შევარდნაძეს?**

— როგორც ლევანმა მითხრა, შევარდნაძეს საღამოს სტუმრობდა!

**— გვიან ღამით თუ საღამოს?**

— არა, ლევანმა მითხრა, რომ შევარდნაძესთან საღამოს იყო!

**— ამას იმიტომ გეკითხებით, რომ, როგორც მოგეხსენებათ, გავრცელებული ინფორმაციით, ზვიად გამსახურდია 1993 წლის 31 დეკემბერს 00:00 საათიდან 01:00 საათამდე შუა-**

## კვირგვინოსნები

### ლადო პაპავა
*აკადემიკოსი*



ევროპამ შარშან მარტიდან დღემდე **რუსეთისგან 40 პროცენტით მეტი თხევადი გაზი იყიდა.** ის ცნობილი ბრენდებიც, **შარშან დიდი ზარ-ზეიმით რომ გამოაცხადეს, რუსეთს ვტოვებთო, ძალიან მალე უკან დაბრუნდნენ** სხვა, ნაკლებად ცნობილი ბრენდების ქოლგებქვეშ. აქედან გამომდინარე, **რუსეთს შემოსავლებიც აქვს, ახალი მოკავშირეებიც გაუჩნდა და აქვს იარაღის წარმოების საშუალებაც.**

„კვირის პალიტრა“

### ლალი მოროშკინა
*ჟურნალისტი*



**სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა** გადამწყვეტ ფაზაში შედის! გაქცეული პრეზიდენტი, გააქტიურებული სანდრა, აბობოქრებული ნაცობა **წინაპირობაა დაგეგმილი მაიდნის!** დღე-დღეზე დაიწყება **საბოლოო ბრძოლა საქართველოსთვის.** არცერთი ნაბიჯი უკან! **პრეზიდენტიდან დაწყებული, ყველა მოღალატე ციხეში!** ექსპრეზიდენტი — **სამარტოო საკანში!** დაიწყეთ, თორემ **ლინჩის წესით დავიწყებთ მოქმედებას!**

„ალია“

### თამარ ჩიბურდანიძე
*„ხალხის პარტიის“ წევრი*



თუ ვინმეს ჰგონია, საქართველო ტერიტორიებს **რუსეთთან მოლაპარაკების გარეშე დაიბრუნებს,** ის პოლიტიკური ბეციაა!

„REPORTIORI.GE“

### დავით არახამია
*უკრაინის მმართველი პარტია „ხალხის მსახურის“ ფრაქციის თავმჯდომარე*



**ივანიშვილი** და **მის უკან მდგარი რუსეთი** ათამაშებენ 2013 წლის **იანუკოვიჩის** სცენარს.

„ახალი თაობა“

# კონსტანტინე გამსახურდია:

**ზვიადი უშიშარია... ისეთი უშიშარი, რომ რუსებისაც არ ეშინია. არადა, მათზე საშიში არავინაა. ზვიადი ბევრ რამეში აჯობებს კომუნისტებს, დაამარცხებს კიდეც მათ, მაგრამ ბოლოს მოკლავენ!**




**ლედში მოკლეს. დაუჯერებელია, რომ შევარდნაძეს 31 დეკემბრის საღამომდე ამ მკვლელობის შესახებ არაფერი სცოდნოდა!**

— ჩვენ ნუ გამოვრიცხავთ, რომ **შევარდნაძეს** დამდგარი საზარელი შედეგის, ანუ პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ მხოლოდ მაშინ მოახსენეს, როცა სპეცსამსახურებმა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ფაქტი საბოლოოდ დაადასტურეს! სხვანაირად მაშინ ისე გამოდის, რომ **ავთანდილ მარგიანი** შევარდნაძეს წინასწარ ამცნობდა და ახარებდა — გამსახურდია ისეთ სიტუაციაშია, ცოტა ხანში აუცილებლად მოკლავენო! მოკლედ, აქ ბევრი რამ დასალაგებელი და გასარკვევია, მაგრამ იმ ფაქტს სად წაუვლენ, რაც ტელევიზიით ჩემი თვალით მაქვს ნანახი? კერძოდ, **1993 წლის 31 დეკემბერს ედუარდ შევარდნაძე ტელევიზიით გამოვიდა, საქართველოს მოსახლეობას ახალი წელი მიულოცა და განაცხადა — უახლოეს დღეებში ერთი სასიხარულო ფაქტის შესახებ მთელი საქართველო შეიტყობსო!** შევარდნაძე აშკარად ზვიად გამსახურდიას მკვლელობას გულისხმობდა, რომელიც უკვე გარდაცვლილი გახლდათ. როცა ამის შესახებ კონსტანტინე გამსახურდია უმცროსს მოვახსენე, ძალიან დაინტერესდა და საქართველოს ტელევიზიის „პირველ არხს“, როგორც საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ, ოფიციალურად მიმართა — **1993 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ცენტრალური ტელევიზიით შევარდნაძის გამოსვლის ჩანაწერი მოგვეცითო,** მაგრამ „პირველ არხზე“ მას განუცხადეს, რომ შევარდნაძის იმ სატელევიზო გამოსვლის ჩანაწერი ტელევიზიის არქივში არ იძებნებოდა! გაგიკვირდებათ, მაგრამ დიდი კონსტანტინე გამსახურდიაც დარწმუნებით წერდა, რომ ზვიად გამსახურდიას მოკლავდნენ!

**— ამის შესახებ კონსტანტინე გამსახურდია სად და როდის წერს?**

— ამის შესახებ **დიდი კონსტანტინე გამსახურდია** 20-25 წლის ზვიად გამსახურდიაზე წერს! აი, ეს ციტატაც — *„ზვიადი უშიშარია... ისეთი უშიშარი, რომ რუსებისაც არ ეშინია. არადა, მათზე საშიში არავინაა. ზვიადი ბევრ რამეში აჯობებს კომუნისტებს, დაამარცხებს კიდეც მათ, მაგრამ ბოლოს მოკლავენ!“* კონსტანტინე გამსახურდიას, რომელიც თავისი შვილის ხასიათს ყველაზე უკეთ იცნობდა, არ დაუწერია — **ზვიადი თავს მოიკლავსო!** მწერალი გარკვევით ამბობს — **ზვიადს მოკლავენო!** ეს არის დიდი კონსტანტინეს გასაოცარი წინასწარმეტყველება, რომელიც სიტყვასიტყვით ახდა — **ზვიადმა მართლაც დაამარცხა კომუნისტები, მაგრამ ბოლოს მოკლეს!**

**— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიას ოჯახში მოხდა?**

— ამ საკითხზე ინსინუაციები წლებია, არ წყდება! 2018 წელს „რუსთავი-2“-ის პროგრამა „პოსტკრიპტუმში“ გამოვიდა პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრი **ბადრი გოგელაშვილი** და განაცხადა — **სოფელ ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიას ოჯახში, ზვიად გამსახურდიას ცხედარი შეიტანესო!**

**— ბადრი გოგელაშვილს კარგად ვიცნობ და ხატზე შემიძლია, დავიფიცო, რომ გოჩა კეკენაძესთან და ზაზა ბურჯანაძესთან ერთად, რომლებიც ჯონსონ კვარაცხელიას სახლში დატოვეს და ხიბულაში არ წაიყვანეს, უწესიერესი და უვაჟკაცესი პიროვნებაა, რომელიც პრეზიდენტის სულის წინაშე პირნათელია!**

— ამაზე არც ვკამათობ, მაგრამ, რასაც **ბადრი გოგელაშვილი** აცხადებს, ეს მამა **ბასილ მკალავიშვილის** რიტორიკაა, რომელსაც არ ვეთანხმები!

**— რატომ არ ეთანხმებით?**

— იმიტომ არ ვეთანხმები, რომ პრეზიდენტის მკვლელობის ამ ვერსიის გავრცელების უკან პუტჩისტები და მკვლელები დგანან!

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ!**

— ჩემთვის ცნობილია, რომ ციხეში ყოფნისას მამა **ბასილ მკალავიშვილს** აღსარება ჩააბარა, სულ მცირე, სამი ადამიანის მკვლელმა **ვახტანგ გიორგაძემ,** რომელიც თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი, კიტოვანის გვარდიელი და ტყიბულის ბატალიონის ხელმძღვანელი იყო, თანაც, მან ფიცი გატეხა და სამშობლოსა და პრეზიდენტს უღალატა. ეს ის **ვახტანგ გიორგაძეა,** რომელსაც თბილისში, სახელმწიფო გადატრიალების დროს, ძმა მოუკლეს და დაიფიცა — სანაცვლოდ ჩვიდმეტი მეგრელი უნდა მოვკლაო! ახალგაზრდა და უნიჭიერესი ზუგდიდელი არქიტექტორი, სრულიად უდანაშაულო **გოჩა ჯიქია,** მგონი, მეორე თუ მესამე იყო, რომელიც **გიორგაძემ** დედის თვალწინ, ზუგდიდში მოკლა. **ვახტანგ გიორგაძეს** ამ საზარელი დანაშაულების მიუხედავად, თავდაცვის სამინისტროში წლების განმავლობაში სულ აწინაურებდნენ და აწინაურებდნენ. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გიორგაძე ციხეში მოხვდა და შევარდნაძის სპეცსამსახურების დავალებით, **მამა ბასილ მკალავიშვილს** „შეუგდო“ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის მცდარი ვერსია. სწორედ ამ ვერსიას იმეორებდა **ბადრი გოგელაშვილიც...**

**— დღემდე არ წყდება კამათი იმ 5 საათზე, რომელიც ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან წამოსულმა პრეზიდენტის ამალამ კარლო ღურწკაიას სახლამდე მისვლას ავტომანქანა „გაზ-31“-ით მოანდომა. არადა, მანძილი ამ ორ პუნქტს შორის ფეხით მოსიარულემ თავისუფლად შეიძლება დაფაროს 40-45 წუთში!**

— პრეზიდენტის მანქანა ამ გზაზე გაფუჭდა — მას საბურავები დაუსკდა!

**— კი მაგრამ, ამის შესახებ რატომ არავინ საუბრობდა?**

— ერთხელ დაცდათ, რომ ასე იყო, მაგრამ მერე ამ თემაზე ლაპარაკი შეწყვიტეს! ბუნებრივია, დაისმის კითხვა — თუ საბურავები დასკდა, როგორ მოხერხდა მათი შეკეთება და რა პირობებში კეთდებოდა ეს საბურავები? ისიც საინტერესოა, რამ დახეთქა საბურავები? ფაქტია, რომ ეს მარშრუტი, რომელიც დაახლოებით 5 საათის განმავლობაში გაგრძელდა, დიდი სიურპრიზებითა და იდუმალებით არის სავსე. ისიც ფაქტია, რომ შევარდნაძეს ყველაზე უფრო აწყობდა ზვიად გამსახურდიას ისე განეიტრალება, რომ პრეზიდენტი თვითმკვლელად გამოცხადებულიყო. შევარდნაძის მითითებით, სპეციალურად იქმნებოდა მითები **ქობალიას** დაქვემდებარებაში მყოფი ძალების ძლევამოსილების შესახებ, რათა ზვიადი გროზნოდან ჩამოეტყუებინათ. 1993 წლის 24 სექტემბერს, როცა ზვიად გამსახურდია საქართველოში ჩამოვიდა, პრეზიდენტის მომხრე ძალებში ისეთი ქაოსი და განუკითხაობა იყო, რომ იმ დღეს ზვიადმა ზუგდიდში ჩასვლაც ვერ მოახერხა, რადგან ტექნიკურად გამართული მანქანა ვერ გამოინახა. ამიტომ პრეზიდენტი იძულებული გახდა, იმ ღამეს სენაკში, **ხახუბიების ოჯახში** დარჩენილიყო. ცოტა ხანში ეს ოჯახი შევარდნაძის ბანდებმა აიკლეს და ააწიოკეს!

**— თავად ლოთი ქობალიას შესახებ რას იტყვით?**

— **ლოთი ქობალიას** შევარდნაძე მოკვლას უპირებდა, მაგრამ ეს ამბავი ლოთის **ვახტანგ გვარამიამ** შეატყობინა და გადაარჩინა!

**— ქობალიას ჩემთვის პირიქით აქვს ნათქვამი — ბობოყვათის შეხვედრის დროს მე და შევარდნაძე ოთახში მარტო აღმოვჩნდით... თავის გაწირვის საფასურად შემეძლო შევარდნაძის მოკვლა, მაგრამ ვერ ვქენი, რასაც დღემდე ვნანობო!**

— ასეთი ლაპარაკი უკვე დაგვიანებულია... ისე, **ქობალია** შევარდნაძეს ვერ მოკლავდა, რადგან შევარდნაძის პირისპირ იარაღით მას არავინ დატოვებდა!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## „1993 წლის 31 დეკემბერს შევარდნაძე ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა — უახლოეს დღეებში ერთი სასიხარულო ფაქტის შესახებ მთელი საქართველო შეიტყობსო!“




**„ლოთი ქობალიას შევარდნაძე მოკვლას უპირებდა, მაგრამ ეს ამბავი ლოთის ვახტანგ გვარამიამ შეატყობინა და გადაარჩინა!“**




## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



ე.წ. სამხრეთ ოსეთში განლაგებულია **რუსეთის ძალიან სერიოზული სადაზვერვო სისტემა,** მათ შორის, ელექტრონული დაზვერვის უახლესი საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც **რუსეთისთვის ძალიან მარტივია საკომუნიკაციო სისტემების გაკონტროლება.** ცხინვალში არის ცენტრი, რომელიც **აანალიზებს საქართველოს ყველა მსხვილი ტელევიზიის პოლიტიკურ გადაცემებს, კითხულობს ქართულ პრესას** და სწავლობს საზოგადოებრივ აზრს სოცქსელების მეშვეობით.

„კვირის პალიტრა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*კონფლიქტოლოგი*



რუსეთის **დამარცხებაც და გამარჯვებაც** აფხაზებისთვის ძალიან მტკივნეულია. **თუ გაიმარჯვებს, ხელის ერთი მოსმით ჩაიჯიბავს აფხაზეთს.** თუ წააგებს, **დამარცხებით გამწარებული კიდევ უფრო სასტიკი ფორმებით შეეცდება სახის შენარჩუნებას,** რათა მცირედი მაინც არ გაუშვას ხელიდან. ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში **დაუსვამს აფხაზეთს მიერთების საკითხს.**

„კვირის პალიტრა“

**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*



„ქართული ოცნება“ **პრეზიდენტის იმპიჩმენტით შოვის ტრაგედიის გადაფარვას ცდილობს.**

„ახალი თაობა“

**ლევან ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



„ქართულ ოცნებას“ **იმედი ნუ ექნება, რომ 2024 წლის არჩევნები მარტივად ჩაივლის.** ამ არჩევნებზე გადაწყდება **ყოფნა-არყოფნის** საკითხი.

„ახალი თაობა“

*იმ დროს, როცა უცნობი ვირუსები და ბაქტერიები ჩვენი ყოველდღიური გამოწვევაა, ცნობილ ჰომეოპათსა და ექიმს* **კახა საბახტარიშვილს** *ვაქცინაციის გარეშე კაცობრიობის მომავალი ძნელად წარმოუდგენია, თუმცა, იმასაც გვაფრთხილებს, რომ აცრიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში ორგანიზმის იმუნიტეტი დაქვეითებულია და ასეთ დროს ადამიანს სხვა ინფექცია რომ შეხვდეს, ეს მისი ჯანმრთელობისთვის შესაძლოა, სავალალო შედეგით დასრულდეს:*



## კახა საბახტარიშვილი:

# ვაქცინაციამ შესაძლოა, ერთი დაავადებისგან გვიხსნას, მაგრამ სხვა უფრო საშიში ინფექციების სამიზნედ გვაქციოს!

— როგორც ცნობილია, **ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრა** — ე.წ. **„ბცჟ“** მხოლოდ საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირში კეთდებოდა. კვლევებმა აჩვენა, რომ ეს აცრა ორგანიზმს ტუბერკულოზისგან ვერ იცავს. ამიტომ დღეს **„ბცჟ“** ვაქცინაცია აღარ ტარდება, მაგრამ **„ბცჟ“** ძალიან კარგად მოქმედებს შარდის ბუშტის სიმსივნეზე. ამ დროს პაციენტს კი არ ცრიან, არამედ „ბცჟ“ ხსნარით სიმსივნურ ქსოვილს ამუშავებენ. დარწმუნებული ვარ, **„ბცჟ“**-ს მსგავსად, მათი არაეფექტურობის, ანდა საშიში გვერდითი მოვლენების გამო, კაცობრიობა ბევრ სხვა აცრაზეც უარს იტყვის. საერთოდ, საშიშია არა ბაქტერია ან ვირუსი, არამედ იმუნიტეტის ის დაბალი დონე, რომელიც ინფექციას უნდა დახვდეს და შეებრძოლოს.

**— ვაქცინაციის თემა განსაკუთრებით აქტუალური კოვიდპანდემიის დროს გახდა!**

— აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში საზოგადოებრივი აზრი დღემდე ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთნი მიიჩნევენ, რომ ვაქცინაცია დამღუპველია, ხოლო მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ სრულიად უვნებელი პროცედურაა და სიკეთის გარდა ადამიანის ორგანიზმისთვის სხვა არაფერი მოაქვს. მიგვაჩნია, რომ სიმართლე სადღაც შუაშია... ვაქცინაცია არც ისე უხიფათოა, როგორც ამაში ზოგიერთები გვარწმუნებენ, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვაქცინაციის გარეშე ადამიანის ჯანმრთელობას უამრავი დაავადება მოუღებდა ბოლოს. უფრო მეტიც, ამჟამად იმდენი ახალი და სრულიად უცნობი ინფექცია ვრცელდება, რომ ვაქცინაციის გარეშე 21-ე საუკუნის მსოფლიო ძნელი წარმოსადგენია!

**— მაინც რა მექანიზმით ებრძვის ორგანიზმი სხვადასხვაგვარ ვირუსებსა და ბაქტერიებს?**

— როცა რომელიმე ვირუსი ან ბაქტერია ორგანიზმში მოხვდება, მაშინვე იწყებს გამრავლებას და უტევს ჩვენს ჯანმრთელობას. სწორედ ეს არის ინფექცია... ყოველ ინფექციას მოსდევს სხვადასხვა დაავადების განვითარება. ინფექციის წინააღმდეგ აქტიურდება იმუნური სისტემა, კერძოდ, სისხლში არსებული ლეიკოციტები, რომლებიც სამ ჯგუფად იყოფა — **მაკროფაგები, B ლიმფოციტები და P ლეიკოციტები.** ბრძოლის პირველ ხაზზე მაკროფაგები დგანან, რომლებიც პირდაპირ ჭამენ და გადაამუშავებენ ორგანიზმში მოხვედრილ ბაქტერიებსა და ვირუსებს, მაგრამ იტოვებენ მათ ნაწილს, რომელსაც ანტიგენი ეწოდება. ორგანიზმმა უნდა იცნოს სახიფათო, უცხო ანტიგენი და შეუტიოს მას. ამის შემდეგ საქმეში ერთვებიან მეორე ეშელონის „ჯარისკაცები“ — B ლიმფოციტები, რომლებიც ანტიგენის საწინააღმდეგოდ გამოიმუშავებენ ანტისხეულებს. თავის მხრივ, ანტისხეულები ანადგურებენ ვირუსებსა და ბაქტერიებს. თუკი ბაქტერია ან ვირუსი დაუსხლტა პირველი და მეორე ეშელონის „ჯარისკაცებს“ და უჯრედი დაასნებოვნა, ამის შემდეგ საქმეში ერთვება P ლეიკოციტები, ანუ P „კილერები“, რომლებიც ბაქტერიებითა და ვირუსებით დასნებოვნებულ უჯრედებს ანადგურებენ. ასე და ამრიგად, ორგანიზმი ძლევს ინფექციას, ხოლო იმუნური სისტემა კი იმახსოვრებს ყველა იმ ინსტრუმენტსა და მეთოდს, რომელიც კონკრეტული ბაქტერიისა თუ ვირუსის დასამარცხებლად გამოიყენა.

**სწორედ ეს არის ბუნებრივი იმუნიტეტი, რომელიც მაშინვე ამოქმედდება, თუ ადამიანს ნაცნობი ბაქტერია ან ვირუსი კვლავ შეხვდა.** თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ უცხო ვირუსისა და ბაქტერიის დასამარცხებლად გამომუშავებული ინსტრუმენტების დასამზადებლად ადამიანის ორგანიზმს რამდენიმე კვირა სჭირდება... ვაქცინაციის დროს ვაქცინა პირდაპირ სისხლში შეჰყავთ და ორგანიზმს ვირუსებისა და ბაქტერიების დასამარცხებლად მზამზარეულ ინსტრუმენტებს აწვდის. ცხადია, ეს პროცესი უკვე ხელოვნური და დაჩქარებულია, რაც მის სრულყოფილებას გამორიცხავს. აქედან გამომდინარე, ვაქცინაციის გვერდითი მოვლენები სავსებით ბუნებრივია.

**— დააკონკრეტეთ, მაინც რა სახის გვერდით მოვლენებზეა ლაპარაკი!**

— ვაქცინაციისთვის დამახასიათებელი გვერდითი მოვლენების ჩამოთვლას ერთი დიდი წიგნიც არ ეყოფა. როცა ბავშვი რამე ვირუსს შეისუნთქავს, ავადმყოფობა მყისიერად კი არ დაიწყება, არამედ დადგება ე.წ. ლატენტური პერიოდი, როცა დაავადების არანაირი სიმპტომი გამოხატული არ არის. ეს დრო შესაძლოა, შვიდიდან თოთხმეტ დღემდეც კი გაგრძელდეს. ამ პერიოდში ვირუსი მრავლდება ნუშურა ჯირკვლებში, ანუ ე.წ. გლანდებში, ადენოიდებსა და ლიმფურ კვანძებში და მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდება სისხლის მიმოქცევისა და მთელ ლიმფურ სისტემაში. პარალელურად ორგანიზმი ამ ხნის განმავლობაში ვირუსის დასახვედრად ძალას იკრებს და ემზადება. კერძოდ, გამოიმუშავებს ვირუსის ან ბაქტერიის საწინააღმდეგო ანტისხეულებს! ვაქცინაციის დროს, რაკი დასუსტებული ვირუსი ან ბაქტერია უშუალოდ სისხლში შეგვყავს, ორგანიზმს ის შვიდ ან თოთხმეტდღიანი მოსამზადებელი დრო უკვე აღარ აქვს, შესაბამისად, იმუნიტეტის მთავარი ორგანოები — გლანდები და ადენოიდები საქმეში სრულყოფილად ვერ ერთვებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გზით შეძენილი იმუნიტეტი მყარი ვერ იქნება!

**ვაქცინაციის მთელი პრობლემა იმაშია, რომ აცრიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში ორგანიზმის იმუნიტეტი დაქვეითებულია და ასეთ დროს ადამიანს რომ სხვა ინფექცია შეხვდეს, ეს**

**„სამწუხაროდ, ჩვენი ჯანდაცვის სისტემის მესვეურებმა კოვიდპანდემიის დროს არ შეისმინეს საქართველოში იმუნოლოგიის ფუძემდებლის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, აკადემიკოს ნოდარ გოგებაშვილის გაფრთხილება — როცა გარეთ კოვიდპანდემია მძვინვარებს, ამ დროს გრიპის ვაქცინით იმუნიტეტის დასუსტება მიზანშეწონილი არ არის!“**








**„ნიჭიერმა კომერსანტმა და მილიარდერმა, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავიდანვე ზუსტი დიაგნოზი დაუსვა გრიპის ვაქცინაციის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს და განაცხადა – „ეს აფერაა!“**

# «ყველაზე კარგი აცრა ბუნებრივი იმუნიტეტის

## კვირგვინოსნები

**თენგიზ ცერცვაძე**
*ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი*



შეშფოთება, რომ **მიგრაციის პროცესების გააქტიურება,** განსაკუთრებით რუსეთიდან და უკრაინიდან, **ზრდის ქვეყანაში აივ-შიდსის ეპიდსიტუაციის გაუარესების რისკებს,** საფუძველს მოკლებული არ არის.

„რეზონანსი“

**თემო საჯაია**
*მომღერალი*



თამამად შემიძლია ვთქვა, რომ **თითოეული თეთრი,** რომელიც მაქვს, რომელსაც ჩემს ოჯახს ვახმარ, **ბევრი შრომის შედეგად გამოვიმუშავე.** არც ლატარიაში მომიგია ოდესმე და არც არავის დაუტოვებია ჩემთვის მემკვიდრეობა. მითუმეტეს **„მამაძაღლური გზით“** არაფერი შემიძენია.

„თბილისელები“

**აჩი ფურცელაძე**
*მომღერალი*



კარგად ვიცნობ მუსიკალურ პროდიუსერებსაც და არხის ხელმძღვანელებსაც. ვიცი, ვინ რითი დაიწყო, რა ცოდნა აქვთ და როგორ მიაღწიეს თანამდებობებს. **იმიტომ არის ამდენი უხარისხო გადაცემა, არც ნიჭს, არც ცოდნას პატივს რომ არ სცემენ.** ხომ ამბობენ — შოუბიზნესი ბინძურიაო... დღეს ნამდვილად ასეა. არც **„იმედზე“,** არც **„პოსტ ტივიზე“,** არც **„პირველ არხზე“** და არც **„რუსთავი-2“**-ზე ჩემი ადგილი არ აღმოჩნდა.

„სარკე“

**ნუცა ბუზალაძე**
*მომღერალი*



დედამიწა თითქმის ველარ იტანს ჩვენს არსებობას! **ჩვენ საკუთარი ხელით ვანადგურებთ ჩვენს საარსებო სამყოფელს,** სახლს. ვჭრით იმ ტოტს, რომელზეც ვზივართ და მივექანებით უფსკრულისკენ!

„ახალი თაობა“



**მისი ჯანმრთელობისთვის შესაძლოა, სავალალო შედეგით დასრულდეს!**

**— რამდენად სწორი იყო იმის პროპაგანდა, რომ თითქოს გრიპის ვაქცინაცია კოვიდპანდემიით გამოწვეულ გართულებებს მნიშვნელოვნად შეამცირებდა!**

— სამწუხაროდ, ჩვენი ჯანდაცვის სისტემის მესვეურებმა კოვიდპანდემიის დროს არ შეისმინეს საქართველოში იმუნოლოგიის ფუძემდებლის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, აკადემიკოს **ნოდარ ბოგებაშვილის** გაფრთხილება — **როცა გარეთ კოვიდპანდემია მძვინვარებს, ამ დროს გრიპის ვაქცინით იმუნიტეტის დასუსტება მიზანშეწონილი არ არის!** ძნელია, არ დაეთანხმო დიდი აკადემიკოსის ამ სიტყვებს... მართლაც, **როცა გრიპის ვაქცინაციას ვიტარებთ, არანაირად არ გვაქვს იმის გარანტია, რომ მაინცდამაინც იმ შტამის გრიპი შეგვხვდება, რომლის საწინააღმდეგო ვაქცინითაც ავიცერით...** მოგეხსენებათ, გრიპის ვირუსს ახასიათებს სწრაფი და ხშირი მუტაცია, რაც ვაქცინის ეფექტურობას ძალიან ამცირებს და 30-დან 40 პროცენტამდე დაბლა სწევს. სხვათაშორის, ნიჭიერმა კომერსანტმა და მილიარდერმა, პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** თავიდანვე ზუსტი დიაგნოზი დაუსვა გრიპის ვაქცინაციის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს და განაცხადა — **„ეს აფერაა!“** არც გერმანიაში, არც შეერთებულ შტატებში, არც შვედეთში და, ზოგადად, ევროპის უმრავლეს ქვეყანაში გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია არავის ჩაუტარებია, მიუხედავად იმისა, რომ კოვიდით ძალიან შეშინებული იყვნენ.

**— დავუშვათ, ვაქცინაციამ გრიპისგან დაგვიცვა, მაგრამ შეგვხვდა „კოვიდ-19“ ან სხვა რომელიმე ინფექცია, რა მოხდება?**

— გრიპის ვაქცინაციით ორგანიზმში იმუნური პროცესი იწყება და ოთხი-ხუთი კვირის განმავლობაში იმუნიტეტი სუსტია. თუ ამ დროს სხვა ვირუსი შეგვხვდა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რადგან ხელოვნურად დასუსტებული იმუნიტეტი საშიშ ვირუსს ან ბაქტერიას ვერ გაუმკლავდება.

**ესპანეთში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ბარბასტროს მოხუცთა თავშესაფარში გარდაცვლილი ოცდაათი მოხუციდან 29 გრიპის ვაქცინით იყო აცრილი!**

გამოვლინდა ძალიან საინტერესო ფაქტიც — ბევრ ბავშვს, რომლებმაც ბუნებრივი იმუნიტეტი გამოიმუშავეს, სისხლში ლიმფოციტების მაღალი ციფრი უფიქსირდებათ — ნორმაზე 7-10 პროცენტით მეტი. ეს ნიშნავს, რომ იმუნური სისტემა დაძაბულად მუშაობს, ხოლო, როცა ბავშვს ვცრით, ყოველი ვაქცინაციის შემდეგ ლიმფოციტების რიცხვი 60-70 პროცენტით მატულობს.

**თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 7 წლამდე ბავშვს ბევრ არასაჭირო აცრასაც უტარებენ, ადვილი წარმოსადგენია, იმუნური სისტემა რამდენად არის გადატვირთული და დაღლილი...** სწორედ ამიტომაა, რომ ბავშვები ხშირად ცივდებიან, უვითარდებათ გახანგრძლივებული ტემპერატურული რეაქციები, ხშირია ბრონქიტები, ხველა, ალერგიები და ა.შ. გვახსოვდეს, ყველაზე კარგი აცრა ორგანიზმის გაჯანსაღება და ბუნებრივი იმუნიტეტის ამაღლებაა!

**— გრიპის ვაქცინაციის გარდა კიდევ რომელი აცრა აქვეითებს იმუნიტეტს?**

— კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი აცრა იმუნიტეტს დაბლა სწევს! ვაქცინაციამ შესაძლოა, ერთი დაავადებისგან გვიხსნას, მაგრამ ბუნებრივი იმუნიტეტის დაქვეითების გამო სხვა უფრო საშიში ინფექციების სამიზნედ გვაქციოს! ამიტომ ყოველი აცრა სიფრთხილისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით უნდა ჩატარდეს! **ყოველ ჩემს პაციენტს აცრის წინა დღეს ვაძლევ ჰომეოპათიური წესით მომზადებულ „ტუიასა“ და „სილიციას!“ იმავეს ვაკეთებ აცრის შემდეგ ორი დღის განმავლობაშიც. ამ ხერხით, ფაქტობრივად, ვანულებ იმ გვერდით მოვლენებს, რომელიც ნებისმიერ ვაქცინაციას თან ახლავს.**

**— კოვიდვაქცინაციამ რა დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვცა?**

— კოვიდვაქცინაციის შედეგებზე ჯერჯერობით არავითარი ოფიციალური დასკვნები არ გაკეთებულა. საერთოდ, ვიდრე ნებისმიერ ვაქცინას ქსელში გაუშვებენ, მანამდე ის კვლევის სამ ფაზას გადის. მესამე ფაზა სამი-ოთხი წლის განმავლობაში გრძელდება. სწორედ ამ დროს უნდა გაირკვეს, აცრას აქვს თუ არა შორს მიმავალი შედეგები, შეუძლია თუ არა სხვა დაავადების გამწვავება, ზოგადად, რამდენად უსაფრთხოა და ა.შ. კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინები ისე სწრაფად დანერგეს, რომ იმ მესამე ფაზისთვის საჭირო სამ-ოთხწლიანი გამოცდა არცერთ მათგანს არ გაუვლია. აქედან გამომდინარე, კოვიდვაქცინაციის შედეგებზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო ერთი რამ — **არსებობს დაავადებები, რომელთა ვაქცინაციაც აუცილებელია! მაგალითად, ცოფზე, B ჰეპატიტზე, პაპილომავირუსზე, ტეტანუსსა და სხვა უამრავ სასიკვდილოდ სახიფათო დაავადებაზე აცრას ალტერნატივა არა აქვს!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***




# ამაღლებაა!»







**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

**574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90**

**მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.**


## თქვენი ჯანმრთელობისათვის!

# «ტონზილინმა» ასეულობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!

***ჩირქოვანი ნუშურა ჯირკვლები, რომელსაც „გლანდებსაც“ უწოდებენ, ბავშვის მშობლებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. არასათანადო მკურნალობას გართულებები შეიძლება მოჰყვეს:***

**ყურის ანთება: ოტიტი; რევმატიზმი; სახსრების შეძენილი ანთება: პოლიართრიტი; გულის შეძენილი მანკი; თირკმლის ანთება: ნეფრიტი.**

მკურნალობის მეთოდად განსაკუთრებულ შემთხვევებში, ძირითადად, **ანტიბიოტიკები** გამოიყენება, თუმცა, მათ **გვერდითი მოვლენებიც** გააჩნია: თრგუნავენ ქრონიკული ტონზილიტის დროს ბავშვის ისედაც დასუსტებულ იმუნიტეტს და პროცესი ქრონიკულ ფორმაში გადაჰყავთ. საკმარისია გაცივება, რაიმე ვირუსი ან ბაქტერია ბავშვს შეხვდეს, ანთებითი პროცესი კვლავ იფეთქებს. თითქმის ყველა მშობელმა იცის, რომ ქრონიკული ტონზილიტი დიდხანს თუ გაგრძელდა, ის რევმატიზმით შესაძლოა გართულდეს, საბოლოოდ ასეთ „გლანდებს“ ოპერაციულად აშორებენ და ჩვენთან ეს წესი დღესაც მიღებულია.




**ოპერაცია საკითხის არასწორი გადაწყვეტაა!** უნდა ვიცოდეთ: ბავშვი, როდესაც დაიბადება, მისი იმუნური სისტემა, ძირითადად, სწორედ ე.წ. „გლანდებია“. ის არის ის პირველი ბარიერი, ფილტრი, რომელიც ხელს უშლის ბავშვის ორგანიზმში ვირუსების, ბაქტერიებისა და მავნე ნივთიერებების მოხვედრას. **სრულყოფილი იმუნური დაცვა ბავშვს 8-10 წლის ასაკში უყალიბდება.** „გლანდებს“ თანდათანობით ანაცვლებს იმუნური სისტემების სხვა ორგანოები: **ძვლის ტვინი, ელენთა, ღვიძლი და ა.შ.** მთავარი ამოცანაა, ბავშვის „გლანდები“ 8-10 წლის ასაკის **მიღწევამდე ოპერაციულად ამოკვეთას გადავარჩინოთ.**

არის ერთი პრობლემაც: როდესაც ბავშვს იმუნიტეტის მთავარ ორგანოს — გლანდს — მოაცილებენ, ორგანიზმი დაუცველი ხდება. ასეთ ბავშვებს ოპერაციიდან გარკვეული დროის შემდეგ ხშირად უვითარდებათ: **ასთმა, სხვადასხვა სახის ალერგიები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები** და ა.შ. გარდა ამისა, „გლანდები“ ასრულებს ერთგვარი ენდოკრინული ორგანოს როლსაც. მათ, ვისაც განუვითარდათ: **მასტოპათია, ფიბროადენომა, ფარისებრი ჯირკვლისა და საკვერცხეების კისტა, საშვილოსნოს მიომა, პროსტატის ადენომა,** ამ ყველაფერს ბიძგი მისცა ბავშვობის ასაკში „გლანდების“ ამოჭრამ.

ჰომეოპათიურ მედიცინას, უმრავლეს შემთხვევაში, შეუძლია დაჩირქებული „გლანდები“ **ამოკვეთას გადაარჩინოს!**

**„გულის ელექსირის“, „იმუნო-ჰერბის“, „მამოსილის“** შემქმნელის, ეკოლოგიის აკადემიის აკადემიკოსის, ექიმ-ჰომეოპათ **კახა საბახტარიშვილის** ხელმძღვანელობით, ექიმ **სოფიო მარგალიტაშვილთან** ერთად, შეიქმნა უნიკალური და ინოვაციური ბუნებრივი პრეპარატი: **„ტონზილინი“**, რომელმაც **ასეულობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!**

**„ტონზილინის“** გამოყენებით, **ანგინის, ჩირქოვანი ტონზილიტის** მკურნალობისას შედეგები ჩანს მკურნალობის დაწყებისთანავე. **ძლიერდება იმუნური სისტემა, ალაგდება ჩირქოვანი საცობები, „გლანდები“ ჩვეულ ფორმას უბრუნდება. „ტონზილინი“** აუცილებლად უნდა მიიღონ იმ ბავშვებმაც, რომელთაც **„გლანდები“ უკვე ამოჭრილი აქვთ,** რადგანაც ოპერაციის შემდეგ არცთუ ისე იშვიათია რევმატიზმის შედეგები. ამ პრეპარატზე 20 წელზე მეტია, მიმდინარეობდა დაკვირვება. **მისმა ეფექტურობამ 80-90%-ს მიაღწია,** ხოლო **ასეულობით ბავშვი „გლანდების“ ოპერაციულად ამოკვეთას გადაურჩა!**

## P.S.

*კოვიდპანდემიის დროს* ***„იმუნო-ჰერბმა“*** *საოცარი შედეგები აჩვენა: ვინც მას ღებულობდა — 70-80 პროცენტს კოვიდი საერთოდ არ დაემართა ან ყოველგვარი გართულების გარეშე გადაიტანა. საუკეთესოა* ***„ტონზილინის“ „იმუნო-ჰერბი-ფორტეს“*** *კომბინაცია. ორგანიზმი დაცულია რესპირატორული ვირუსებისაგან: გრიპი, რინოვირუსები, კოვიდი და ა.შ. ეს პრეპარატები ჯანმრთელმა ბავშვმაც უნდა მიიღოს პროფილაქტიკის მიზნით. ეს უსაფრთხო მცენარეული პრეპარატები, ფაქტობრივად, ბუნებრივი აცრაა.*

**ტელ: 593-31-70-34**

**„კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“, ვაჟა-ფშაველას 43 (პროფკავშირების სახლი, მეტრო დელისთან)**

## კვირგვინოსნები

**თორნიკე შენგელია**

*საქართველოს საკალათბურთო ეროვნული ნაკრების კაპიტანი*



ყოველთვის ვიცოდი, რომ **ქართველ გოგოსთან ერთად ქართულ ტრადიციულ ოჯახს შევქმნიდი.**

„სარკე“

**ლამარა აბჟანდაძე**

*93 წლის ბლოგერი*



**„ფეისბუქის“ გარეშე ჩემი ცხოვრება უკვე ვერ წარმომიდგენია.**

„კვირის პალიტრა“

**ლიკა ყაზბეგი**

*სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელი*



არასასურველ ადამიანს შევხვდი **იძულებით პაემანზე** და ნერვიულობისგან იმდენი დავლიე, რომ **ბრედ პიტად** მომეჩვენა და მერე მასთან ერთად 4 წელი ვიყავი.

„თბილისელები“

# გვანჯი მანია:

# ორიოდე კვირის წინ ავთანდილ ჩხიკვაძემ 86 წლის ასაკში მყინვარწვერი დალაშქრა!

*„86 წლის კაცმა მყინვარწვერი დალაშქრა და ამგვარად აღნიშნა ალპინიზმის დაბადების 100 წლისთავი!“ — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ჟურნალისტმა, მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირის თავმჯდომარემ, ქართული ფენომენის მკვლევარმა, მრავალი ალპინიადის უშუალო მონაწილემ* **გვანჯი მანიამ:**


86 წლის ალპინისტი ავთანდილ ჩხიკვაძე, რომელმაც ახლახან მყინვარწვერი დალაშქრა

— ტერმინი „ალპინიზმი“ ევროპაში მდებარე მთათა სისტემას, ალპებს უკავშირდება და ოფიციალურად მსოფლიოში ალპინიზმის დასაბამად 1786 წლის 8 აგვისტოს ალპების უმაღლეს მწვერვალზე, **მონბლანზე** (4810 მ) ჟაკ პალმას და მიშელ პაკარის ასვლა მიიჩნევა. თუმცა, ისტორიული, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ კავკასიელები, მათ შორის, ქართველებიც, ჯერ ქრისტეშობამდე იცნობდნენ ალპინისტური ტექნიკის საფუძვლებს და იყენებდნენ მთაში სიარულისათვის. ქართულ მითოსში აღწერილია, რომ ამირანის მამა სულკალმახი წრიაპით აღჭურვილი მიუყვება კავკასიონის მწვერვალზე ყინულ-კლდოვან აღმართებს. მითოსის გარდა, ისტორიული ცნობებიც მრავლად გვაქვს. მაგალითად, **იალბუზი ჯერ კიდევ მე-5 (!) საუკუნეში მეფე ვახტანგ გორგასალმა დალაშქრა და ამის დასტურად, დღემდე შემორჩენილია ხალხური ლექსი: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა, იალბუზზე ფეხი შედგა — დიდმა მთებმა იწყეს დრეკა!“**

**— არტეფაქტები და ისტორიული ცნობები რას გვიამბობენ?**

— სვანეთში ალპინისტმა **შოთა ჩართოლანმა** იპოვა 2500 (!) წლის წერაყინი, რაც ოდიდან ჩვენში მთამსვლელობის მაღალ განვითარებაზე მეტყველებს. ამასვე მოწმობს „ნაცარქედზე“ აგებული სამონასტრო კომპლექსი (3700 მ); ბეთლემის მღვიმე მყინვარწვერის ფრიალა კლდეზე (4100 მ); საკულტო ნაგებობანი მწვერვალ ბრუტსა — ბრძულაზე (3670 მ) და მრავალი სხვა. არსებობს უტყუარი ისტორიული ცნობებიც. მაგალითად, ერეკლეს მეფობის დროს ვინმე **იოსებ მოხევე მღვდელი** „ნებითა ხვთისა აღვიდა მყინვარის მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა..“ *(იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“.1813-1928 წ.წ.).* ამ ისტორიული ცნობის თანახმად, **მღვდელი იოსებ მოხევე** თავისუფლად შეიძლება, მსოფლიო ალპინიზმის ფუძემდებლად ჩაითვალოს!

მთამსვლელობას უამრავი საინტერესო ამბავი და განსაცვიფრებელი მიღწევა უკავშირდება. ბევრ ახალგაზრდა მთამსვლელს შეშურდებოდა ბალყარელი **ჩოკა ზალიხანოვის,** რომელიც კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე 209-ჯერ ავიდა, მაგრამ ჩოკას მიღწევათა სიდიადე მარტო რაოდენობით არ შემოიფარგლება. იალბუზზე უკანასკნელი ექსპედიცია ჩოკა ზალიხანოვმა 110 წლის ასაკში, საკუთარ დაბადების დღეს განახორციელა. ცნობისათვის, იგი 1973 წელს 116 წლისა გარდაიცვალა.

**— თანამედროვე ალპინიზმის ისტორია როდიდან იღებს სათავეს?**

— კავკასიონის უზარმაზარი მთაგრეხილი 1500 კილომეტრზე მეტ მანძილზე, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდეა გადაჭიმული. მისი უმაღლესი მწვერვალი **იალბუზია** (5642 მ). საქართველოს უმაღლესი მწვერვალი კი შხარა (5203 მ) გახლავთ. რაც შეეხება სპორტული ალპინიზმის აკვანს — მყინვარწვერს (5033 მ), ეს სიმაღლე ორმა პროფესორმა — **გიორგი ნიკოლაძემ და ალექსანდრე დიდებულიძემ** ზედიზედ **1923 წლის 28 აგვისტოს და 3 სექტემბერს** დაიპყრეს. სწორედ ამ თარიღით იწყება არამხოლოდ საქართველოს, შეიძლება ითქვას, მე-20 საუკუნის მსოფლიო სპორტული და სამეცნიერო ალპინიზმის ისტორია, თუმცა, მყინვარწვერისთვის **1923 წლამდეც** შეუბედავთ ქართველებს. მაგალითად, **ბახა წიკლაური,** რომელიც დიდებულიძის ექსპედიციაში გამყოლის ფუნქციას ასრულებდა, მანამდე მყინვარწვერზე 15-ჯერ იყო ნამყოფი! **იაგორ კაზალიკაშვილი** კი — ნიკოლაძის მეგზურობამდე 9-ჯერ!

**გიორგი ნიკოლაძის** ექსპედიციაში 5 ქალი იმყოფებოდა და ესეც თავისებური რეკორდი გახლდათ მსოფლიოში, რადგან მწვერვალზე ერთდროულად 5 ქართველი მანდილოსანი ავიდა. ალპინისტი მანდილოსანი **ალექსანდრა ჯაფარიძე** იმყოფებოდა **ალექსანდრე დიდებულიძის** 3 სექტემბრის ექსპედიციაშიც. შემდგომში ამ ლეგენდარულმა მთამსვლელმა ქალმა კავკასიონის მრავალი მწვერვალი დალაშქრა და პირველი ბრძანდებოდა, ვინც უშბას სამხრეთ მწვერვალზე ავიდა!



დროთა განმავლობაში ქართველებმა ალპინიზმის მსოფლიო ისტორიაში უამრავი მიღწევა ჩაწერეს, მსოფლიოს არაერთი მწვერვალი დალაშქრეს. 90 წელს გადაცილებულ მთამსვლელს **შოთა მირიანაშვილს** 65 წლის განმავლობაში მთებში 20 ათასზე მეტი ალპინისტი ჰყავს აყვანილი! საქართველოში ცხოვრობს მთამსვლელი **ბენო ქაშაკაშვილი,** რომელსაც დედამიწის ყველა კონტინენტის ყველა უმაღლესი მწვერვალი აქვს დაპყრობილი! მთამსვლელმა **რომან გიუტაშვილმა** ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წლებში ევერესტზე დამოუკიდებელი საქართველოს დროშა აიტანა! თბილისელი **ლევ სარქისოვი** კი ყველაზე უხნესი მთამსვლელი გახლდათ, რომელსაც ოდესმე ევერესტზე ფეხი დაუდგამს!

**წელს, თანამედროვე ალპინიზმის ისტორიის დასაწყისიდან, ანუ 1923 წლის 28 აგვისტოს გიორგი ნიკოლაძის ჯგუფის მიერ მყინვარწვერის დალაშქვრიდან 100 წელი შესრულდა და არც ამჯერად ჩაუვლია მოვლენებს უხმაუროდ.**


ჩოკა ზალიხანოვი

**— როგორ აღნიშნეს ქართველმა მთამსვლელებმა თანამედროვე ალპინიზმის დაბადებიდან 100 წლისთავი?**

— ამ თარიღის აღსანიშნავად წელს მყინვარწვერზე რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპედიცია ავიდა, მათ შორის იყო დუშეთის ჯგუფი 70 წლის **ბაბუა ალუდაურის** ხელმძღვანელობით; იყო სვანების ექსპედიცია **იდრის ხერგიანის** (ლეგენდარული იმ **ბექნუ ხერგიანის** შთამომავალი, რომელმაც 1943 წელს იალბუზის თავზე გერმანელი ფაშისტების მიერ აღმართული სვასტიკიანი დროშა ჩამოხსნა) ხელმძღვანელობით; იყო უნივერსიტეტის ალპური კლუბის ჯგუფი **ოთარ თათარაშვილის** ხელმძღვანელობით;

მყინვარწვერის დაპყრობის 100 წლისთავის აღსანიშნავად მწვერვალზე დამოუკიდებლად ავიდა ჯგუფი 8 მანდილოსანი მთამსვლელის შემადგენლობით! გმირი ქალები იმსახურებენ, რომ მათი ვინაობა ჩამოვთვალოთ: **ნესი მაჭავარიანი, სოფო კუსიანი, სოფო ჭელიძე, ლანა კობერიძე, ანა ბაქრაძე, ნინო ჭელიძე, თამუნა ასლანიშვილი, მარიამ კოკილაშვილი.** გოგონებმა გადალახეს მრავალი ისეთი ბარიერი, რაც ხშირად მამაკაცებისთვისაც დაუძლეველია!

განსაკუთრებით მინდა, მკითხველის ყურადღება მივაპყრო 86 წლის მთამსვლელის **ავთანდილ ჩხიკვაძის** ღვაწლს, რომელმაც გაბედა და ამ ასაკში 8-კაციან ჯგუფთან ერთად მყინვარწვერზე ავიდა. მას ხელთ ეპყრა მყინვარწვერის პირველი დამპყრობის **გიორგი ნიკოლაძის** ჯგუფის მეგზურის, მოხევე **იაგორ კაზალიკაშვილის** ნაქონი წერაყინი!

დამოუკიდებელი ექსპედიციების თითქმის ყველა წევრი, რომელთა საერთო რაოდენობა 150 მთამსვლელი იყო, იღებდა ფოტოებს და აკეთებდა ჩანაწერებს. ყველა მასალა თანდათან თავს იყრის სპორტსმენთა ცნობილი მემატიანის და მრავალი კარგი წიგნის ავტორის, ლიტერატორ **პაატა ნაცვლიშვილის** არქივში, რომელთაც საზოგადოება მოგვიანებით იხილავს.

მანამდე, 79 წლის ასაკში ბოტანიკოსმა, მაღალმთის ეკოლოგმა, ფაზისის აკადემიის წევრმა, მრავალი უცხოური ექსპედიციის მეგზურმა **ავთანდილ ჩხიკვაძემ** მყინვარწვერზე ღამის ასვლა განახორციელა! იგი მწვერვალზე შეეგება მზის ამოსვლას, გადაიღო განთიადი, დაახანა საღამომდე და ფოტოზე მწვერვალიდან მზის ჩასვლაც აღბეჭდა. ეს არის მსოფლიო დონის სენსაცია! ეს უნიკალური ფოტოა, რომელზეც აღბეჭდილია, თუ როგორ ერთვის კავკასიონის თეთრ სივრცეს 5033 მ სიმაღლის მყინვარწვერის კონუსისებური ჩრდილი!

**„ჩოკა ზალიხანოვი კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე 209-ჯერ ავიდა, მაგრამ მისი მიღწევათა სიდიადე მარტო რაოდენობით არ შემოიფარგლება. იალბუზზე უკანასკნელი ექსპედიცია ჩოკა ზალიხანოვმა 110 წლის ასაკში, საკუთარ დაბადების დღეს განახორციელა. იგი 1973 წელს 116 წლისა გარდაიცვალა!“**

## ბოლოთქმა

**„სპორტული ალპინიზმის დაბადების დღეს ვულოცავ ყველა ქართველს! არდავიწყება იმ ქართველი მთამსვლელებისა, რომლებმაც ამ ვაჟკაცურ სპორტს სხვადასხვა დროს სახელი გაუთქვეს! მარადიული ხსოვნა იყოს იმ ქართველი მთამსვლელებისა, რომლებიც მთებთან ჭიდილში ვაჟკაცურად დაიღუპნენ! ღმერთმა გააძლიეროს ქართველი ალპინისტების მომავალი თაობა, რომელიც ახალი სენსაციური მიღწევებით გაგვახარებს და სიამაყის გრძნობით აგვავსებს!“** — გვითხრა საუბრის დასასრულ **გვანჯი მანიამ.** „ასავალ-დასავალის“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვას!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

*თემის გაგრძელება 27-ე გვერდზე*


იაგორ კაზალიკაშვილი

86 წლის ალპინისტი ავთანდილ ჩხიკვაძე, რომელმაც ახლახან მყინვარწვერი დალაშქრა



## ავთანდილ ჩხიკვაძე:

# თუ ქართველი ხარ, ერთ მწვერვალზე მაინც უნდა იყო ნამყოფი!

*თემის დასაწყისი 26-ე გვერდზე*

***გვანჯი მანიასთან საინტერესო საუბრის შემდეგ დავასკვენით, რომ, უბრალოდ, უფლება არ გვქონდა, მყინვარწვერის დამპყრობ უხუცეს მთამსვლელს, პროფესიით მაღალმთის ეკოლოგ ავთანდილ ჩხიკვაძეს არ დავკავშირებოდით:***

— ბუმბერაზი **ნიკო კეცხოველის** ხელმძღვანელობით 18 წლის განმავლობაში ბოტანიკის ინსტიტუტში ვმუშაობდი. მეცნიერებათა აკადემიაში ალპინიზმის სექცია არსებობდა, რომელიც ორგანიზებას უწევდა ექსპედიციების მოწყობის მიზნით სხვადასხვა ინსტიტუტის განაცხადების დაკმაყოფილებას. ალპინიზმის სექცია ყოველწლიურად 80 კაცს აფინანსებდა ექსპედიციებში მონაწილეობისთვის, თუმცა, არ მახსოვს, 100-ზე ნაკლებს მიეღოს მონაწილეობა. დაფინანსებაში შედიოდა 2-კვირიანი მივლინება, ანაზღაურება — 50 მანეთი და სატრანსპორტო ხარჯები. ასეთი ექსპედიციები მიზნად ისახავდა ქართველი ახალგაზრდების გაჯანსაღებას, ვაჟკაცური და პატრიოტული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ალპინიზმი ხომ დიდი შესაძლებლობების მომცველი მამაცური სპორტია, რომლის მიმდევრებიც შემდგომში სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ასრულებენ თავდაცვით თუ თავდასხმით ღონისძიებებში, თუნდაც, სამაშველო სამსახურში. ცნობილია, რომ სწორედ ქართველმა ალპინისტებმა ისახელეს თავი გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ომში, როდესაც დამპყრობელი კავკასიაში შემოიჭრა. მათ შეძლეს სვანეთის ტერიტორიაზე მტრის ჯგუფების შეჩერება და განადგურება. 1943 წელს ქართველმა ალპინისტებმა ჩამოხსნეს იალბუზიდან ფაშისტების სვასტიკიანი დროშა, რითიც მოსახლეობას სამამულო ომში გამარჯვების რწმენა განუმტკიცეს.

**— პირადად თქვენ რა მოგცათ ალპინიზმმა?**

— ალპინიზმი ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ჩემი ჯანმრთელობისა და სულიერი სიმტკიცის საფუძველია. ალპინისტმა ყველაზე უკეთ იცის მეგობრის ფასი. მთასთან ჭიდილში, როდესაც ყოველი წუთი სიკვდილის რისკთან არის დაკავშირებული, ადამიანი ყველაზე სწრაფად და სიღრმისეულად წვდება ჭეშმარიტი მეგობრობის არსს. ხშირ შემთხვევაში ხომ მისი სიცოცხლე სწორედ თანმხლებ მეგობარზეა დამოკიდებული.

**— მსმენია, რომ მყინვარწვერზე ღამითაც ასულხართ.**

— მაშინ 79 წლის გახლდით. ეს თავისებური რეკორდია, რადგან ამ ასაკში, თანაც ღამით არავინ ასულა მყინვარწვერზე. მწვერვალზე 3 კაცი — **მე, ვაჟა ჩაგელიშვილი** და მისი ძმისშვილი **ზურაბ ჩაგელიშვილი** ფარნების შუქზე ავედით. მზის ამოსვლის გადაღება მსურდა, მაგრამ გაყინულმა ციფრულმა ფოტოაპარატმა არ იმუშავა, ვიდრე 20 წუთის განმავლობაში არ შევათბე და, როდესაც მწვერვალიდან აისი გადავიღე, მზე უკვე საკმაოდ ამოწვერილი იყო. საოცარი ფოტო გამოვიდა, მაგრამ ამომავალი მზის პირველი სხივები, რაც ფოტოს გადაღებამდე ვიხილე, იმას ვერ შეედრება! განმაცვიფრა მყინვარწვერის ჩრდილმა, რომელიც დასავლეთით ეგვიპტური პირამიდის ფორმით გაწვა სივრცეში.

**ვაჟა ჩაგელიშვილი** მახლდა ორიოდე კვირის წინ უკანასკნელ ექსპედიციაშიც, როცა მყინვარწვერი სპორტული ალპინიზმის დაარსების საიუბილეო თარიღთან, 100 წლისთავთან დაკავშირებით დავლაშქრეთ. რაც შეეხება ახალგაზრდა **ზურაბ ჩაგელიშვილს,** 14 წლის იყო, როდესაც მე და ვაჟამ მწვერვალ „სპარტაკზე“ ავიყვანეთ. ახლა ის უკვე გამოცდილი ალპინისტია.

**— პირველად როდის ახვედით მყინვარწვერზე?**

— 1970 წელს... ეს იყო ალპინიზმში ჩემი დებიუტი, ჩემი პირველი ექსპედიცია. დიახ, პირველად მყინვარწვერი დავიპყარი მეცნიერებათა აკადემიის ალპური სექციის ალპინიადის ფარგლებში, რომელსაც ხელმძღვანელობდა სამთო გეოლოგი, არაჩვეულებრივი ადამიანი, პროფესორი **ნოდარ ნადირაშვილი.** ვიდრე ალპინიადებს მეცნიერებათა აკადემია მართავდა, მრავალ მწვერვალზე დავდგი ფეხი. მერე, როდესაც ხდის ხეობაში 3 მთამსვლელი დაიღუპა, ალპინიადები აკრძალეს, **ნოდარ ნადირაშვილს** რეგალიები ჩამოართვეს, მაგრამ მგლის შიშით კრავი ვის გაუწყვეტია? ალპინიზმს ვინც ერთხელ მაინც ეზიარა, მერე ამ უდიდეს სიამოვნებაზე, თუნდაც სიკვდილის რისკის ფასად, უარს ვერ იტყვის! მერე გამოჩნდა კაცი **ჟორა ბერძენიშვილი,** რომელმაც ალპური სექცია და ალპინიადები აღადგინა, მთამსვლელებმაც შვებით ამოვისუნთქეთ. ჟორა ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მე ახლაც მისი ნაჩუქარი წრიაპებით დავდივარ.

**— ცხოვრების განმავლობაში მყინვარწვერზე ფეხი რამდენჯერ დაგიდგამთ?**

— 15-მდე ვითვლიდი, მერე ანგარიში ამერია. ხან წელიწადში ორჯერაც ავსულვარ, ავდიოდი ხან ქართველებთან, ხან უცხოელებთან ერთად. ჩემს უკანასკნელ ექსპედიციად, ვფიქრობ, ისევ და ისევ მყინვარწვერი დარჩება, რადგან აგვისტოში მყინვარწვერზე ასვლაში დიდი ენერგია დავკარგე, არც ამინდი გვიწყობდა ხელს. თანაც, უკვე 87-ე წელში ვარ და, დამეთანხმებით, ეს სოლიდური ასაკია ამ რისკიანი სპორტისთვის.

**— ამის მიუხედავად, მშვენიერ ფორმაში ხართ. ალბათ, ბევრი ახალგაზრდა ვერ მოახერხებს, მთაწმინდიდან ფუნიკულიორამდე 13 წუთზე ნაკლებ დროში აირბინოს... როგორ ახერხებთ ფორმის შენარჩუნებას?**

— არ ვჩერდები, მუდმივად მოძრაობაში ვარ. რამდენიმე წლის წინ ყაზბეგიდან თბილისამდე ველოსიპედით 5 საათში ჩამოვედი და ისეთი შეგრძნება მქონდა, კახეთამდეც ჩავაღწევდი! რომ გავჩერდე, მოვდუნდე, ცუდად გავხდები. მოძრაობა მაძლევს ძალას. **მიმაჩნია, თუ ქართველი ხარ, ერთ მწვერვალზე მაინც უნდა იყო ნამყოფი!**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***








ალექსანდრე დიდებულიძე


გიორგი ნიკოლაძე


შოთა მირიანაშვილი


ლევ სარქისოვი

დასაწყისი
იხ. „ა-დ" №39

# ავთანდილ დიასამიძე:

## დიდი მეცნიერი პავლე ინგოროყვა მიუთითებს, რომ მთლიანად მოცულობა ჩვენი ისტორიული ტერიტორიებისა, რომლებიც მიტაცებულია თურქეთის მიერ, შეადგენს 51 700 კვადრატულ კილომეტრს!

*თურქეთის მიერ მიტაცებულ საქართველოს ისტორიულ მიწებზე თითქმის ყველა ქართველი საუბრობს, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, სინამდვილეში რა ტერიტორია წაგვგლიჯა ოსმალეთმა და რა უძღვოდა წინ ამ მიწების დაკარგვას. ისტორიკოსი, პროფესორი* **ავთანდილ დიასამიძე** *ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერს იმ ტრაგედიას, რომელიც მე-16 საუკუნის 10-იანი წლებიდან დაწყებული დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა და საქართველომ საერთო ჯამში ორი ბელგიისოდენა ტერიტორია დაკარგა:*





პავლე ინგოროყვა

# ისტორიულ ოკუპანტ თურქეთს საქართველოსთვის ორი ბელგიისოდენა ტერიტორია აქვს წაგლეჯილი!

— **1453 წლის 29 მაისს,** მას შემდეგ, რაც ოსმალებმა ბრძოლით აიღეს კონსტანტინეპოლი და ათსაუკუნოვანი ბიზანტიის იმპერია დაამხეს, რვა წელსაც არ გაევლო, რომ 1461 წელს უმეტესად ლაზებით დასახლებულ ტერიტორიას — ტრაპიზონის იმპერიას გამოუყვანეს წირვა და შეიერთეს. **ივანე ჯავახიშვილი** არ ცდებოდა, როცა წერდა — *„ოსმალთა გაბატონებამ აზიაში და კონსტანტინეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მეტადრე ეს უკანასკნელი მონაპირე მხარე, საშინელს განსაცდელში ჩააგდო. საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი დაუცხრომელი სიმდგრით საქართველოს ამ ძვირფასი და მშვენიერი ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა!"*

**— ბატონო ავთანდილ, განსაკუთრებით რა პერიოდიდან გახდა თურქთა შემოტევები ინტენსიური?**

— განსაკუთრებით ეს დაიწყო 1498 წლიდან, როცა ღრმად მოხუცებული **ყვარყვარე ათაბაგი** გარდაიცვალა და მის მაგივრად სამცხე-საათაბაგოს მთავარი გახდა მისი უფროსი ვაჟი **ქაიხოსრო.** ამ პერიოდში (1498-1500 წ.წ.) ოსმალებმა სამცხესა და ჭანეთს შემოუტიეს. ოსმალეთს უკვე აღარ აკმაყოფილებს სამცხე-საათაბაგოს მოხარკეობა და მის სრულ დაპყრობა-დამორჩილებას ცდილობს. ასეთ დროს სრულიად უგუნური ჩანს სამცხე-საათაბაგოს მთავრის **მზეჭაბუკ ათაბაგის** (1500-1515 წ.წ.) პოლიტიკა, რომელიც ენერგიულად ცდილობდა, მესხეთის ეკლესია ჩამოეშორებინა მცხეთის საპატრიარქოსაგან და ამით გაეწყვიტა ის უკანასკნელი ძარღვი, რაც საქართველოს ამ სისხლხორცეულ კუთხეს ჯერ კიდევ აკავშირებდა ქვეყნის ერთიანობის იდეის მატარებელ საეკლესიო-სულიერ ცენტრთან. მართალია, **მზეჭაბუკ ათაბაგის** ეს ცდა ამჯერად წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ მისი შემდგომი მოქმედება უკვე ქვეყნის ერთიანობის აშკარა ღალატი იყო.

**— მაინც რა ჩაიდინა მზეჭაბუკ ათაბაგმა?**

— 1510 წელს ოსმალთა დიდი ჯარი სულთნის მემკვიდრე **სელიმ ფაშას** მეთაურობით, რომელიც ამ დროს ტრაპეზუნდის საფაშოს განაგებდა, საქართველოს დასალაშქრავად დაიძრა. **მზეჭაბუკ ათაბაგმა,** თავისი სამფლობელოს ხსნის მიზნით, მტერს უბრძოლველად მორჩილება გამოუცხადა და თავისი სამსახურიც შესთავაზა. ოსმალებმა დაუბრკოლებლად გადმოვლეს სამცხე-საათაბაგო და იმერეთში შეიჭრნენ. გვიანი შემოდგომა იყო. ქვეყანა ამ მხრიდან მტრის შემოსევას არ ელოდა, ამიტომ იმერეთის ახალგაზრდა მეფე **ბაგრატ მესამე ალექსანდრეს ძეს** (1510-1565 წ.წ.), რომელიც ის-ის იყო, ტახტზე ასულიყო, სათანადო წინააღმდეგობის გაწევა არც შეეძლო. მოსახლეობამ ძლივს მოასწრო გახიზვნა.

**ოსმალებმა აიღეს და გადაწვეს ქუთაისი, დაარბიეს ახლომახლო სოფლები და დაბები. მტრის მსახვრალ ხელს ამჯერად ვერ გადაურჩა დიდებული ბაგრატისა და გელათის ტაძრები.** მაგრამ მომხდურებს ხანგრძლივად ქვეყანაში დარჩენა არ შეეძლოთ. საქართველოში ჩარჩენილ ოსმალთა ჯარს დიდი საფრთხე ელოდა, ამიტომ **სელიმ ფაშამ** უკან დაიხია და ნაალაფევითა და ტყვეებით ქვეყანას გაეცალა.

**ბაგრატ მეფე** ცდილობდა, შემოეერთებინა სამცხე-საათაბაგო. 1535 წლის 12 აგვისტოს ახალქალაქის მახლობლად, სოფელ მურჯახეთთან მოხდა ბრძოლა **მეფე ბაგრატსა და ყვარყვარე ათაბაგს** შორის. ბრძოლა ბაგრატ მეფის სრული გამარჯვებით დამთავრდა, მან თვით **ყვარყვარე ათაბაგი** იგდო ტყვედ. ამავე დროს **ბაგრატ მესამის სიძემ,** ქართლის მეფე **ლუარსაბ პირველმა** ჯავახეთი დალაშქრა. ამრიგად, სამცხე-საათაბაგო 1535-1545 წლებში იმერეთისა და ქართლის სამეფოების შემადგენლობაში დარჩა. 1536 წლის 4 ივლისს, სულთნის ბრძანებით, არზრუმის ბეგლარბეგი **მეჰმედ ფაშა** თავისი ლაშქრით საქართველოს დასაპყრობად გამოემართა. ოსმალებმა ტაო-კლარჯეთში ილაშქრეს და რამდენიმე სანჯაყი დაიპყრეს.

**— თუმცა, ამას მოჰყვა ქართველთა ტრიუმფალური გამარჯვება ქარაღაქთან!**

— **ქარაღაქის ბრძოლა** საქართველოს ისტორიაში სათანადოდ დაფასებული არ არის! 1543 წელს, სულთნის ბრძანებით, არზრუმის მმართველი **მუსა ფაშა** 22-ათასიანი ლაშქრით იმერეთის მეფის **ბაგრატ მესამის** წინააღმდეგ გამოემართა. ბაგრატმა საჭირო ზომები მიიღო, ციხეები გაამაგრა, ლაშქარი შეკრიბა და **გურიელსა და დადიანს** უხმო. **ლევან პირველმა დადიანმა** (1533-1572 წ.წ.) განაწყენებულმა იმით, რომ მეფემ ჭანეთი და აჭარა გურიელს გადასცა, ბრძოლაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ოსმალთა ჯარი, რომელიც ევროპული ზარბაზნებით იყო შეიარაღებული, ტაოში ოლთისის ციხეს მოადგა, რომლის მეციხოვნეებიც უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ. ბაგრატი კარგად ხედავდა, რომ მისი ლაშქარი მრავალრიცხოვან და კარგად შეიარაღებულ მტერს ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომ ხერხი იხმარა: მუსა ფაშას საჩუქრებით დატვირთული მოციქულები გაუგზავნა და შეუთვალა: მე როგორ შემიძლია ხონთქრის ჯარისათვის წინააღმდეგობის გაწევა. თქვენ უკან დაბრუნდით და ციხის კლიტეებს, ვისაც მიბრძანებთ, იმას გადავცემო!

ფაშა ციხიდან აიყარა და არზრუმის გზას გაუდგა, არტილერია და ლაშქრის ნაწილი კი იქ დატოვა, რათა შემდეგ მას გაჰყოლოდნენ. **ქართველთა ლაშქარი თავს დაესხა ოსმალებს, ერთიანად ამოწყვიტა, ხელთ იგდო ზარბაზნები და მუსა ფაშას დაედევნა.** დილით **ბაგრატ მეფე** დაეწია **მუსა ფაშას** ძირითად ლაშქარს და სასტიკად დაამარცხა. ქართველებმა დიდძალი ნადავლი ჩაიგდეს ხელში, მათ შორის, ზარბაზნები, რომლებიც **ბაგრატ მეფემ** ქუთაისში გაგზავნა.

**— ირანელი მემატიანის ჰასან რუმლუს ცნობით, „ქართველებმა ლალისფრად შეღებეს ბრძოლის ველი მათი სისხლით და მრავალი ოსმალო მუსა ფაშასთან და წარჩინებულ ოსმალებთან ერთად დახოცეს, ხოლო მათი ბანაკი დაარბიეს და აიკლეს".**

— ეს ბრწყინვალე გამარჯვება ოლთისის სამხრეთით, ქარაღაქთან მოხდა, რამაც უსაზღვრო მრისხანებით აღავსო **სულეიმან სულთნის** გული. ამ დროიდანვე ისლამის ფადიშაჰმა განიზრახა, შური ეძია ქართველებზე, რაც მოხდა 1545 წელს, როცა **სულეიმან პირველმა** (1520-1566 წ.წ.) სამცხე-საათაბაგოში დიდი ჯარი გამოგზავნა **არზრუმის და დიარბექირის ფაშების** სარდლობით. იმერეთის **მეფე ბაგრატ მესამემ** ერთობლივი გამოსვლისათვის ისევ **გურიელს და დადიანს** მიმართა. გურიელი თავისი ლაშქრით გამოცხადდა მეფესთან, დადიანმა კი ამ საერთო საქმეს კვლავ უღალატა და მეფეს დახმარებაზე უარი შემოუთვალა. **ბაგრატ მეფემ** ასევე თავის სიძეს **ლუარსაბ პირველს** (1527-1556 წ.წ.) სთხოვა დახმარება, რომელიც დაუყოვნებლივ გამოეშურა სიმამრის საშველად. ბაგრატის, ლუარსაბის და გურიელის ლაშქარს მესხი აზნაურებიც შეუერთდნენ და ქართველთა ეს გაერთიანებული ლაშქარი მტერს **ბასიანთან** დახვდა. ბრძოლა **სოხოისტას ველზე** მოხდა. ბრძოლის ბედი მესხთა ღალატმა გადაწყვიტა. **ბაგრატი არ დაეთანხმა მესხების მოთხოვნას, რომ ბრძოლისას მეწინავედ ისინი გაემწესებინა.** როგორც ჩანს, **ბაგრატი** ბოლომდე მაინც ვერ ენდობოდა მათ, რადგან ბევრი სამცხელი ფეოდალი ოსმალების ბანაკში იმყოფებოდა და მეფე შიშობდა, რომ მესხ აზნაურებს მათთან კავშირი ჰქონდათ. მესხმა აზნაურებმა ეს გამოიყენეს საბაბად და როდესაც ქართველთა ლაშქარი მტერს თავგანწირვით ეკვეთა, *„მაშინ შურითა ბოროტითა აღსავსეთა მესხთა ინებეს განდრეკილება და აროარა მიჰყვნენ ომსა შინა".*

ღალატმა და მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა, მედგარი ბრძოლის მიუხედავად, საქართველოს ლაშქარი დამარცხდა.

**— ცხადია, ქართველთა დამარცხებას სოხოისტას ველზე არამარტო მესხთა ღალატმა, არამედ, ასევე სამეგრელოს მთავრის ლევან პირველი დადიანის ღალატმაც შეუწყო ხელი, რომელიც იმერეთის მე-**







## სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი:

# საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი!

**ფის თხოვნის მიუხედავად, ბრძოლის ველზე არ გამოცხადდა.**

— დასკვნა ერთია: **საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროს ერთობლივად რომ შეეტია მოძხდური ოსმალოს ლაშქრისათვის, 1545 წელს დამარცხება კი არა, გამარჯვება გარდაუვალი იქნებოდა.** სამეფო-სამთავროთა განცალკევებულმა მოქმედებამ და პოლიტიკამ თავისი სავალალო შედეგები გამოიღო, მტერი თანდათან და ნაწილ-ნაწილ იპყრობდა ძირძველ ქართულ მხარეებს, რაც სოხოისტას ველზე გამარჯვების შემდეგ უფრო გაძლიერა.

**— სოხოისტას ველზე განცდილი მარცხის შემდეგ თურქებმა საქართველოს რომელი ნაწილი მიიტაცეს?**

— სოხოისტას კატასტროფიდან ორ წელიწადში, 1547 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ჭანეთი, ანუ ლაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი — დღევანდელი **რიზეს ოლქი.** „ქართლის ცხოვრება" ჭანეთის ოსმალთაგან დაკავებას არა 1461 წელს, ანუ ტრაპიზონის იმპერიის დაცემას, არამედ სწორედ 1547 წელს უკავშირებს და მოგვითხრობს: *„მოვიდა სპა ხონთქრისა გურიასა ზედა... მიუღეს გურიელთა ჭანეთი... და იწყეს მძლავრება, ამოსწყვიტეს ჭანეთი და თვით დაიპყრეს".* აქედან ვგებულობთ, რომ ლაზებით დასახლებული ეს მხარე გურიის სამთავროში შედიოდა და მას ტრაპიზონის დაცემიდან, ანუ 1461 წლიდან მე-16 საუკუნის შუა წლებამდე ოსმალთაგან დამოუკიდებლობა შეუნარჩუნებია.

1548 წელს ოსმალებმა დაიპყრეს **ვანის ოლქი,** ხოლო 1549 წელს მიაყოლეს ი**სპირი** (სპერი), **ოლთისი, თორთუმი** (ქართული ფორმაა თორთომი), **ფანაკი** (იგივე ბანა). ამ წელს ოსმალეთმა საქართველოს სათანადოდ მომზადებული დიდი ლაშქრით შემოუტია. როგორც ისტორიკოსი **მიხეილ სვანიძე** აღნიშნავს, 1549 წლის 25 აგვისტოს ოსმალთა 40 ათასი მებრძოლისაგან შემდგარი ლაშქარი საქართველოსაკენ დაძრა. ამ ლაშქრობას სარდლობდა მეორე ვაზირი **აჰმედ ფაშა.** სექტემბრის დასაწყისში ოსმალთა ლაშქარი არზრუმში ჩავიდა. აქ საჭირო სურსათ-სანოვაგით მომარაგდა და 10 სექტემბერს სამცხე-საათაბაგოსაკენ გაემართა. 13 სექტემბერს ოსმალებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ თორთუმის ციხე-სიმაგრეს. თორთუმი ერთ-ერთი ყველაზე მაგარი ციხე-სიმაგრე იყო სამცხე-საათაბაგოში. ოსმალებმა მას ზარბაზნები დაუშინეს. 20 სექტემბერს დიდი ბრძოლით აღებულ იქნა თორთუმის ციხე. ოსმალებმა ამ ლაშქრობის შედეგად, სამცხე-საათაბაგოში გარდა თორთუმისა, შემდეგი ციხეები და ადგილები დაიპყრეს: **ნახახი, ამირახორი, ახჩაყალა, ფანასკერტი, მეორე ახჩაყალა, თალხისა, ლივანა, დადელის მხარე და სხვ.**

**სულთან სულეიმანი** საფრანგეთის მეფე ჰენრი მეორისადმი გაგზავნილ წერილში ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით წერდა: *„მოკლედ, მტრისგან დაპყრობილი 35 ციხიდან 14 მოთხრილ იქნა, დანარჩენ 21 ციხეში ჩაყენებული იქნა გარნიზონი და სამხედრო მმართველი. ქვეყანა ორგანიზებულ იქნა საბეგლარბეგოდ და დაიყო 4 სანჯაყად და მთლიანად იგი შეერთებულ იქნა იმპერიასთან!"* 1550 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ტაო სპერის ზონასთან ერთად, ხოლო 1552 წელს დაიჭირეს არტაან-კოლა და კლარჯეთ-შავშეთი, ვიდრე არსიანის მთამდე.

**ამრიგად, მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალეთმა დაიპყრო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი: ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, ჭანეთი და იქ თავისი ბატონობა დაამყარა.** 1555 წლის 29 მაისს ოსმალეთსა და ირანს შორის ქალაქ ამასიაში ზავი დაიდო. ამ საზავო ხელშეკრულებით, აღმოსავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ირანს ერგო, დასავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი კი ოსმალეთს დარჩა. **ამის შემდეგ ორივე დიდ სახელმწიფოს — ირანსა და ოსმალეთს — საქართველოს დასაპყრობად ხელები გაეხსნათ.** ამასიის ზავით დამთავრდა ოსმალეთ-ირანის პირველი ომი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ეს ზავი, რომელიც საქართველოს დაუკითხავად დაიდო, აშკარად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაერთიანებას და აღრმავებდა მის პოლიტიკურ დაშლილობას.

**— საკუთრივ აჭარას თურქებმა როდის შემოუტიეს?**

— **აჭარა თურქებმა 1561 წელს დაიპყრეს. აჭარის ხეობა 1561 წლიდან უკვე ოსმალეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა და მის ტერიტორიაზე თურქული ადმინისტრაციული მმართველობა დამყარდა.**

1587 წელს ოსმალებმა აჭარა ხელახლა დაიპყრეს. 1564 წელს ოსმალებმა ბათუმიც მიიტაცეს. 1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირის ტბასთან ახლოს მოხდა დიდი ბრძოლა ოსმალეთისა და ირანის ლაშქარს შორის, რომელიც ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. ამ ბრძოლას **მანუჩარ ჯაყელი** 6000 შეიარაღებული აზნაურით მთის ფერდობიდან თვალყურს ადევნებდა და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას შეიწყნარებდა. მართლაც ფაშამ იგი ზეიმით მიიღო და მანუჩარმაც ჩააბარა თავისი ქვეყნის ციხე-სიმაგრეთა გასაღებები. **მანუჩარისა და მისი თანმხლები ქართველების წინ, სარდლის კარავთან, რამდენიმე ათას ტყვე ყიზილბაშს თავები დააყრევინეს, ქართველი ტყვეები კი კოცონზე დაწვეს, რომ ამით ველური დამპყრობლისადმი შიში და მორჩილება დაენერგათ.**

**— როგორც ვიცი, 1578 წელი თურქული ოკუპაციის ისტორიაში ტეხილია!**

— დიახ, 1578 წელი ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია, რადგან **ლალა ფაშას** დიდი ლაშქრობის დროს ოსმალთა მიერ დაპყრობილი იქნა **ჩილდირი, ხერთვისი, ახალქალაქი, ახალციხე და აწყური.** ამრიგად, მთელი სამცხე-საათაბაგო მოექცა ოსმალთა მფლობელობაში. **ათაბაგ ქაიხოსრო მეორის** (1545-1573) შვილები — **ყვარყვარე მეხუთე** (1573-1582), **მანუჩარ მეორე** (1558-1614) და ამის შვილი **მანუჩარ მესამე** (1614-1625) იძულებული იყვნენ, დამორჩილებოდნენ ოსმალებს და მათი სახელით დარჩენილიყვნენ საათაბაგოს ამა თუ იმ ნაწილების მმართველებად, მაგრამ ჯერ კიდევ ქრისტიანობა შეინარჩუნეს; ხოლო ბექა მესამის შვილმა **ყვარყვარე მეხუთემ** მოწამლა თავისი ძმისწული, კანონიერი ათაბაგი **მანუჩარ მესამე,** წავიდა სტამბოლს, მიიღო იქ მუსლიმანობა **საფარ-ფაშას** წოდებით და გახდა ახალციხის ფაშა. **ოსმალებმა 1578 წლის 24 აგვისტოს თბილისიც დაიკავეს. იგი საფაშოდ გამოაცხადეს, ციხე-სიმაგრეებში თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს და თბილისში ფაშა დანიშნეს.**

1590 წლის 21 მარტს სტამბოლში ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო. საზავო ხელშეკრულების მიხედვით, **საქართველო, აღმოსავლეთ სომხითი, ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანი** (არდებილისა და თალიშის გამოკლებით), **ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი** ოსმალეთს დარჩა. ამ ზავის შედეგად დამთავრდა ირანსა და ოსმალეთს შორის ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი ომი, რომელიც 11 წელიწადს და 11 თვეს გრძელდებოდა.

**— ე.ი. ტაო-კლარჯეთად წოდებული ტერიტორიის მიტაცებას თურქეთმა დაახლოებით ასი წელი მოანდომა?**

— დიახ, მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალეთმა დაიპყრო ჭანეთი და მესხეთის ნაწილი, ხოლო მეორე ნახევარში ოსმალებმა მოახდინეს მთელი მესხეთის ოკუპაცია.

**— საბოლოო ჯამში საქართველოს ტერიტორიის რა ფართობი მიიტაცა თურქეთმა მე-16 საუკუნეში?**

— ოსმალეთის მიერ დაპყრობილი მესხეთის ტერიტორიის ფართობი შეადგენდა **34 230 კვადრატულ კილომეტრს,** ჭანეთ-ლაზეთის მხარეებისა — **24 585 კვადრატულ კილომეტრს!** სულ მე-16 საუკუნეში ოსმალეთის მიერ დაპყრობილი იქნა **58 815 კვადრატული კილომეტრი** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, რაც ოდითგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ოსმალეთმა 1578 წლიდან ასევე მიიტაცა **ქალაქი ფოთი 65,8 კვადრატული კილომეტრის ფართობით** და ხელში ჩაიგდო **ქალაქი სოხუმი,** რომლის ფართობი **27 კვადრატულ კილომეტრს** შეადგენდა. ორივე ამ ქალაქის ფართობი **92,8 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას** მოიცავდა. ამგვარად, სულ ოსმალეთმა დაპყრობითი ომების შედეგად საქართველოს წაართვა **58 ათას 907 კვადრატული კილომეტრი** ტერიტორია. ასე რომ, ოსმალეთმა მე-16 საუკუნეში, ფაქტობრივად, დაიპყრო მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, რომელიც მესხეთის მხარეებს, ანუ ზემო ქართლს შეადგენდა და უფრო გვიან ხანაში სამცხე-საათაბაგოს სახელით იყო ცნობილი; სახელდობრ, მე-16 საუკუნეში ოსმალეთმა დაიპყრო **ჭანეთ-ლაზეთი, სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, შავშეთი, იმერხევი, კოლა, არტაანი, ტაო, კლარჯეთი, სპერი** (ისპირი), **თორთუმი და ნიგალი.** ოსმალეთი ასევე დასავლეთ საქართველოში დაეუფლა ქალაქებს — **ფოთს და სოხუმს.** ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ოსმალეთმა უხეშად, ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფით დაარღვია საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობა.

**— დღეს ქართული მიწების რა რაოდენობას ფლობს ოკუპანტი თურქეთი?**

— დღეისათვის, როგორც დიდი მეცნიერი **პავლე ინგოროყვა** მიუთითებს, მთლიანად მოცულობა საქართველოს ისტორიული ტერიტორიებისა, რომლებიც მიტაცებულია თურქეთის მიერ, შეადგენს **51 700 კვადრატულ კილომეტრს.** აქედან მესხეთისა მოიცავს **27 115 კვადრატულ კილომეტრს,** ხოლო ჭანეთისა — **24 585 კვადრატულ კილომეტრს.** ამოდენა მოცულობის საქართველოს ტერიტორია, ოსმალეთის გარდა სხვა არცერთ დამპყრობელს არ მიუსაკუთრებია. ამიტომაც **სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი** სამართლიანად შენიშნავენ — **„საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი!"**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



სულეიმან პირველი დიდებული – ოსმალეთის იმპერიის სულთანი 1520–1566 წლებში



მურად მესამე – ოსმალეთის იმპერიის სულთანი 1574–1595 წლებში



# მიხეილ ცაგარელი:
# პლანეტა პლუტონი მალე დიდი ხნით მერწყულში დაიბუდებს

***— პლანეტა პლუტონი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ვისთან ასოცირდება? რას მართავს და რომელ ცნებებზეა პასუხისმგებელი? პლუტონი ურანთან და ნეპტუნთან ერთად რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს? რის ცვლილებას იწვევს ანდა მისი ზეგავლენით რა ძალუძთ ადამიანებს? ამა თუ იმ ზოდიაქოში მოძრაობისას მისი ზემოქმედება რომელ სფეროებზე ვრცელდება? რა მნიშვნელობა ენიჭება და რას განაპირობებს პლუტონის ასპექტები სხვადასხვა ციურ სხეულთან? მისი გრძელვადიანი მოძრაობა მერწყულის ზოდიაქოში რომელ სფეროებში გამოიწვევს დიდ ცვლილებებს ანდა რა და რა გამოწვევებთან მოგვიწევს გამკლავება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— როგორც აღნიშნეთ, რაც არ უნდა არ მოგვწონდეს პლანეტა პლუტონის მიერ მოწოდებული ცვლილებები, წინააღმდეგობის გაწევა არ ღირს, რადგან ამ შემთხვევაში პროცესი შესაძლოა, მტკივნეულად წარიმართოს და, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ პლუტონის მიერ შემოთავაზებული ნებისმიერი ტრანსფორმაცია აუცილებელია პროგრესისთვის, განვითარებისთვის, წინსვლისთვის. კიდევ რისი გათვალისწინება გვმართებს?**

— მოგეხსენებათ **პლუტონი** ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ასოცირდება მითიურ **აიდთან. აიდი** ქვესკნელის ღმერთი გახლდათ, რომელიც დაუნდობლობითა და სიმტკიცით გამოირჩეოდა. ასეთივე მტკიცე, პირდაპირი და დაუნდობელია **პლუტონიც. იგი პასუხისმგებელია ისეთ ცნებებზე, როგორიცაა საიდუმლოებანი, ჭეშმარიტება, სიმართლე, ბარდასახვა, ტრანსფორმაცია, სიკვდილი, სიცოცხლე, ძალაუფლება, კონტროლი, გავლენა და ნაწილობრივ სიმდიდრე. იგი მართავს საზოგადოებას, ხალხის დიდ მასებს, როგორც გლობალურად მთელი დედამიწის, ისე ცალკეული ქვეყნების მოსახლეობას. ნიშანდობლივია ისიც, რომ პლუტონი პლანეტებთან — ურანთან და ნეპტუნთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რამეთუ ადამიანების ინდივიდუალური ცნობიერება უფრო ღრმა გლობალურ საზოგადოებრივ ჭრილში გადაჰყავს.** მისი გავლენით, ადამიანებს ძალუძთ, საკუთარი ცხოვრება მართონ ანდა (ცუდი ასპექტის შემთხვევაში) სხვათა მანიპულაციის, მართვისა და გავლენის ქვეშ მოექცნენ. მაგრამ, ძირითადად, **პლუტონი ცვლის ადამიანთა მსოფლმხედველობას, მათ პირად მიზნებს, შეხედულებებს, საზოგადოებისა და ცხოვრების მიმართ განწყობას. იმისდამიხედვით, თუ რომელ ზოდიაქოს ნიშანში მოძრაობს პლუტონი, მისი გავლენა შესაბამის სფეროებზე ვრცელდება.** მაგალითად თუ **ღრიანკალის ზოდიაქოშია,** იმატებს ისეთი თემების მნიშვნელობა, როგორიცაა სიცოცხლე, სიკვდილი, სექსუალურობა, მართვა-კონტროლი. თუ **კირჩხიბის ზოდიაქოში** მოძრაობს, მაშინ ისტორიის, ტრადიციების, ოჯახის, სახლის უსაფრთხოების საკითხები ძლიერდება. მოგეხსენებათ, 2008 წლიდან **პლანეტა პლუტონი** იმყოფებოდა **თხის რქის** ზოდიაქოში და ამიტომ ზეგავლენა მოახდინა ქვეყნების წყობასა და მმართველობაზე, მსოფლიო ეკონომიკასა და საფინანსო სისტემებზე, მასშტაბური ცვლილებები, ომები და კრიზისი გამოიწვია. **მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე პლუტონის ასპექტებს სხვადასხვა პლანეტებთან.** მაგალითად მისი **მთვარესთან ასპექტის დროს** იზრდება ემოციურობა და ცვლილებებია მოსალოდნელი გრძნობებთან მიმართებით. **პლუტონის პლანეტა მარსთან** ასპექტირებისას კი იმატებს ძალაუფლებისთვის ბრძოლა და სხვადასხვა სფეროების კონტროლი. ნიშანდობლივია, რომ **მერწყულის** ზოდიაქოში მოძრავი **პლუტონი,** როგორც მოგახსენეთ, **თევზების ნიშანში** 2043 წელს გადაინაცვლებს. მანამდე კი რამდენჯერმე რეტროგრადული გახდება, რაც მის ზემოქმედებას შეასუსტებს და საშუალებას მოგვცემს, გავიაზროთ უკვე არსებული ცვლილებები ანდა ის ტრანსფორმაციები დავასრულოთ, რომელიც დაიწყო, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ვერ დასრულდა.

**— 2024 წლის ნოემბრიდან 2043 წლამდე პლანეტა პლუტონის გრძელვადიანი ყოფნის დროს მერწყულის ზოდიაქოში მისი ზეგავლენა, ძირითადად, რომელ სფეროებს მოიცავს, რომელ თემებს შეეხება და სად იქნება მოსალოდნელი დიდი ცვლილებები?**

— **მერწყული ინოვაციების, რევოლუციების, სოციალური ცვლილებების ნიშანია, ამიტომ მერწყულის ზოდიაქოში მოძრავმა პლუტონმა, შეიძლება დიდი ცვლილებები გამოიწვიოს ტექნოლოგიის, კომუნიკაციის, მეცნიერების, განათლების, მედიცინის სფეროებში და უფრო მეტად განავითაროს ბლოკჩეინის, კრიპტოვალუტის, ხელოვნური ინტელექტის სფეროები, სოციალური მედიის და კომუნიკაციის საშუალებები.** მოძველებული სოციალური და პოლიტიკური წყობა შეიცვლება, ამიტომ ზოგან შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სახალხო გამოსვლებს და რევოლუცია მოხდეს. ასევე შესაძლოა, ისეთ გამოწვევებთან აუცილებელი გახდეს გამკლავება, როგორიცაა კლიმატური ცვლილებანი, პანდემია და ტერორიზმთან, ომთან, იძულებით გადაადგილებულებთან დაკავშირებული პრობლემები.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 11 – 17 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
შემოქმედებითად მიუდექით ნებისმიერ საქმეს და კრიზისულ სიტუაციებს მოერიდეთ. შესაძლოა, მოლაპარაკებების წარმოება და ხელშეკრულების დადება გართულდეს. ყურადღებით და ფრთხილად იმოქმედეთ, რათა მოწინააღმდეგეებს კრიტიკის საბაბი არ მიეცეს. ნუ გარისკავთ და ადრინდელი საქმე მშვიდად დაასრულეთ. სახლის კეთილმოწყობას მიხედეთ და ეცადეთ, მეუღლესთან ან შეყვარებულთან ურთიერთობა დაარეგულიროთ.

**კურო** (21.04-20.05)
კარგი პერიოდია ხელმძღვანელობასთან ახალი პროექტის ან დაწინაურების შესახებ სასაუბროდ. თუმცა, საბუთებსა და ხელშეკრულებებს განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდეთ. გაუგებრობის ან მოულოდნელი წინააღმდეგობების გამო შესაძლოა, მოგზაურობა გადაიდოს. სასიყვარულო ურთიერთობისას ასევე სიფრთხილე გმართებთ, რადგან ეჭვიანობა შესაძლოა, ჩხუბისა და დაცილების მიზეზი გახდეს.

**ტყუპი** (21.05-22.06)
საქმიანობისას მაქსიმალური ყურადღება გმართებთ, რათა გამოუსწორებელი შეცდომები არ დაუშვათ. მოგზაურობისას მოლაპარაკებების ჩატარება გაგიჭირდებათ, ამიტომ მივლინებები ჯობს, გადადოთ. მიუხედავად ამისა, შემოსავლების რაოდენობა გაიზრდება. განმარტოებას და დასვენებას ხშირად მოისურვებთ, რამეთუ გარშემო მყოფნი თავისი ცნობისმოყვარეობითა და კითხვებით სულიერ სიმშვიდეს მოგანიჭებენ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ენერგიის კლება ინფორმაციის გადამუშავებასა და სწავლაზე უარყოფითად აისახება. ფინანსების მიღება-გაფორმება პრობლემებს დაუკავშირდება. მოსალოდნელია შემოწმებებიც. საქმესა და ფინანსურ საკითხებში შესაძლოა, დახმარება მშობლებმა და ნათესავებმა გაგიწიონ. პირადი ურთიერთობისას ემოციურ-აგრესიული იქნებით, ამიტომ საკუთარი თავი გააკონტროლეთ. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**ლომი** (23.07-23.08)
ენერგიის კლება, შესაძლოა, სიზარმაცისა და უხასიათობის მიზეზი გახდეს. ეცადეთ, ფული ყაირათიანად ხარჯოთ. სახლის საქმეები ნაკლებრომანტიკული იქნება, რაც ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება, მაგრამ სურვილის მიუხედავად, ვერაფერს შეცვლით. ეცადეთ, მოიძიოთ ადამიანი, ვისთან ერთადაც განმარტოებასა და დასვენებას შეძლებთ. მოგზაურობისას კი ექსტრემალურ სიტუაციებს მოერიდეთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ამ კვირაში თქვენს ხიბლს მშვიდად გვერდს ვერავინ აუვლის. განსაკუთრებით კი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები. სახლის საქმე ბევრ დროს წაგართმევთ, მაგრამ შინაგანი სიმშვიდის შეგრძნებას გაგიმყარებთ. ჯანმრთელობისთვის მიზანშეწონილი იქნება ფიზიკური ვარჯიშები. ამ დროს დამყარებული რომანტიკული კავშირი იმედს ვერ გაგიმართლებთ. სამაგიეროდ, მოგზაურობა თქვენს იმედებს გაამართლებს, თუმცა, ხარჯსაც დაუკავშირდება.

## 11 – 17 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
შეფერხება საქმიანობისას დაუკავშირდება დაგვიანებებს, შეცდომებს, გაუგებრობებს, გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოყენებას ან საბუთების დაკარგვას. კარგი პერიოდია ძველი საქმეების დასასრულებლად, ჯანმრთელობის აღსადგენად, სწავლის გასაგრძელებლად. მოგზაურობისას ყურადღება მიაქციეთ საბუთებს, ნივთებსა და ფულს. უცნობებს ნუ მიენდობით და გაუაზრებლად ნუ გარისკავთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ახალი კავშირები სოციალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ, თუმცა, სამსახურის შეცვლა ან ახალი საქმის დაწყება ჯერ არ ღირს. უცხოელთან ან სხვა ქალაქში მცხოვრებთან ერთად მუშაობისას შესაძლებელი იქნება კარიერული აღმასვლა. დაღლის შეგრძნებისას აუცილებლად შეისვენეთ. გზებზე გადაადგილებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. ოჯახის წევრებთან და შეყვარებულთან კი ეცადეთ, გულთბილი და გულახდილი იყოთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
კარიერისა და პირადი ბიზნესისთვის არახელსაყრელი პერიოდია. მოწინააღმდეგეებმა შესაძლოა, ინტრიგა მოგიწყონ. სასამართლოში საქმის გარჩევა არ მოგიწიოთ. მეუღლე ან შეყვარებული ყოველმხრივ გვერდში დაგიდგებიან და ეცდებიან, რიგი საქმეებისგან გაგათავისუფლონ. რეალურ გეგმას ასრულება უწერია. ფინანსურ დახმარებას კი მეგობრები გაგიწევენ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ახალი კავშირებისა და ინფორმაციის მეშვეობით ბევრი იდეა გაგიჩნდებათ, მაგრამ მათ განსახორციელებლად არაერთი წინააღმდეგობის დაძლევა მოგიწევთ. სამსახურში შესაძლოა, დამღლელი დამატებითი ან საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულება მოგიხდეთ. ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით შემოთავაზებაზე უარს ნუ იტყვით. შეყვარებულთან ურთიერთობა შესაძლოა, დროებით გაცივდეს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ეცადეთ, შინაგანი სიმშვიდე შეინარჩუნოთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
ნებისმიერი უწესრიგობა გაგაღიზიანებთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა ყურადღებას ითხოვს. საკვების ვარგისიანობას ყურადღება მიაქციეთ. კამათში ნუ ჩაებმებით და სამსახურის შეცვლაზეც ნუ იფიქრებთ. ახალი ინფორმაციის გადამუშავება ან ცოდნის გაღრმავება რთული მოგეჩვენებათ, თუმცა, კარიერაზე დადებითად აისახება. საქმეთა სიმრავლე ოჯახის წევრებთან და შეყვარებულთან ურთიერთობის საშუალებას არ მოგცემთ. მოგზაურობისას საბუთებსა და საფულეს გაუფრთხილდით.

**თევზები** (19.02-20.03)
ახალი საქმიანობა თავის დამკვიდრების და განსაკუთრებულობის შეგრძნებას გაგიძლიერებთ. კარგი პერიოდია უძრავ ქონებასთან და სახლთან დაკავშირებული საქმეების მოსაგვარებლად, თუმცა, კრედიტის აღება სასურველი არ არის. დაღლა ძალითა და დასვენებით აინაზღაურეთ. კარგი იქნება, ახლო მანძილზე დასასვენებლად გამგზავრებაც. ფარული სასიყვარულო ურთიერთობა კი შესაძლოა, მომავალში ნერვიულობის საბაბი გახდეს.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 11,13,14,15 და 17 სექტემბერი

**15 სექტემბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 05.40 საათზე;**
**29 სექტემბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 13.58 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 11 სექტემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.37 საათზე, ჩადის 19.18 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 02.33 საათზე, ჩადის 18.04 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 01.57 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს თანამოსაუბრეს მოუსმინეთ და გადაწყვეტილების მიღებისას მისი აზრი გაითვალისწინეთ. შესაძლოა, ენერგიის ნაკლებობა შეიგრძნოთ. ემოციურ-ფიზიკურ გადაღლასა და ნერვიულობას მოერიდეთ. გულს გაუფრთხილდით. არ არის სასურველი სიმძიმეების აწევა, ნიშნობა ან ქორწინება, ბინის შეცვლა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება. კარგი დღეა ახალი სამსახურის დასაწყებად, ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის, ძვირფასეულობის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერიის შესაძენად, თმის შეჭრა-მოვლისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, სარდიონი, მთის ბროლი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 12 სექტემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.38 საათზე, ჩადის 19.17 საათზე **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 03.37 საათზე, ჩადის 18.30 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 03.15 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.06 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** კარგი დღეა ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მეგობრული და სასარგებლო კონტაქტების დასამყარებლად, მედიტაციისა და საიდუმლო ცოდნის შესაძენად, ახალი სამსახურის დასაწყებად, იურიდიული საქმეებისთვის, ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ძვირფასეულობის შესაძენად. შედეგიანი იქნება თვალების, ნერვული სისტემის, ვენების მკურნალობა. არ არის სასურველი ნერვიულობა, გადაღლა, საუნასა და სოლარიუმში სტუმრობა, ქორწინება, ბინის შეცვლა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, სერდოლიკი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 13 სექტემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.39 საათზე, ჩადის 19.15 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (09.27) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 04.40 საათზე, ჩადის 18.53 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 04.33 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 09.27 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთო საქმეების დღეა! კარგი განწყობა შეინარჩუნეთ და აქტიურად იმოქმედეთ. ეცადეთ, დღეს და ხვალ პრობლემები გადაწყვიტოთ. შედეგიანი იქნება ენდოკრინული და ლიმფური სისტემის, ტერფების მკურნალობა. დაიოკეთ ეჭვიანობა, კრიტიკულობა. კარგი დღეა საქმიანი მიმოწერისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, დიეტის დასაწყებად. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი ნაცნობობა, სარისკო ქმედება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

## 14 სექტემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.40 საათზე, ჩადის 19.13 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 05.42 საათზე, ჩადის 19.13 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 05.50 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ხვალინდელი ახალმთვარეობის წინ ეცადეთ, პროვოკაციებს არ აჰყვეთ. კარგი დღეა დაწყებული საქმეების დასრულებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, დიეტის დასაწყებად. პარტნიორულ ურთიერთობაში, შესაძლოა ზოგიერთ საკითხში უკეთ გაერკვეთ. არ არის სასურველი, ზედმეტი პირდაპირობა, კრიტიკულობა, მეწვრილმანეობა, ქორწინება, ახალი საქმის დაწყება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, გარისკვა, საღამოს უმჯობესია, დაისვენოთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** აქატი, გიშერი, მალაქიტი, მწვანე და ყვითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის.

## 15 სექტემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.41 საათზე, ჩადის 19.11 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.44) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.44 საათზე, ჩადის 19.32 საათზე (**ახალმთვარეობაა, პიკი** — 05.40 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა. მე-2 დღე იწყება 07.06 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.49 საათიდან 21.44 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ახალმთვარეობა განაპირობებს აგრესია-დეპრესიის გამოვლენას, კონფლიქტებს, შეცდომებს, ცდუნებებს, ტრავმებსა და ავარიებს. ყურადღება გამართებთ! ილოცეთ, ყველა დალოცეთ, სიმშვიდე დაიცავით. მნიშვნელოვანი საქმეები ჯობს, გადადოთ. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, სარისკო ქმედება, ყიდვა-გაყიდვა, ფულის სესხება-გასესხება, ქორწინება, ალკოჰოლური სასმელისა და ხორციანი კერძის მიღება. კარგი დღეა აბაზანისა და მასაჟისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა, ყელი, თირკმლები. **ქვები:** გიშერი, მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 16 სექტემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.42 საათზე, ჩადის 19.10 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 07.45 საათზე, ჩადის 19.51 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 08.22 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** პლანეტა მერკური დირექტული ხდება, რაც ხელს შეუწყობს გეგმების რეალიზაციას, მოლაპარაკებებს, ინფორმაციის მიღებას, სატრანსპორტო მოძრაობას, კომუნიკაციას, ურთიერთგაგებას. დღეს ეცადეთ, გამოიძინოთ. ახალ გეგმებს ნუ გაამხელთ. კარგი დღეა წესრიგის დასამყარებლად, საოჯახო დღესასწაულისთვის, ქორწინებისთვის, რომანტიკული შეხვედრებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, მუსიკალური აპარატურის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ავეჯის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, შემოქმედებისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი ამბიციურობის, სიზარმაცის, უყაირათობის გამოვლენა, ზედმეტი სითხის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თხის რქისთვის.

## 17 სექტემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.43 საათზე, ჩადის 19.08 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 08.47 საათზე, ჩადის 20.10 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 09.39 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მოერიდეთ დაუფიქრებელ ქმედებებს, ზედმეტი ამბიციის გამოვლენას. არ არის სასურველი ცივი და გაზიანი სასმელის, რძის პროდუქტების, ალერგიის გამომწვევი პროდუქტის მიღება, მანქანის ყიდვა-გაყიდვა, ცეცხლთან და მჭრელ საგნებთან ურთიერთობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, გასართობი ღონისძიებებისთვის, შემოქმედებისთვის, ხელოვნების ნიმუშების, მუსიკალური აპარატურის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარის, პარფიუმერიის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, აკვამარინი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის.





11 სექტემბერი – თავისკვეთა პატიოსნისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი

✝ **11 სექტემბერი. ორშაბათი. თავისკვეთა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი.**

✝ **12 სექტემბერი. სამშაბათი.** მღვდელმთავართა: ალექსანდრესი, იოანესი და პავლე ახლისა, კონსტანტინოპოლელ პატრიარქთა; ღირსისა ქრისტეფორე რომაელისა; ღირსისა ფანტინე სასწაულმოქმედისა თესალონიკელისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა კეთილმორწმუნისა მთავრისა ალექსანდრე ნეველისა, სერბელ მღვდელმთავართა: საბა I-ისა, არსენი I-ისა, საბა II-ისა, ევსტათი I-ისა, იაკობისა, ნიკოდიმისა და დანიელისა, მთავარეპისკოპოსთა; იოანიკე II, ეფრემ II, სპირიდონ, მაკარი და გაბრიელ I პატრიარქთა და გრიგოლ ეპისკოპოსისა. **წმიდა ილია მართლის მკვლელობის დღე.**

✝ **13 სექტემბერი. ოთხშაბათი. დადება პატიოსნისა სარტყელისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა;** მღვდელმოწამისა კვიპრიანესი, კართაგენელი ეპისკოპოსისა, გენადისი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ **14 სექტემბერი. ხუთშაბათი. გვირგვინი წელიწადისა და დაწყება ინდიქტიონისა, ანუ ეკლესიური ახლისა წელიწადისა.** კრება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა მიასინეს სავანეში; ღირსისა სვიმეონ მესვეტისა, არქიმანდრიტისა; მოწამისა აითალა დიაკონისა; 40-თა მოწამეთა ქალწულთა მმარხველთა და მოწამისა ამუნი დიკონისა, მოძღვრისა მათისა; მოწამეთა: კალისტასი და ძმათა მისთა, ებოდისა და ერმოგენისა; მართლისა ისუ ძისა ნავესი.

✝ **15 სექტემბერი. პარასკევი.** მოწამისა მამანტისი, მამისა მისისა თეოდოტესი და დედისა მისისა რუფინასი; ღირსისა იოანე მმარხველისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; მოწამეთა 3628-თა ნიკომიდიელთა.

✝ **16 სექტემბერი. შაბათი.** მღვდელმოწამისა ანთიმოზისა, ნიკომიდიელი ეპისკოპოსისა და მისთანა მოწამეთა: თეოფილე დიაკონისა, დოროთესი, მარდონიოსისა, მიგდონიოსისა, პეტრესი, ინდისისა, გორგონიოსისა, ზენონისა, დომნა ქალწულისა და ექვთიმესი და სხვათა; ღირსისა თეოქტისტესი, ღირსი ეფთვიმე დიდის თანამმარხველისა; წმიდისა ფებე დედათდიაკონისა; მოწამისა ბასილისა ნიკომიდიელისა; მღვდელმოწამისა არისტიონისა, ალექსანდრიელი ეპისკოპოსისა; იოანიკე II სერბელი პატრიარქისა.



13 სექტემბერი – დადება პატიოსნისა სარტყლისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა



14 სექტემბერი – ხსენება ღირსისა სვიმეონ მესვეტისა, არქიმანდრიტისა

✝ **17 სექტემბერი. კვირა. ღირსისა სვიმეონისა, დავითგარეჯის ლავრის წინამძღვრისა, წინასწარმეტყველისა და სასწაულმოქმედისა;** მღვდელმოწამისა ბაბილასი, დიდისა ანტიოქიის ეპისკოპოსისა და მისთანა სამთა ყრმათა: ურბანისა, პრილიდიანესი, ეპოლონისი და დედისა მათისა ქრისტოდულასი; წინასწარმეტყველისა მოსესი, ღმრთისმხილველისა; მოწამისა ერმიონიასი, 70-თაგან მოციქულ ფილიპე დიაკონის ასულისა; მოწამისა ბაბილა ნიკომიდიელისა და მისთანა 84-თა ყრმათა; მოწამეთა: თეოდორესი, მიანესი, იულიანესი და კიონისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა იოასაფისა, ბელგოროდელი ეპისკოპოსისა; იოაკიმესი, ალექსანდრიელი პატრიარქისა; **დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „მაყვალი შეუწველი“.**









## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. რენესანსი; 8. ქარხანა; 12. მარსელი; 13. მანდარინი; 14. ლონდონი; 15. ჯამბაზი; 16. პატიმარი; 20. კრეტინი; 21. ფინიკი; 24. ანაკონდა; 25. კუმისი; 28. ლარინგიტი; 29. კანონირი; 33. ლორენი; 34. ბალატონი; 38. პარასკევი; 39. მაფია; 42. ტერმინალი; 43. ანაბაზისი; 48. ნესტა; 49. მაკიზარი; 53. ასტრონომია; 54. გიდი; 56. ნარკომანი; 57. კარატე; 58. როქი; 59. რელსი; 60. ტვინი; 61. წერილი; 62. ალია; 63. ატონია.

შვეულად: 1. რომი; 2. ნინია; 3. სპარი; 4. ნაირა; 5. იმიჯი; 6. ტრამპი; 7. ლეგატი; 8. ქილიკი; 9. რანდევუ; 10. ალონიმი; 11. აბილილი; 16. პანდა; 17. ტოკიო; 18. მანკი; 19. რკალი; 21. ფერმა; 22. ნინუა; 23. კაირო; 25. კილი; 26. მარკა; 27. სანტი; 29. კოპრა; 30. ნორმა; 31. ნისია; 32. რიელი; 34. ბიტი; 35. ლორკა; 36. ტაიტი; 37. ნიასა; 39. მინი; 40. ფისკი; 41. ამატი; 44. ნესკაფე; 45. ბორბალი; 46. ზინგერი; 47. სიმბოლო; 49. მანტია; 50. კარატი; 51. ზლოტი; 52. რეალია; 54. გირაო; 55. დიქტი.

**კატარიმესამეკარეტაბაკანიყვითელიანისულიერი**
**ბეკონიხრიკიმონოკლიტერონინისანიტარიფიალამი**

| ორგანოს ლორწოვანი გარსის ანთება | სამის რიგობითი სახელი | დახურული ოთხთვალა ეტლი | კუს ჯავშანი | სპექტრის ერთ-ერთი ფერი | ეთერზეთოვანი მცენარე | ნაცია |
|---|---|---|---|---|---|---|

| შინაური ცხოველი | ფულის მისაღები თამასუქი | გოლკიპერი | ბრტყლად შემწვარი ვარია | სოკოს სახეობა | ღვინის კომპანია ... ველი | სულდგმული |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. აღორძინების ხანა მე-14-16 საუკუნეებში ევროპის ზოგ ქვეყანაში; 8. სამრეწველო საწარმო; 12. ქალაქი პორტი საფრანგეთში; 13. ციტრუსი; 14. ამერიკელი მწერალი; 15. ცირკის მსახიობი, კლოუნი; 16. ტუსაღი; 20. გონებით ჩლუნგი ადამიანი; 21. ინდისხურმა; 24. ყველაზე მსხვილი მახრჩობელა გველი; 25. ცხენის რძისაგან დამზადებული სასმელი შუა აზიაში; 28. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება; 29. მეზარბაზნე ძველ რუსეთში; 33. იტალიელი მსახიობი ქალი; 34. ტბა უნგრეთში; 38. კვირის ერთ-ერთი დღე; 39. სიცილიური განგსტერული ორგანიზაცია; 42. რკინიგზის ბოლო სადგური; 43. ძველი ბერძენი მწერლის ქსენოფონტის თხზულება; 48. იტალიელი ფეხბურთელი; 49. პარტიზანი საფრანგეთში; 53. ცის სხეულების შემსწავლელი მეცნიერება; 54. ექსკურსიამძღოლი; 56. ნარკოტიკების მომხმარებელი; 57. ჭიდაობის სახეობა; 58. მეფისა და ეტლის ერთდროული სვლა ჭადრაკში; 59. მატარებლის სამოძრაო ძელი; 60. აზროვნების ორგანო; 61. უსტარი; 62. ებრაელთა იმიგრაციის პროცესი ისრაელში; 63. ორგანიზმის კუნთების მოდუნება.

შვეულად: 1. იტალიის დედაქალაქი; 2. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი; 3. სუპერმარკეტების ქსელი საქართველოში; 4. მწერალი ... გელაშვილი; 5. პრესტიჟი, სახე; 6. აშშ-ის ექსპრეზიდენტი; 7. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 8. ოხუნჯი, ხუმარა; 9. პაემანი; 10. ფსევდონიმად გამოყენებული ვისიმე ნამდვილი სახელი; 11. ხვიარა მცენარე; 16. ჰიმალაის დათვი; 17. იაპონიის დედაქალაქი; 18. გულის დაავადება; 19. წრეხაზის ნაწილი; 21. კერძო მეურნეობა; 22. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 23. ეგვიპტის დედაქალაქი; 25. მცირე ნაკლი; 26. საფოსტო ნიშანი; 27. იტალიელი ფერმწერი რაფაელ ...; 29. ქოქოსის კაკლის გული; 30. რისამე დაწესებული რაოდენობა; 31. ვალი; 32. კამბოჯის ფულის ერთეული; 34. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; 35. ესპანელი დრამატურგი ფედერიკო გარსია ...; 36. კუნძული წყნარ ოკეანეში; 37. ტბა მოზამბიკში; 39. მოკლე კაბა; 40. სახელმწიფო ხაზინა; 41. იტალიელი ვიოლინოს ოსტატი; 44. ყავის სახეობა; 45. ავტომობილის თვალი; 46. საკერავი მანქანის გამომგონებელი; 47. რაიმე სიდიდის პირობითი აღნიშვნა; 49. გრძელი, ფართო წამოსასხამი; 50. ძვირფასი თვლების საზომი წონის ერთეული; 51. პოლონეთის ფულის ერთეული ევრომდე; 52. ნამდვილად არსებული ნივთი; 54. ვალის წინდი; 55. ფირფიცარი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი | ოინი | უმარტივესი ფოტოობიექტივი | მსახიობი შარლიზ ... | იაპონური ატომ | რისამე დაბეგვრის ცხრილი | დროშა |
|---|---|---|---|---|---|---|

| თურქული ტექნიკის ფირმა | სხვადასხვა საქონლის დაწესებული ფასები | იაპონური სამოსი | საკეტი | უპატრონოდ დარჩენილი სამურაი | უმცროსი მედიცინის მუშაკი | სასმისი | მე-3 ნოტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 11 – 17 სექტემბერი №40 (1504)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეჲიაჰოჰიპოჰიაცია "ასავალ-ჲასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-ჲასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**


გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol